„ხელოვნება“
1 9 5 6

გიორგი ჯაბაური

გიორგი ჯაბაური

დაღამდა. გოლოვინის და მიხეილის პროსპექტებზე გაზის ფარნები აენთნენ და შიშინი გამართეს. თეატრების კარიბჭეებთან ეტლები ჩერდებიან. მორთულ-მოკაზმული მანდილოსნები და მამაკაცები დარბაზებისაკენ ისწრაფვიან. სუნამოს თავბრუდამხვევი სურნელება საამოდ ეფინება დარბაზს. ოპერის თეატრში თუ ბარიტონი ჯუზეპე ფერარი იზიდავს ხალხს და „ბალ-მასკარადში“ რენატოს პარტიის შესრულებით ხიბლავს ყველას, ქართულ დრამაში მაკო საფაროვი, ნატო გაბუნია, ეასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი სასწაულთმოქმედებენ და თავიანთი დიდი ოსტატობით აჯადოებენ მსმენელთ.

ამ დროს ქალაქის გარეუბნები კი ბნელეთს მოუცავს. კვარითა და ბრაქით განათებული სახლებიდან ხაშაშით გაბრუებულ ბავშვთა ხუხუნი გაისმის. ტვირთმძიმენი ნაადრევად ეძლევიან ძილს. მხოლოდ ავარები, თავზეხელაღებულნი, უდარდელნი ოდნავ მბჟუტავ ლამპის შუქზე სამიკიტნოს დახლის წინ არღნის ჭყიტინზე ჭყვეტიან და ბუქნავენ-ამით თავის ჭიას ახარებენ და ჯიბეს იცარიელებენ.

აი სურათი ქალაქ თბილისის მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებისა.

თუ ცხოვრების ლაღი შვილნი ჯუზეპე ვერდის მელოდიებით ტკბებოდნენ და უილიამ შექსპირის მონოლოგებით იხიბლებოდნენ, ცხოვრების გერნი, ტვირთმძიმენი ბოღმას ღვინოში იხშობდნენ, დუდუკის კვნესას ყურს უგდებდნენ და მედოლის ხრინწიან ხმას ისმენდნენ:

„ქვეყანა ჩალად არა ღირს,
სიცოცხლე ვალად არა ღირს,
გინდ გქონდეს ქვეყნის სიმდიდრე,
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს.“

ღარიბ-ღატაკებს სპექტაკლებისათვის სად ეცალათ. დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, როგორ შეძლებდნენ ორი-სამი მანეთი მიეცათ ერთ ბილეთში და ამით მთელი კვირის საზრდო მოეკლოთ. ვერდის მუსიკა და შექსპირის გენია ერთი კვირის შიმშილს ვერ გაუყუჩებდათ, სულიერი საზრდო ხორციელ საზრდოდ ვერ გადაიქცეოდა. არა, თეატრების კარი ძველათ ღარიბთათვის მაგრად იყო დახშული.

მშრომელთათვის სწორედ ამ სულიერი საზრდოს მიწოდება, მათი ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მათივე წიაღიდან გამოსულთ უნდა ეტვირთნათ. ეს დიდი მისია იკისრეს თვით მუშებმა, და მათ შორის იყო ამ მოგონებათა ავტორიც, მუშა-მსახიობი გიორგი ჯაბაური.

ეზო-ეზო საუბნო სპექტაკლებიდან სახალხო სახლამდე — აი გიორგი ჯაბაურის და მისებრ ენთუზიასტთა სახელოვანი გზა. რამდენი დაცინვა, კილვა უნდა აეტანათ ამ მძიმე და ნარეკლიან გზაზე სვლისას. სპექტაკლების მონაწილეთ უვიცნი (მათი რიცხვი კი ძველათ საკმაო იყო) ბერიკებს, ტაკიმასხარებს, პამპულებს უწოდებდნენ. რომელი დედა გაბედავდა და თავის ქალს გაუშვებდა სცენაზე სათამაშოდ! „სახელგატეხილი“ და „ნამუსშერცხვენილი“ ქალი როგორღა გათხოვდებოდა. რომელი თავმომწონე ვაჟი იკისრებდა ასეთი ქალი შეერთო. მილეთის ხალხის წინაშე სცენაზე ნაკოცნ ქალს ვინ შეუშვებდა

ოჯახში? სცენისმოყვარე ქალების შოვნა და ისიც საუბნო სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად იოლი როდი იყო. იძულებული ხდებოდნენ ქალების როლები ვაჟებსვე ეთამაშნათ. არა მარტო საუბნო წარმოდგენებში, არამედ სპეციალურ აუდიტორიაშიც სეზონის გახსნისას პიესაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ კატინას როლი მოსარეცხე დედაკაცს დააკისრეს. ამ ეპიზოდს დიდის იუმორით გადმოგვცემს გ. ჯაბური. როდესაც საქმე გასამრჯელოს შეეხო, მოსარეცხე დედაკაცმა უთხრა: შვილო, სარეცხის გარეცხვაში დღეში თოთხმეტ შაურს მაძლევენ და თქვენც ამდენი მომეციოთო. ავჭალის აუდიტორიის ისტორიას არ ახსოვს გასტროლიორებზე გროში კაპეიკი გაეღოთ, მოსარეცხეს კი კატინას როლის განსახიერებისათვის დღეში 70 კაპიკი გადაუხადეს ეს პირველი და უკანასკნელი ჰონორარი იყო გაცემული.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, სცენისმოყვარეთა წრე ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას და ღარიბი მოსახლეობის საყვარელ თეატრად გადაიქცა.

ავჭალის აუდიტორიის სპექტაკლებს ინტელიგენტებიც ესწრებოდნენ და ბევრჯერ აღფრთოვანებულნიც რჩებოდნენ შეხმატკბილებული ანსამბლით. სცენისმოყვარენი სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ. პირიქით, თვითეული მათგანი იხდიდა ყოველთვე საწევროს 50 კაპიკს. საწევრო ანარიცხები ხმარდებოდა აუდიტორიის კეთილმოწყობას და აუცილებელ ხარჯებს. მაგრამ სცენისმოყვარეებს არსებობა ხომ უნდოდათ, ლუკმაპურის შოვნა. და აი, სცენისმოყვარენი დღისით ქარხნებში მუშაობენ. საღამოს კი რეპეტიციებს გადიან, რომ კვირადღე არ გააცდინონ და ახალი პიესა უჩვენონ მაყურებელს. უზომო შრომისაგან დაქანცულ მუშას რა ენერგია უნდა ჰქონოდა, რომ 5 — 6 რეპეტიციით როლი შეესწავლა და საზოგადოების წინაშე პირნათლად წარმდგარიყო როგორი ყურადღება ექცეოდა როლის შესწავლას, ამას ვტყობილობთ ამ მოგონებაში დაბეჭდილ „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის წესდებიდან“. აღნიშნული წესდების მეცხრე მუხლში წერია: „ყოველმა სცენისმოყვარემ, როცა როლს მიიღებს, მთელი პიესა უნდა წაიკითხოს და შეიცნოს... მიუღებელია როლის საკუთარი სიტყვებით ჩატარება, სუფლიორის ბუდკისაკენ ცქერა და სხვა“ ამავე წესდების მეექვსე მუხლში აღნიშნულია: „სასტიკად აკრძალულია რეპეტიციებზე დაგვიანება, როლის უცოდინარობა და სხვა...“

გადაფურცლეთ ჟამთა ვითარების გამო გაყვითლებული გაზეთების ფურცლები, გადაიკითხეთ თეატრალური რეცენზიები და ერთი ამბავი თვალში გეცემათ, როცა გარჩეულია სცენისმოყვარეთა სპექტაკლები, არასოდეს არ შეხვდებით ფრაზას, მოთამაშეებმა როლები არ იცოდნენო. პროფესიული დასის წარმოდგენების რეცენზიებში კი ხშირად ამოიკითხავთ, სამწუხაროდ, მსახიობებმა როლები არ იცოდნენ და მოკარნახის მეოხებით როგორც იქნა დაამთავრეს სპექტაკლიო. საინტეროსოა გავიხსენოთ სცენისმოყვარეთა წრის თვალსაჩინო წევრის ნიკო გოცირიძის „მოგონებიდან“ ერთი ადგილი: „მაგონდება, ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეებმა ქართულ სათავადაზნაურო თეატრში, წრის ფონდის გასაძლიერებლად თავისი ძალებით და გასტროლიორების მონაწილეობით ა. ცაგარლის „ციმბირელი“ დადგეს. მაზუთიანის როლს შესრულება ქართული თეატრის დიდ მსახიობს ვასო აბაშიძეს ვთხოვეთ. ვასო სიამოვნებით დათანხმდა სრულიად უსასყიდლოდ მიეღო მონაწილეობა წარმოდგენაში. 7 საათზე ყველა ჩვენი სცენისმოყვარე თავის ადგილზე იყო და გრიმებს იკეთებდნენ. ვასო ადრე მოვიდა თეატრში, ხელში ეპირა როლი და ადგილებს იზეპირებდა. მაზუთიანი ვასოს არა ერთხელ ეთამაშნა და ამ როლშიაც, ისე როგორც სხვა პიესებში, დაუვიწყარი სახე ჰქონდა შექმნილი. აი ვასო დგას კუთხეში და მაზუთიანის ფრაზებს იმეორებს. შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს, ვასო, ეს ჩვენი ბუმბერაზი მსახიობი, მხიარულად უპასუხებს:

— მაშ რა ვქნა, ქაჯან! გამიგია ამათ თეატრში ყველას დიაკვანიკით აქვს როლი გაზეპირებული და მე რად უნდა ჩამოვრჩეო“.

ყველა სცენისმოყვარე კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის საქმეს და ამ მხრივაც

გიორგი ჯაბაური

წრის ინიციატორი გიორგი ჯაბაური მაგალითის მიმცემი იყო. ჯაბაური საგმირო ხასიათის მთავარ როლებს ასრულებდა. ასეთი როლები ძველ პიესებში ხშირად დიდი მონოლოგებისაგან შედგებოდა. ავტორის ტექსტის სისწორით გადმოცემით და როლის ზედმიწევნითი ცოდნით გიორგი ჯაბაური ყველას აკვირვებდა.

ავჭალის აუდიტორიას ტექნიკური პერსონალი არა ჰყავდა. კაპელდინერის სახელიც კი უცნობი იყო თვით წრის მუშაკებისათვის. დარბაზში წესრიგს თვით წრის მორიგი წევრები ამყარებდნენ, ხოლო სცენის მუშების მაგივრობას სპექტაკლის მონაწილენი სწევდნენ.

...დგამენ ტრიფონ რამიშვილის „მეზობლებს", ილიკო მენაბდიშვილის როლს ასრულებს გიორგი ჯაბაური, მასვე ევალება სცენაზე სადურგლო სამუშაოები. ნიკო გოცირიძე სამხედრო ექიმი გრუშნევსკია, ამავე დროს როგორც პროფესიით მღებავს ილიკო მენაბდიშვილის ეზოს მოაჯირის შეღებვაც ევალება. სოსო რომანიშვილს, პროფესიით ბუხჰალტერს, ევალებოდა ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებასთან ერთად სცენის მორწყვა, კბილის ექიმ სოფიო რომანიშვილი-დგებუაძისას კი სცენის დაგვა და მორთვა. თუ სახეინკლო სამუშაო იყო, აბა გრიშა ანაშვილზე უკეთესს ვის გამონახავდნენ. თუ „პარიზის ღარიბ-ღატაკნში" საუცხოო მღებავი იყო ანაშვილი, ანტრაქტებზე ფუნჯი ნამდვილ მღებავ გოცირიძეს გადაეცემოდა ხოლმე, ანაშვილს კი ჩაჭური და ლურსმანი.

მიუხედავად მრავალი დეფექტისა, სცენაზე სიბნელისა. ნავთის ლამპების გამაბრუებელი სუნისა, გახუნებული დეკორაციებისა, ყოველი სპექტაკლი გამთბარი იყო სიყვარულით და სადაც სიყვარულია, იქ გამარჯვებაა, იქ ნამდვილი თეატრია. გ. ჯაბაურის მოღვაწეობა მარტო სპექტაკლებში მონაწილეობით არ განისაზღვრებოდა. ის თავგამოდებით იცავდა იმ პრინციპს, რომ მუშის საქმე მუშებმა უნდა აკეთონ. ამიტომაც პრესაში გამოდიოდა ამ აზრის დასაცავად, იბრძოდა იმისათვის, რომ სცენისმოყვარეთა წრის გამგეობა მუშური ყოფილიყო. ავტორი ამავე დროს ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, საპოლემიკო წერილები და სხვა და, ბოლოს, სახალხო თეატრების ისტორიისათვის დიდ საგანძურს წარმოადგენს გ. ჯაბაურის შრომა „სახალხო თეატრის ისტორია". ეს ნაწარმოები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში."

ამ სამოცდაორი წლის წინათ გიორგი ჯაბაური ავჭესენტი ცაგარლის პერსონაჟის გიჟუას პირით გათავხედებულ მებატონეს დავით ჯამბარაშვილს ეუბნებოდა: „ეს იცოდე, კნიაზობა აღარ არის, რაც გინახავს, ველარ ნახავ". მართალია ბატონყმობა გადავარდნილი იყო, მაგრამ მშრომელნი მაინც მძიმე უღელქვეშ კვნესოდნენ. გ. ჯაბაურის თანამედროვენი ამას ითვალისწინებდნენ და ილიკო მენაბდიშვილს (ტრიფონ რამიშვილის პიესა „მეზობლების" მთავარი გმირი) ათქმევინებდნენ: „დამყაყებული წესწყობილების ბურჯნო, მერე რას იზამთ მაშინ, როცა გათვითცნობიერებული ხალხი იქექ-იქუხებს და თქვენს მიერ ყალბ საფუძველზე აგებულ ცხოვრებას მილეწ-მოლეწავს."

როგორი გატაცებით ამბობდა ავჭალის თეატრის პატარა სცენიდან გიორგი ჯაბაური მენაბდიშვილის ამ მონოლოგს. სცენისმოყვარის გულიდან ალმომხდარი ეს სიტყვები ერუანტელს გვრიდა მშრომელთ და საბრძოლველად რაზმავდა მათ.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ დაამხო დამყაყებული წესწყობილება და მშრომელთ ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა.

ჩვენი მხიური ქვეყნის შვილნი მადლობას უხდიან მეშა-მსახიობს გიორგი ჯაბაურს, რომელიც სცენიდან ქადაგებდა სიყვარულს. ბედნიერ ცხოვრებას, ძმობას, ერთობას და თავისუფლებას. სიყვარულს ხალხმა სიყვარულითვე უპასუხა, ჯაბაურს თავისი ყურადღება არ მოაკლო და მიაკუთვნა იმ ხელოვანთა ჯგუფს, რომელთა მოღვაწეობასაც ჩვენი თაობა ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებს.

ა. ბურთიკაშვილი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1949 წლის 23 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ პლეხანოვის სახელობის კლუბში ჩემი შემოქმედებითი საღამო მოაწყო. წარმოდგენილ იქნა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენას“ პირველი მოქმედება და ავქსენტი ცაგარლის კომედიის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ მეორე მოქმედება. სახალხო გმირი არსენა — ჩემი საყვარელი როლი იყო და ხშირადაც ვთამაშობდი ახალგაზრდობისას, მაგრამ ა. ცაგარლის ალალმართალი, გამბედავი, მეგობრისათვის თავდადებული გიჟუა მაინც განსაკუთრებით მიმზიდველია ჩემთვის. 80 წელს გადაცილებული ვარ, კარგახანია სცენას ჩამოვშორდი, სიარული მიმძიმს, მუხლთ მეკეცება, მაგრამ საკმარისია მითხრან, გიჟუა ითამაშეო, მე მგონია წელში გავსწორდები, ხელს გავშლი და ბაღდადურს ჩამოვუვლი. 1893 წელს ავჭალის აუდიტორიის გახსნისას გიჟუას როლი შევასრულე და ჩემი სცენიური მოღვაწეობაც გიჟუათი დავასრულე.

პლეხანოვის კლუბის საკმაოდ მოზრდილი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. მხურვალე, ერთსულოვანი ოვაციები მოწმობდნენ, რომ ხალხი პატარა მოღვაწეებსაც აფასებს, თუ კი ეს უკანასკნელნი გულწრფელად და სიყვარულით ემსახურებიან მისი გათვითცნობიერების საქმეს.

დაიწყო საღამოს საზეიმო განყოფილება. პრეზიდიუმში სხედან ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ხელოვანნი, მწერლები, ჩემი მეგობრები — სცენისმოყვარე მუშები და სხვანი. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ, პოეტმა-აკადემიკოსმა, იოსებ გრიშაშვილმა, ჩემმა პირველმა რეჟისორმა მწერალმა იოსებ იმედაშვილმა, მუშა პოეტმა გიგო ხეჩუაშვილმა, ავლაბრის სახალხო თეატრის თვალსაჩინო სცენისმოყვარემ დათიკო მელაშვილმა და მრავალმა სხვამ. მისალმებებმა ერთხელ კიდევ მაგრძნობინეს ის სიხარული, რასაც განიცდის ყველა შემოქმედი, დიდია იგი თუ პატარა, როცა ხედავს თავისი მუშაობის მაღალ შეფასებას. სამადლობელ სიტყვაში მე სიხარულისაგან აღელვებულმა განვუცხადე დამსწრე საზოგადოებას, რომ შევეცდები დავაკმაყოფილო ამხანაგების სურვილი, გამოვაქვეყნო ჩემი განვლილი გზის ამბავი და ამით სახალხო თეატრების მკვლევართ სათანადო მასალა მივაწოდო მუშათა თეატრების ისტორიი-

სათვის. ჯერ კიდევ 1914 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დავიწყე გამოქვეყნება წერილებისა „ქართული სახალო თეატრის ისტორია“. ეს წერილები წლების მანძილზე იბეჭდებოდა; მათში სრულიად არ იყო ავტობიოგრაფიული ამბები, ეს იყო მშრალი ქრონოლოგიური მასალა. ახლა გადავწყვიტე მკითხველს მოვუთხრო ერთი მუშა მსახიობის განვლილი გზა და ამით მომავალ თაობას გავაცნო, რა საავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა დღეს ესოდენ აყვავებული ჩვენი თეატრალური ხელოვნება ძველათ. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ხალხი მონობის უღლიდან გაათავისუფლა. მშრომელთათვის წინათ მიუწვდომელი თეატრის კარი ხალხისათვის ფართოდ გაიღო. თეატრს ახალი პატრონი გაუჩნდა მშრომელთა სახით.

ჩვენი ბედნიერი ეპოქის თეატრის მუშაკებს. ახალგაზრდა სცენის ოსტატებს უძღვნის ამ პატარა ნაშრომს თეატრის ერთგული მუშაკი. მისი მეხოტბე მუშა მსახიობი.

ს ა მ ზ ა დ ი ს ი

თვალსაჩინო მოღვაწეები. დიდი ადამიანები თავიანთ ავტობიოგრაფიას იწყებენ დაბადების თარიღით, დაწვრილებით აცნობენ მკითხველს მშობლების ვინაობას, თავიანთ ადგილსამყოფელს, გარემოს და სხვა და სხვა — ეს მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება. მაგრამ მეც, ამ პატარა ადამიანს, ცხოვრების დიდი მექანიზმის ნაწილს, მეც ხომ მაქვს ჩემი საკუთარი ბიოგრაფია, და ამიტომაც გამცნობთ — დავიბადე ქალაქ თბილისში 1874 წელს. მამაჩემი ქართლის სოფელ ლამისყანიდან იყო ჩამოსული ქალაქში სამუშაოდ. სოფელი ლამისყანა ამჟამად კასპის რაიონს ეკუთვნის. ბუნდოვნად მახსოვს მამა (ექვსი წლისა ვყოფილვარ, რომ გარდაცვლილა) და ამიტომ მის დახასიათებას, ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ შეეუდგები. ან რა საჭიროა. საზოგადო მოღვაწე არა ყოფილა, და თავისი ცოლშვილის რომ იშვიათი მზრუნველი იყო და მოსიყვარულე, ამაში ორიგინალური არაფერია; ამიტომაც ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დედამ ბავშვებს ობლობა არ გვაგრძნობინა. გაათკეცებული ენერგიით უძღვებოდა ოჯახის მეურნეობას და შვილების აღზრდას. ზაფხულობით ლამისყანაში ვიყავით. მამას საკმაოდ გაშენებული ვენახი და ბაღი დარჩა და ჩვენი საარსებო წყაროც ამ ვენახის მოსავალი იყო. სკოლის ასაკისა რომ შევიქენი, დედამ პირველდაწყებით სკოლაში მიმაბარა. მასწავლებელმა ანბანის სწავლება დაგვიწყო. ახლადშესული ვარ სკოლაში. მასწავლებელმა რამდენიმე ასო მოგვიხაზა და გვითხრა, შინაც ივარჯიშეთო. ახალი, დასურათებული წიგნი სიხარულით გადავშალე და გაკვეთილის სამზადისს შევუდექი. რამდენიმე ასო ვერ ამოვიკითხე და საგონებელში ჩავვარდი. შინ, ოჯახის წევრებ-

მა. არც ერთმა წერაკითხვა არ იცოდა. დამხმარე კი არავინ ჩანდა. დავიწყე ტირილი. ამ დროს ჩვენთან სტუმრად მოვიდა ჩემი დეიდაშვილი არტემა, რომელსაც ზედმეტი სახელი ღორუა ერქვა. ღორუა ყარაჩოღელი იყო, განთქმული მოკრივე და უბნის თვალი. როცა შეიტყო ტირილის მიზეზი, დამამშვიდა, მომიალერსა და მითხრა:

— ბიჭო, მაგაზე რა გატირებს, რა ძნელი საქმეც ეგ არის. აი ხომ ხედავ, წიგნში აკვანია დახატული და მის ქვეშეითაც აკვანი იქნება წაწერილი. ეს კიდევ უთოა..

მალე ღორუას მეთოდით გზა გავიკვლიე და ერთ კვირაში ანბანი ვისწავლე. მოგეხსენებათ, რა დიდია ბავშვის მახსოვრობა.

პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ დედამ სახელოსნო სასწავლებელში მიმაბარა. ღარიბებისათვის პირდაპირ სულზე მისწრება იყო ეს სასწავლებელი. გვასწავლიდნენ დედა-ენას, რუსულს, გეოგრაფიას, ფიზიკას, არითმეტიკას და სხვ. რაც მთავარია, სადილსაც იქვე გვაქმევდნენ. ნახევარი დღე დათმობილი ჰქონდა ხელობის სწავლებას. მე სადურგლო ხელობა ავირჩიე. ეს სასწავლებელი იყო ჩემი აღმზრდელი, ჭკუის მასწავლებელი, სწორ გზაზე დამყენებელი. ფიზიკას და მათემატიკას გვასწავლიდა ცნობილი ხალხოსანი ვასო რცხილაძე, ქართულსა და რუსულ ენებს — ცნობილი პედაგოგი შაქრო კანდელაკი. ეს ორივე პედაგოგი ჩვენი სასწავლებლის თვალისჩინი იყვნენ. უყვარდათ მოწაფეები, მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდნენ მათ. კანდელაკის საუბრები საქართველოს წარსულზე, ჩვენი ხალხის გმირობაზე ნორჩი ბავშვების გულში მაგრად იბეჭდებოდა და სამშობლოს სიყვარულს გვიღვივებდა ყველას. შაქრო კანდელაკი ბავშვების დიდი სიყვარულით სარგებლობდა და ეს სიყვარული ბოლომდე გაჰყვა ყველას. როცა მე უკვე დავეაჯკაცდი და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩავები, შაქრო კანდელაკს ხშირად ვხვდებოდი, მოწიწებით ვესაუბრებოდი ჩემს პირველ განმანათლებელსა და აღმზრდელს. შაქრო კანდელაკი სახელოსნო სასწავლებლიდან კომერციულ სასწავლებელში გადავიდა და იქაც ისეთივე სიყვარული დაიმსახურა მოსწავლეებისა, როგორიც ჩვენთან. ღრმა მოხუცი გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე, უკვე ნახევარ საუკუნეს მიღწეულნი, ისე ვგრძნობდით თავს, თითქოს ღვიძლი მშობელი დაგვეკარგოს. მოსწავლეთა არანაკლები სიყვარულით სარგებლობდა ვ. რცხილაძე. ფიზიკის გაკვეთილები ცდებით მეტად მიტაცებდა. თუ მე ათეისტი შევიქენი და ყრმობიდანვე ეკლესიის კარებს არ გავკარებივარ, ეს ჩემი მასწავლებლის ვასო რცხილაძის გაკვეთილების შედეგი იყო. საღვთო რჯულს გვასწავლიდა კვირაცხოვლის ეკლესიის მღვდელი გურგენიძე. გურგენიძე გვასწავლიდა, ყოველივე, რასაც ვხედავთ, ღმერთის გაჩენილიაო. აბა შეხედეთ ამ მშვენიერ ქვეყანას—და ხელს ფანჯრისაკენ გაიშვერდა, საი-

დანაც ისმოდა მტკვრის დუდუნი და მოჩანდა ძველი თბილისის ისნის უბნის ფერდობები, — აი, ყოველივე ეს, რასაც ხედავთ, შვილებო, ღმერთმა გააჩინაო. აღაპყრობდა ხოლმე ხელებს ზეცისაკენ და ჩვენც გვეგონა ღმერთი თავისი ანგელოზებით ცაში ტახტზე განისვენებდა. გურგენიძის გაკვეთილიდან მიღებული შთაბეჭდილება ვ. რცხილაძის გაკვეთილებზე დავიწყებას ეძლეოდა. ფიზიკის მასწავლებელი გვიხსნიდა გაკვეთილს, აკეთებდა ცდებს, გვასწავლიდა, რა არის ჰაერი, შთაგვაგონებდა, რომ მაღლა უსაზღვრო სივრცეა, რაც მაღლა ადიხარ, ჰაერი უფრო იშვიათდება, რასაც ჩვენი თვალი ვერ სწვდება, ის ცად გვეჩვენებაო. ისე რომ მღვდლის ქადაგება ღმერთზე, ანგელოსებზე, ეშმაკებზე და სხვა მალე ქარწყლდებოდა და მესტვირის გუდასავით იფუკებოდა. სასწავლებელში ყოფნისას პირველ ხანებში ყოველი გამოცდის წინ ანჩხისხატის ეკლესიაში შევდიოდი, ღმერთს კაპიკიან სანთელს ვუნთებდი და შევთხოვდი მოშუალება არ მოეკლო და თუ ხუთიანი არა, ოთხიანი მაინც გაემეტებინა. შემდეგ წლებში ანჩისხატი დავიწყებულ იქნა და თუ კაპიკი მექნებოდა, დაშაქრულ „პიშკებს“ (ფუნთუშებს) ვიყიდდი და პირს ჩავიგემრიელებდი.

ასე შეიცვალა ჩემი მსოფლმხედველობა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების გავლენით. სასწავლებელში წარჩინებულ მოწაფედ ვითვლებოდი და ხელობის ათვისებაშიც საკმარისი ფხა გამოვიჩინე.

პირველი სპექტაკლი

ერთ დღეს სახელოსნო სასწავლებელში ხმა გავრცელდა, უფროსი კლასის მოწაფეები წარმოდგენის დადგმას აპირებენო. მალე მე თვით გავხდი მოშმე იმისა, რომ სადურგლო განყოფილების უფროს მოსწავლეს დიმიტრი იორდანიშვილს ეჭირა ხელში რვეული და რაღაცას იზეპირებდა. სიტყვები ისე მომეწონა, რომ მალე მეც დავისწავლე ზეპირად და ყარაჩოღულად ლაპარაკში იორდანიშვილს ვბაძავდი. მე არც პიესის შინაარსი ვიცოდი და არც მისი ავტორის ვინაობა. ეს კი შევიტყვე, რომ მოქმედ პირს გიეუა ერქვა. დადგა სანატრელი დღეც. სამშაურიანი ბილეთი მომცეს და წყნეთის ქუჩაზე წავედით მოწაფეები. სპექტაკლი ჩვენივე მოსწავლის გიორგი კვიჟინაძის ბინაში გაიმართა. ამ კვიჟინაძეების აივანზე ხალიჩებით მოეწყოთ სცენა და ეზოში კი სკამები დაედგათ. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი — გიორგი კვიჟინაძე, ლექსო ენუქიძე, თაქთაქიშვილი, არჩილ არავიაშვილი, სანდრო ბაქრაძე, გველესიანი და სხვები. ქალების როლებსაც ჩვენი მოსწავლეები — ცაბაძე და დავითაშვილი ასრულებდნენ. როგორც შემდეგში შევიტყე, დგამდნენ ავქსენტი ცაგარლის პიესას — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მესამე მოქმედების

დროს, როცა სცენაზე არტემ ივანიჩი (ენუქიძე) და ორომსე (დავითაშვილი) იყვნენ და კოხტაიას (გველესიანს) ელაპარაკებოდნენ, ეზოში ლექსო ენუქიძის ძმაბიჭები არღნის ჭყვიტინით და სავსე ხელადებით შემოვიდნენ. ხალხის ყურადღება არღანმა მიიპყრო. სცენიდან წინ წამოდგა ლექსო და დაიძახა:

— თაფთაფ, ეს, ხომ ვიცი, შენი ოინებია, დააყენე ეგ არღანი. ვერა ხედავ, წარმოდგენა გვაქვს.

— ახლავე, ლექსოჯან, — გაისმა თაფთაფას ხმა.

არღანი შეჩერდა. სკამზე გაშალეს სუფრა და ჩუმად დაიწყეს ღვინის სმა. ამ სპექტაკლმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით შემიყვარდა გიჟუას როლის შემსრულებელი. მთელი კვირის განმავლობაში იმის სიტყვებს ვიმეორებდი:

— გაგიშვებენ, მე ვიცი! მაგრამ შენი იღბალი, რომ არ გიშვებენ. მოდი! მოდი შენი ჟანგიანი ხმლითა, ერთი დაგადო მაგ თავში, რომ თვალები დაგიბნელდეს.

ამ მონოლოგის შემდეგ დავით ჯამბარაშვილის რეპლიკას ხმის შეცვლით ვამბობდი:

— ერთი გამიშვით და... — მაშინვე ტონს ვიცვლიდი და ვუპასუხებდი: — ეს იცოდე: კნიაზობა აღარ არის, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

სახლში, გარეთ, სკოლაში სულ გიჟუა მედგა თვალწინ და მინდოდა ჩემთვის მაინც მეთამაშნა ეს როლი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა სკოლის ამხანაგმა ი. ძნელაძემ მიყიდა 25-კაპიკიანი ბილეთი და ქართულ თეატრში წამიყვანა. ვნახეთ გ. ერისთავის „სამშობლო" და აღტაცებული დავბრუნდი შინ. გამიტკბა თეატრი და მეორე კვირას ვალერიან გუნიას „და-ძმა" ვნახეთ. თეატრის სიყვარულის „სენით" დავაადმყოფდი და უამისოდ ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელი გახდა. ერთი აზრი ამეკვიატა, რაც უნდა დამმართოდა, შინაური წარმოდგენა უნდა მომეწყო. თავი მსახიობად დავსახე და მეგონა გიჟუას, ლევან ხიმშიაშვილის და გაიოზ ფალავას როლებს ჩემზე უკეთ ვერავინ შეასრულებდა. უეჭველია ყველა დამწყები მსახიობი ასე ფიქრობს და მესხიშვილად წარმოიდგენს ხოლმე თავს. რაკი ეს აზრი ჩავინერგე გულში, თავს მოსვენებულად ვეღარ ვგრძნობდი და ოცნება სინამდვილედ უნდა მექცია.

პირველი საშინაო წარმოდგენა

არ გაუვლია დიდხანს, რომ ჩემი აზრის განხორციელება შევუდექი. მე ვცხოვრობდი წმინდა ნინოს სასაფლაოს ახლო. ამავე უბანში ცხოვრობდა ჩვენი სკოლის მოსწავლე სანდრო დავითაშვილი, რომელიც მოწაფეების მიერ ვერაზე გამართულ წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას და ორომსეს როლს თამაშობდა. ამ დავითაშვილს ვუთხარი, რომ ჩვენს

უბანში მოგვეწყო წარმოდგენა, და ჩემი წინადადება ჭკუაში დაუჯდა. ჩვენი გეგმა გავაცანით სახელოსნო სკოლისვე მოსწავლეს ისაკი ძნელაძეს. ეს უკანასკნელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა. შევუდექით პიესის არჩევას. ხელთ ბევრი პიესა არა გვქონდა და ძალაუნებურად შევჩერდით ასტვაცატუროვის ,,კაპიშონზე''. სანდრო დავითაშვილის სახლში დავიწყეთ რეპეტიციები. პიესა ჯერ მზად არ იყო და გადავწყვიტეთ ვიდრე პიესა კარგად არ იქნებოდა მომზადებული, არ დაგვედგა. ერთ საღამოს ვიღაც ,,ფოკუსნიკს'', სახელად ტუჩას სანდრო დავითაშვილის ეზოში ფოკუსები გაემართა. ამ უბნის მცხოვრებთ მოეყარათ თავი და ტუჩას ჯადოსნობით ტკბებოდნენ. დავითაშვილს და ი. ძნელაძეს ამ შეკრებილი ხალხით ესარგებლათ და ,,კაპიშონის'' რამდენიმე სცენა სახელდახელოდ გაეთამაშებინათ. მეორე დღეს ეს ამბავი შევიტყე და ძლიერ ნაწყენიც დავრჩი, რომ ამხანაგებმა გამწირეს და უჩემოდ წარმოადგინეს პიესა. ავირჩიეთ დასადგმელად მეორე პიესა, სახელდობრ მეღვინეთ-ხუცესოვის ,,კატა აწონე!'' ამ პიესის შინაარსი მოკლედ ასეთია: ქმარი შინ გაგზავნის ორ გირვანქა თევზს. ცოლი ამ თევზს საყვარელს აპმევს, ქმარს კი ატყუებს, თევზი კატამ შეჭამაო. ქმარი ამოწმებს ცოლის სიტყვებს და ამიტომ უნდა კატა აწონოს. კატა გაექცევა და არის ერთი ორომტრიალი და დაუსრულებელი ხარხარი. სცენა მოვაწყეთ ისაკა ძნელაძის სახლის აივანზე. მოვრთეთ ხალიჩებითა და ფარდაგებით. შევაგროვეთ მეზობლებში სკამები და მოვიწვიეთ უფასო წარმოდგენაზე მეზობლები. ისაკას დედა შინ არ იყო. შუა წარმოდგენა რომ გვაქვს, დედა დაბრუნდა და პირკატა ეცა, როცა თავისი სახლის ეზოში მთელი მილეთის ხალხს წააწყდა. დაუწყო დედამ ისაკას წყევლა და ლანძღვა — ეს რა გიქნია, შე ჩემი ცოდვით სავსეო. დედამ იცოდა, რომ სპექტაკლი უნდა მოგვეწყო, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, რომ სახლი ასე აქოთებული დახვდებოდა. ხალხმა დაამშვიდა აღელვებული დედაკაცი და უდროოდ შეწყვეტილი წარმოდგენა გაგრძელდა. ეს იყო ჩვენი პირველი საჯარო გამოსვლა, 1891 წლის ზაფხულის ერთ-ერთ კვირადღეს.

რაკი პირველი სპექტაკლის სიტკბოება ვიგემეთ და სცენისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში გაგვიჯდა, რაკი ტაშის ძლევამოსილი ძალა გამოვცადეთ და თეატრის „სენმა" შეგვიპყრო, უკან დახევა აღარ შეგვეძლო და დაწყებული საქმე არ განგვეგრძო ვერ მოვითმენდით. არ გვქონდა საკუთარი შენობა, ეზოებს და აივნებს კი ადვილად ვერ ვშოულობდით და სცენისმოყვარეთა კონტინგენტიც საკმაო არ გვყავდა. ამიტომ საუბნო წარმოდგენებს სისტემატიური ხასიათი არ ჰქონდა. დროგამოშვებით ვმართავდით სპექტაკლებს, მაგრამ თანდათანობით ჩვენს რიგებს ახალ-ახალი ძალები მოემატნენ. წრე გაფართოვდა და შესაძლებელი გახდა ისეთი პიესებიც დაგვედგა, სადაც მოქმედ პირთა რიცხ-

ვი ორი-სამი კაცით არ ამოიშურებოდა. ახლად შემატებული ამხანაგებიდან დავასახელებ ვასო თევდორაშვილს, ვანო სუხიშვილს, დათიკო ქველიძეს, ამირან ნიკოლოსოვს. შაქრო და დათა თევდორაშვილებს, შაქრო მჭედლიშვილს, პეტრე ახალკაცს და სხვ. ქალები კი ახლოსაც არ გვეკარებოდნენ. კილვისა და გაკიცხვისა ეშინოდათ. რას ვიზამდით. დრო იყო მაშინ უკულმართი.

როდესაც შევატყეთ, რომ ჩვენს უბნის წარმოდგენებს მაყურებელი არ აკლდა, გავთამამდით და ზოგჯერ კვირაში ერთ წარმოდგენას ვმართავდით. ბევრი თუ დაგვცინოდა — ბერიკებს გვიწოდებდნენ და პამპულებს გვეძახდნენ, ბევრი პატივისცემით გვეპყრობოდა და თანაგვიგრძნობდა. რეპეტიციებს უფრო ხშირად ვასო თევდორაშვილის სახლში ვმართავდით. მისი დედა თანაგრძნობით უყურებდა ჩვენს საქმეს და ხშირად თონიდან ახლადამოყრილი ლავაშებით გვიმასპინძლდებოდა. თევდორაშვილებს ეზოში თონე ედგათ და პურს სახლში აცხობდნენ.

საუბნო წარმოდგენების ინიციატორებმა ჩვენი სამოქმედო გეგმაც შევადგინეთ და წესდებაც შევიმუშავეთ. წესდებაში აღნიშნული გვქონდა ამხანაგობის მიზანი, სახელდობრ უფასო სპექტაკლების მოწყობა. სამკითხველოების გახსნა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებელო ღონისძიებანი. ვინაიდან სპექტაკლების მოწყობას მცირეოდენი ხარჯი სჭირდებოდა, დავადგინეთ ამხანაგობის თვითეულ წევრს თვეში ათი შაური შეეტანა სალაროში. შეიძლება ახლა ბევრს ღიმილი მოჰგვაროს ჩვენი წესდების იმ ნაწილმა, სადაც სპექტაკლების მომზადების ანბანური ჭეშმარიტებაა აღნიშნული. მაგალითად. წესდება ითვალისწინებდა რეპეტიციაზე დაუგვიანებლივ გამოცხადებას, რეჟისორის განკარგულების უსიტყვოდ შესრულებას და სხვ. ვისაც როლი არ ეცოდინებოდა, ათ შაურამდე ჯარიმა უნდა გადაეხადა. საყურადღებოა, რომ ისეთი მტკიცე დისციპლინა დამყარდა, გეგონებოდათ, წრის წევრებს ხელფასი აქვთ დანიშნულიო. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დღე ყველანი ვსწავლობდით, ზოგი უკვე მუშაობდა და ყოველ საღამოს დაღლილ-დაქანცულნი დაუგვიანებლივ ვცხადდებოდით რეპეტიციაზე. ამხანაგობას ხელმძღვანელი სჭირდებოდა. თავმჯდომარედ ავირჩიეთ ვასო თევდორაშვილი (მაშინ მეთაურს ვეძახდით). თევდორაშვილი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ხნოვანებით ყველაზე უფროსი იყო. მოლარეობა ამირან ნიკოლოსოვს დავაკისრეთ. სალაროს „სეიფში“ წვითა და დაგვით შეკრებილი ჩვენი ათ-ათი შაური იყო; ხოლო როცა საწევრომ ერთ თუმანს მიაღწია, თავი როტშილდად დავისახეთ და მომავლისათვის ოცნების კოშკების აგება დავიწყეთ. ჯერჯერობით კი ათშაურიანი გრიმის ყუთით და უბრალო ზიზილ-პიპილებით ეკმაყოფილდებოდით. შევიძინეთ სათამაშო რევოლვერები (პუგაჩები). ჩვენს რეპერტუარში შედიოდა ავქსენტი


ი. ივანოვიანი
ვ. თაქვერაძეანი
ვ. ჯაბაური
ი. ანანიანი
ა. თუმანიანი
ლ. ბუბერიძე

18 96

ქართული წარმოდგენა

ბრიგოლ კასილისაძე ჩარკვიანის სახლში

ნაძალადევში

კვირას 13 ოქტომბერსთვეს

ქართული სცენის შოუსარკეთაგან წარმოდგენილი იქნება პირველად
ბ. ა. ალაქიძის და ნ. სუფაროვის პოლნილეთელი

რაც გინახავს,

ვეღარ ნახავ!

ერთ-ერთ

კრიკალაშვილი შკაფში

ბ. ა. ალაქიძის და ნ. სუფაროვის

ბ. ალაქიძის

ბ. ალაქიძის

ბ. ალაქიძის

ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ,,ბაიყუში‘‘, ალექსანდრე ყაზ-ბეგის „არსენა“, გიორგი ერისთავის ,,ძუნწი‘‘, ივანე მაჩაბლის ,,ადვო-კატი მელაძე‘‘ და სხვ.

ერთხელ კუკიაში ვ. გუნიას „და-ძმა“ დავდგით. მახსოვს ამ სპექტაკ-ლისათვის ტანსაცმელი შევაკერინეთ ჩვენს მიერ კაპიკობით მოგროვი-ლი თანხიდან და ჩვენი სალაროც დაიცალა. უფასოდ გამართულ წარ-მოდგენებს ბევრი მაყურებელი ჰყავდა. ვინაიდან ადგილები დანომრილი არ იყო და დამსწრეთ არც ბილეთები ეძლეოდათ ხელზე, წესრიგის დამყარება არც ისე იოლი იყო. ვინც ღონიერი იყო და მკლავი ერ-ჩოდა, პირველ რიგს იკავებდა ან სცენის წინ მოიკალათებდა ხოლმე. ჩემი დეიდაშვილი ღორუა დიდ დახმარებას გვიწევდა და წესრიგს ამ-ყარებდა. ეპირა ხელში წკეპლა და ვისაც კი შეამჩნევდა წესრიგის დამრ-ღვევს, ერთს ისე გადახედავდა ხოლმე, რომ ძლიერ გამბედავი და თავ-ზეხელაღებული უნდა ყოფილიყო, რომ ურჩობა გაებედნა. ცნობილ მოკრივე ღორუასი ყველას ეშინოდა.

ერთხელ ვდგამდით ვალერიან გუნიას 1-მოქმედებიან ვოდევილს ,,არც აქეთ, არც იქით‘‘. ვოდევილის მთავარი მოქმედი პირის ტარას მშიე-რაძის როლს ასრულებდა ისაკა ძნელაძე. პიესის ტექსტის მიხედვით ტარას მშიერაძეს — უმუშევარ აქტიორს პაპიროსის მოწევა უნდა. პაპი-როსი კი არა აქვს.

— ახ, ერთი პაპიროსი მომაწევინა. — იძახის და იატაკზე ეძებს.

ღორუა თავისი წკეპლით დგას დარბაზში, წესრიგს იცავს და თანაც გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, რაც სცენაზე ხდება.

როცა ისაკ ძნელაძის ფრაზა — ახ. ერთი პაპიროსი მომაწევინა, გაი-გონა, ღორუამ ჯიბიდან წითელი კოლოფი ამოიღო, შიგ მერვე ნომერი პაპიროსი ეწყო (იმ დროს შეძლებული ყარაჩოღელები ამ პაპიროსს ეწეოდნენ), მიუტანა სცენასთან ისაკას და უთხრა: — ინებე ისაკ-ჯან. ისაკი ყურადღებას არ აქცევს და დაეძებს სცენაზე პაპიროსის ნამწვავს. მიხვდა ღორუა, რომ შეცდა, აილეწა და უკანა რიგებისაკენ წავიდა.

საუბნო წარმოდგენები 1893 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე ,,ავჭალის აუდიტორიაში‘‘ გადავიდოდით. ასეთ წარმოდგენებს ვმართავდით წმინ-და ნინოს სასაფლაოს უბანში — მახარაძის, ზაქარია მჭედლიშვილის, ისაკი ძნელაძის სახლებში, ორჯონიკიძის ქუჩაზე — აბაზოვის სახლში. ერთი სპექტაკლი გავმართეთ ხარჟუხის უბანში, აბანოების თავზე ნიკო-ღოსოვის სახლში. ხარჟუხში ავქსენტი ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვე-ღარ ნახავ‘‘ წარმოვადგინეთ. რადგან სპექტაკლებს უნებართვოდ ვდგამ-დით, პოლიცია რომ არ დაგვსხმოდა თავს, ყარაულებს ვაყენებდით ახ-ლომახლო, რათა პოლიციის მოახლოება შეეტყობინებინათ და წარმოდ-გენა დროზე შეგვეწყვიტა. პირველი მოქმედება რომ უნდა დაგვემთავ-

რებინა, უცბად გაისმა ხმა, პოლიცია მოდისო. ჩვენ სასწრაფოდ ფარდა ჩამოვუშვით და გრიმების მოხსნას შევუდექით. მალე გამოირკვა, რომ აურზაური ტყუილ-უბრალოდ იყო. თურმე მახლობელ სახლში ცოლ-ქმარს ჩხუბი მოსვლოდა. ქმარს ეცემა ცოლისათვის და მეზობელს პოლიციელი მოეყვანა. როცა აყალმაყალი შეწყდა და პოლიციელი წავიდა, ფარდა ავწიეთ და სპექტაკლი განვაგრძეთ.

უკანასკნელი საუბნო წარმოდგენა გავმართეთ ახლანდელ საბჭოს ქუჩაზე დოდაშვილის სახლში. დავდგით ვ. გუნიას „და-ძმა" და ამით დასრულდა ეზო-ეზო ჩვენი ხეტიალი. ჩვენმა ასეთმა მუშაობამ სამ წელიწადს გასტანა.

ამ თავის დასასრულს მინდა მკითხველს გავაცნო ჩემ მიერ დასახელებული წესდება მთლიანად.

„სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის წესდება"
მიზანი, სამოქმედო წესები და მოვალეობა

1. სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა შედგა იმ მიზნით, რომ: ა. მართოს უფასო წარმოდგენები ღარიბ ხელოსანთათვის, ქარგლებისა და მოსამსახურეთათვის, დადგას ხალხის ცხოვრებიდან აღებული პიესები; ბ. ხელოსანთათვის გააღოს წიგნთსაცავ-სამკითხველო განაპირა უბანში; გ. მოაწყოს მომღერალთა გუნდი.

2. ამ მიზნის განსახორციელებლად ამხანაგობა: ა. შოულობს შესაფერ შენობას; ბ. ხარჯების დასაფარავად ამხანაგობის ყოველი წევრი თვიურად იხდის 50 კ. (ათ შაურს); გ. აგროვებს შემოწირულებას; დ. იღებს წარმოდგენების გასამართავად პოლიცმეისტრისაგან საჭირო ნებართვას.

3. „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობაში" წევრებად მიიღებიან მხოლოდ ხელოსნები და წარმოდგენებს საკუთარი ძალღონით დადგამენ.

4. თუ ამხანაგობა საკუთარი საწევრო გადასახადით ვერ დაფარავს წარმოდგენების ხარჯს და თუ საჭიროდ დაინახა, დანიშნავს წარმოდგენაზე შესასვლელ ფასს, მაგრამ ეს ფასი არ უნდა აღემატებოდეს პირველი რიგიდან ბოლომდე ერთ შაურს (5 კაპ.).

5. ამხანაგობის ყოველი წევრი ერთგულად უნდა ასრულებდეს საერთო დავალებასა და თავმჯდომარის განკარგულებას.

6. სასტიკად აკრძალულია რეპეტიციებზე დაგვიანება, როლის უცოდინარობა, რეჟისორის წინააღმდეგობა და სიტყვის შებრუნება რეპეტიციის გაკლის დროს; ვინც დანიშნულ დროზე არ მოვა რეპეტიციაზე (10 წუთით მეტს დაიგვიანებს) ან უწმაწურ სიტყვას იხმარს, რეჟისორისაგან მიცემულ როლზე უარს იტყვის, რეჟისორის შენიშვნას არ მიი-

ღებს ან სხვა რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, — პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება ამხანაგობის სასარგებლოდ ორი შაურიდან ხუთ შაურამდე (10 — 25 კაპ.) ხოლო თუ მესამედაც შენიშნეს, დამნაშავე ამხანაგობიდან გაირიცხება.

7. ამხანაგობის ყოველი წევრი შეძლებისდაგვარად ხალხს უნდა უხსნიდეს თეატრის მნიშვნელობასა და გულში უნერგავდეს სცენისა და თეატრის სიყვარულს.

8. ყოველი სცენისმოყვარე, როცა ტანისამოსს ჩაიცვამს და გრიმს გაიკეთებს, უნდა გამოეცხადოს რეჟისორს, ეჩვენოს და მხოლოდ რეჟისორის დასტურის შემდეგ გავიდეს სცენაზე. წარმოდგენაში მონაწილე სცენისმოყვარე იმ მოქმედების დროს, რომელშიაც მონაწილეობს, თავის ადგილს უნდა იდგეს.

9. ყოველმა სცენისმოყვარემ, როცა როლს მიიღებს, მთელი პიესა უნდა წაიკითხოს და შეიცნოს; როლების განაწილებამდე მთელ პიესას კითხულობენ, რასაც ყურადღებით უნდა ისმენდნენ და ყურად იღებდენ რეჟისორის ახსნა-განმარტებას. მიუღებელია როლის საკუთარი სიტყვებით ჩატარება, სუფლიორის ბუდეისკენ ცქერა, ხალხისკენ ზურგის შებრუნება, წარმოდგენის საღამოს ხალხში გასვლა, წარმოდგენის მსვლელობის დროს თავის დაკვრა, დარბაზში ნაცნობებისაკენ გახედვა და სხვ.

10. აკრძალულია სცენაზე უცხო პირთა შესვლა, კულისებში პაპიროსის მოწევა და სხვ.

11. რომ ყველა სცენისმოყვარემ უკეთ შეიგნოს თავისი როლი და შესაფერისად შეასრულოს, უნდა გაეცნოს ქართულ—მშობლიურ მწერლობას, შეისწავლოს ჩვენი წარსული, დაუკვირდეს ცხოვრების ყოველ მოვლენას, სხვადასხვა ხნოვანებისა და ხასიათის ადამიანთა ზნეჩვეულებას, ლაპარაკ-სიცილს, მიხრა-მოხრასა და სხვ. ამ მიზნით შეიძლება დახმარება მოეთხოვოს ჩვენს მოწინავე მოღვაწეთ და მწერალთ.

12. ეს არის ჩვენი საერთო საამხანაგო წესდება და აქ გამოხატული მიზანი ჩვენი მრწამსი. ვინც ამ ჩვენს წმინდა საქმეს ულალატოს, იყოს გარისხული, და ვინც ახალი წევრი შემოვა. ამ წესდებას უნდა დაემორჩილოს.

ავჭალის აუდიტორია

1892 წლის გაზაფხულზე თბილისში დიდი ხოლერა გაჩნდა. ეპიდემია ხალხს მუსრს ავლებდა, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობას. ხოლერის ბაცილა ადამიანს მშიერ კუჭზე უფრო ეტანება, და შიმშილი ხომ ღარიბთა განუყრელი თანამგზავრი იყო. ქუჩაში ისე ვერ გაიელიდი, რომ

სადმე კუთხეში ძონძებში გახვეულ, ხოლერისაგან დაკრუნჩხულსა და გაშავებულ ადამიანს არ წასწყდომოდი. ქალაქის თვითმმართველობამ უბნებში „ბარაკები" და საჩაიეები გახსნა. ყველა მოქალაქეს უფლება ჰქონდა შესულიყო საჩაიეში, ჩაი დაელია უფასოდ, პური შეეტანებინა და მაძღარი კუჭით ხოლერის ბაცილას შებრძოლებოდა. ერთი ასეთი საჩაიე ქალაქის თვითმმართველობამ ავჭალის ქუჩაზე გახსნა. საბჭოს ქუჩას მაშინ ავჭალის ქუჩა ერქვა და საჩაიეც შუა მოედანში ახლანდელი ფიროსმანის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა საკოლმეურნეო ბაზრის გასწვრივ. გათავდა ხოლერობა და საჩაიეც დაიკეტა.

ამ დროს ქალაქში არსებობდა ეგრეთწოდებული სიფხიზლის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნიკო ხუდადოვი. აი ამ სიფხიზლის საზოგადოებამ ისარგებლა დაკეტილი საჩაიეთი და შიგ ლექციები მოაწყო ბუნდოვანი სურათების ჩვენებით. საჩაიეში დადგეს შემორჩენილი გრძელი სკამები. შენობა გაყოფილი იყო ორ ნაწილად; ერთ ნაწილში, რომელიც უფრო პატარა იყო, ჩაის ასადუღებელი კუბი იდგა: მეორეში — გრძელი სკამები. ამ ორ ოთახს აერთებდა პატარა კარები. სკამების წინ იდგა ეკრანი. ლექციები რუსულ ენაზე იმართებოდა. ჩვენი ყურადღება ამ საჩაიემ მიიპყრო, მით უმეტეს, რომ ჩვენ ყველა სცენისმოყვარე იმ უბანში ვცხოვრობდით. ბევრჯერ ვნატრობდით შიგ წარმოდგენის გამართვას, მაგრამ ჩვენთვის მიუწვდომლად მიგვაჩნდა. ბოლოს გავიგეთ, რომ ამ შენობას გაანაგებს რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი ექიმი ნ. ხუდადოვი. გადავწყვიტეთ გვეცადა ბედი და მივსულიყავით ხუდადოვთან. ამხანაგობამ ხუდადოვთან მოსალაპარაკებლად აგვირჩია მე, ვასო თევდორაშვილი, იოსებ იმედაშვილი და ა. ნიკოლოსოვი (იმედაშვილი ამ დროს სხვა უბანში მართავდა წარმოდგენებს და ვიცნობდით, როგორც ჩვენი სკოლის მოწაფეს). ექიმი ხუდადოვი შინ ავადმყოფებს იღებდა, ჩვენც დრო შევურჩიეთ და მიღების საათებში მივედით ხუდადოვთან. ავუხსენით მისვლის მიზანი, ვუთხარით, ჩვენ თბილისის სახელოსნო სკოლის მოწაფენი ვართ, ორი წელიწადია შინაურულ წარმოდგენებს ვმართავთ უბანში. ჩვენი მიზანია იაფფასიანი წარმოდგენები გავუმართოთ ღარიბ ხალხს; ამისათვის შენობა არა გვაქვს და თუ მოგვიხერხებთ და ნებას დაგვრთავთ თქვენს აუდიტორიაში, სადაც ლექციებს კითხულობთ, ჩვენც გავმართავთ წარმოდგენებს-თქო. ხუდადოვს ძალიან მოეწონა ჩვენი ასეთი თავაზიანი ლაპარაკი და გაუკვირდა კიდეც, რომ ასეთი ახალგაზრდები ამ აზრისანი ვიყავით, ლოყაზე ხელი გაგვიწკაპუნა და გვითხრა:

— ბიჭუნებო, თქვენ ეგ აზრი ვინ შთაგაგონათო?

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ არავის არ შთაუგონებია, რომ ჩვენ გვიყვარს სცენა და ამ დარგში მუშაობა.

ექიმ ხუდადოვის ასეთმა კარგმა მიღებამ და მისმა თანაგრძნობამ აღგვაფრთოვანა (ბოლოს გავიგეთ, თურმე ხუდადოვი ხალხოსანი ყოფილა, ჩვენ მაშინ არც კი ვიცოდით, რა იყო ხალხოსანი). ხუდადოვმა მიგვიწერა წერილი ერთ ქალთან და გვითხრა, წადით და ის შეგიწყობთ ხელსო. ეს ქალი იყო მარიამ ალექსანდრეს ასული არღუთინსკი (თურმე ისიც ხუდადოვის თანამოაზრე ყოფილიყო). გამოვართვით წერილი ხუდადოვს, მადლობა გადავუხადეთ ასეთი თანაგრძნობისათვის და წამოვედით. ეს არღუთინსკის ქალი გოლოვინის პროსპექტზე იდგა (ახლა რუსთაველის პროსპექტი). ვიპოვნეთ მისი სახლი. კარებში ფორმაში გამოწყობილი კარისკაცი ეყენა. კარისკაცს გადავეცით წერილი. წერილი აუტანა, მერე დაბრუნდა და გვთხოვა ავსულიყავით. ჩვენ ცოტა შეეყოყმანდით. ლურჯი ხალათებით, ტალახიანი ჩუსტებით მოდი და ადი ამ გასანთლულ, გაპრიალებულ კიბეზე. მაინც გავბედეთ და ავედით, შევედით კარგა მოზრდილ მდიდრულად მოწყობილ ოთახში. კარებში გავჩერდით, იქვე მრგვალი მაგიდა იდგა, იმის გვერდით სკამი. მე იმ სკამზე ჩამოვჯექი, ტალახიანი ფეხები მაგიდის ქვეშ შევაწყე. გამოვიდა მარიამ არღუთინსკი, დიდის სიხარულით მიგვიღო და გვთხოვა მეორე დღეს იმასთან მივსულიყავით სკოლაში, რომლის გამგედაც ის იყო. ეს სკოლა იყო ერევნის მოედანზე (ამჟამად ლენინის მოედანი). გათენდა მეორე დღე და ჩვენ ოთხივემ ამ სკოლის კარი შევაღეთ. იქ შეგვხდა მარიამ არღუთინსკის თანამოაზრე, იმ სკოლის მასწავლებელი ვერა დავითის ასული ქართველიშვილი (შემდეგ მიქაბერიძისა). ამ ქალმა რომ დაგვინახა, ორივე ხელი გაშალა და მოგვმართა, სადა ხართ, ჩვენ თქვენისთანა ყმაწვილებს ვეძებთო. ჩვენ გაგვახარა ამ სიტყვებმა; ასეთმა თანაგრძნობამ ენერგია ერთი-ორად შეგვმატა. აი ამათ აგვიღეს პირველად წარმოდგენის გამართვის ნებართვა მაშინდელი პოლიცმეისტრისაგან, მიგვიწერეს არშაკუნის თეატრთან. იქიდან მოგვცეს წინა ფარდა და რამდენიმე დეკორაცია. შევუდექით სცენის გაკეთებას. ხელოსნის დაქირავება არ გვჭირდებოდა, რადგან ხელოსნები ჩვენ თვითონ ვიყავით, მე — დურგალი, დანარჩენები ზეინკლები. გავანგრიეთ გატიხრული კედელი, დავშალეთ ჩაის ასადუღებელი კუბი, გადავყარეთ იმის ღორღი. იქვე მახლობლად ხე-ტყის მასალა ქარხნიდან გადმოვიტანეთ შეგროვილი ფულით და შევუდექით სცენის გაკეთებას. სცენა მალე დავამთავრეთ. სულ 17 მანეთნახევარი დაგვიჯდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გრძელი სკამები შიგვე იდგა. დასადგმელად ავირჩიეთ ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. კატინას როლის მოთამაშე ქალი არა გვყავდა, თუ უბნებში ბიჭი თამაშობდა ქალის როლს, ახლა ეს აღარ შეიძლებოდა, რადგან ოფიციალური წარმოდგენა იყო. ვიშოვნეთ ერთი მოსარეცხე დედაკაცი, გვარად ... ...ი, ვკითხეთ, რა უნდა მიგვეცა გასამრჯელო, იმან გვითხრა;

— აი, შვილო, მე დღეში თოთხმეტ შაურად ვმუშაობ, მომეცით ეს საფასურიო. ჩვენ დავთანხმდით. ამ საუბნო წარმოდგენებში რეჟისორობას მე ვეწეოდი და ახლა რაკი ოფიციალურად უნდა გაგვემართა წარმოდგენა. ავირჩიეთ რეჟისორად იოსებ იმედაშვილი, როგორც ჩვენზე უფრო გამოცდილი. და შევუდექით რეპეტიციას. კატინას მოთამაშე ქალმა იმედოვმა წერა-კითხვა არ იცოდა და როლი ზეპირად შევასწავლეთ. მე ვთამაშობდი ჩემ საყვარელ როლს გიჟუას. მოვამზადეთ პიესა, მოვაწყეთ სცენა. და პირველი სახალხო თეატრის სცენის ფარდა აიხადა. ეს იყო 1893 წ. სექტემბერში. შესვლა უფასო იყო. აუარებელი ხალხი მოგვაწყდა. დაესწრო თვით ექიმი ხუდადოვიც და გვისურვა წარმატება. ხუდადოვის რჩევით ფანჯრები გავაღეთ (მაშინ აუდიტორიას გვერდზე ფანჯრები ჰქონდა) ჰაერი შემოვიდესო. გაღებისთანავე ჰაერთან ერთად ხალხიც შემოცვივდა და რამდენიმე მინა გაგვიტეხეს.

ამ ოფიციალური წარმოდგენის დროს ამხანაგობას მოემატნენ მიშა თუშმალიშვილი, გიორგი მურმანიშვილი, დათიკო სხირტლაძე, ივანე ინასარიძე, ილიკო სუხიშვილი. ამ პირველი წარმოდგენის შემდეგ ექიმ ხუდადოვს ვთხოვეთ ნება მოეცა ბილეთების ფასი თითო შაური დაგვეწესებინა ხარჯების დასაფარავად. ხუდადოვმა ნება დაგვრთო. სულ იყო 20 რიგი. იტევდა 287 კაცს. შემოსავალი იყო 14 მანეთი და შვიდი შაური.

მეორე წარმოდგენა იყო „და-ძმა" ვ. გუნიასი. ამ წარმოდგენის დროს ამხანაგობას შემოგვიერთდა მოწაფე ქალი ეკატერინე იოსელიანი (შემდეგ ჩემი მეუღლე — ეკ. ჯაბაური) და მარინეს როლი ითამაშა. მე გაიოზ ფაღავას ვთამაშობდი. ეს იყო პირველი სცენისმოყვარე ქალი, რომელმაც გაბედა სახალხო თეატრის სცენაზე გამოსვლა. მაშინ ქალებს სირცხვილად მიაჩნდათ ეს, და ეს გარემოება ძალიან გვაფერხებდა, რადგანაც ერთი ქალით წარმოდგენების მართვა გაგვიძნელდებოდა. მესამე წარმოდგენა იყო „არსენა" ალ. ყაზბეგისა. წარმოდგენის დროს სცენა ცოცხალი ხეხილით და ნამდვილი ღობით მოვაწყეთ. რადგან ტყის დეკორაციები არა გვქონდა. ეკატერინე იოსელიანი ნინოს როლს თამაშობდა, მე არსენა ვიყავი. ასე, თანდათანობით დავიწყეთ წარმოდგენების მართვა. მალე საზოგადოების ყურადღება დავიმსახურეთ და ბევრი ინტელიგენტი ქალი და კაცი შემოგვიერთდა. ზოგი გამგეობის წევრად იყო, ზოგი სცენაზე მონაწილეობდა. ესენი იყვნენ ან. ჩაჩიბაია, ეკ. წულუკიძე, მწერალი თედო სახოკია, მწერალი ნინო ნაკაშიძე, ლექტორი ილია ნაკაშიძე, იოსებ ქუთათელაძე, სვიმონ ჯუღელი, ნინო დავითაშვილი — (ახლა სახალხო არტისტი) სოფიო ციციშვილი, ლომოურის ქალი, თამარ ქუჩუკაშვილი, მარიამ დემურია, ილიკო აგლაძე, სოფიო რომანიშვილი, ნ. გოცირიძე, სოსო რომანიშვილი, გრიშა ანაშვილი, კოტე ხახანაშვილი, როზანოზ სალაყაია, გენო ქობულაშვილი, გიგო გელიკურაშვილი,

შალვა ხონელი, ვასო ურუშაძე, მარო მდივანი, ვასო რაქვიაშვილი, სანდრო ბაქრაძე, გიორგი ლასხიშვილი, კოლა სარჯალიძე, დიმიტრი ბაქრაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გოგოლაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ელისაბედ ბარათაშვილი, პიერეტა საგინაშვილი, დათიკო კაჩაური და სხვ.

ჩვენს წარმოდგენებს ხალხი მუდამ აუარებელი ესწრებოდა. მაყურებლებიდან ისეთებიც იყვნენ, რომლებიც წინასწარ ყიდულობდნენ რამდენიმე ბილეთს და წარმოდგენის საღამოს ძვირად ჰყიდდნენ. ამას შევებრძოლეთ. ჩვენი მიზანი იყო წარმოდგენებს ქარხნის მუშების უმრავლესობა დასწრებოდა, ამისათვის ისე მოვაწყეთ, რომ ბილეთები ქარხნებში მიჰქონდათ. ყოველი ქარხნიდან გვყავდა წარმომადგენელნი (ნაწილი მე მიმქონდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოში); ბილეთები საამქროებში მიჰქონდათ და მუშებს ნისიად ურიგებდნენ ჯამაგირის მიღებამდე. ეს გარემოება უადვილებდა მუშებს წარმოდგენებზე დასწრებას და ამით ჩვენს მიზანს მივაღწიეთ. ბილეთების ფასი იყო შაურიდან ორ შაურამდე. ბილეთების მცირე ნაწილი იყიდებოდა სალაროში. რამდენიმე ადგილზე ბილეთები არ იყიდებოდა; ეს ბილეთები შენახული გვქონდა სტუმრებისათვის და იმ სცენისმოყვარეთათვის, ვინც იმ ღამეს არ მონაწილეობდა. ჩვენი რეპერტუარი შედგებოდა შერჩეული პიესებისაგან. იმართებოდა დივერტისმენტი, ვკითხულობდით რევოლუციური შინაარსის ლექსებს. გაიარა ხანმა, დაიწყო მუშათა მოძრაობა. საამქროებში ჩამოყალიბდა ფარული ორგანიზაციები. მაშინ ჩვენთან იყვნენ საამქროს წარმომადგენლებიც. სხვადასხვა ფარდულებში იმართებოდა არალეგალური წრეების მეცადინეობა პოლიტიკურ საკითხებზე. თანდათანობით მუშები კულტურულად მოემზადნენ, ჩვენს წარმოდგენებს უფრო ყურადღებით ისმენდნენ და მათთვის მოსაწონ ყველა სიტყვაზე მსახიობს ტაშით აჯილდოებდნენ. ზოგიერთი ვეღარ ითმენდა და იყო ხოლმე გამოძახილიც. ჩვენც ვცდილობდით რევოლუციური პიესებითა და ლექსებით გაგვეწია მათთვის მასპინძლობა. მახსოვს ერთხელ დივერტისმენტში წავიკითხე ლექსი სათაურით „ნატვრა". ლექსმა დიდი ზემოქმედება მოახდინა მაყურებლებზე, ტაშის გრიალს დასასრული არა ჰქონდა. ლექსის ავტორის გვარი არ მახსოვს. გაზეთ „კვალში" ამოვიკითხე. მომყავს ეს ლექსი:

ნ ა ტ ვ რ ა

როს ნანატრ დროის დაჰკრას საათმა.
ცას მოეკლინოს ძლევის ციხკარი,
თავისუფლების იპეკოს ხმამა
და მტერს დაეცეს შიშისა ზარი:
როს ძლევის ველზე ნელმა ნიავმა
მძლეველი დროშა ააფრიალოს,

იმ დროის შვილო, შენ გთხოვ ვედრებით,
მონახე მაშინ ჩემი საფლავი.
მითხარი ტანჯვის დროინდელ შვილსა,
მწარე ტანჯვითვე საფლავში ჩასულს,
თუ რა ძალა აქვს მაგ შენ დროს ტკბილსა,
ჩემსა იდეალს, ჩემგნით ვერ ნახულს.
მითხარი მეთქი, გაფიცებ მაგ შენს
ძლევის გვირგვინსა — თავისუფლებას,
და აგრძნობინე ის შვება ჩემ ძვლებს,
რომ ბანი მისცეს შენს ნეტარებას.

წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ლექსის წაკითხვას იმ დროს, როცა მუშა თანდათან ერკვეოდა თავის მდგომარეობაში. ამ ლექსით დიდი სახელი მოვიხვეჭე ქარხნის მუშათა შორის. მე რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ვმუშაობდი (ახლა სტალინის სახელობის ორთქლ-მავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხანა). სადურგლო საამქროში. იქ მუშაობის დროს დავუახლოვდი მოწინავე არალეგალურ წრეებში მომუშავეებს ვანო სტურუას, ზაქარია ჩოდრიშვილს, გიორგი თელიას და სხვ. თუმცა ისეთ აქტიურ მონაწილეობას არ ვიღებდი მათს საქმიანობაში. რადგანაც მთელ ჩემ თავისუფალ დროს სახალხო თეატრს ვანდომებდი, მაგრამ სულით და გულით მათთან ვიყავი, დავდიოდი და ვმეცადინეობდი არალეგარულ წრეებში. ვეხმარებოდი არალეგალური ბროშურების, პროკლამაციების გავრცელებაში. ჩემს სახლში ინახებოდა ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი სწრაფი მოწოდებები და სხვ.

ჩვენი თეატრი მარტო წარმოდგენის მოსაწყობად არ იყო განკუთვნილი. აქ ხშირად მუშების არალეგალური კრებები იმართებოდა, დისპუტებიც ეწყობოდა ამა თუ იმ საჭირბოროტო პოლიტიკურ საკითხებზე და სხვ. პროკლამაციების საწყობადაც ვიყენებდით ჩვენს აუდიტორიას. მუშებს უყვარდათ ეს აუდიტორია და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ წარმოდგენის მსვლელობის დროს პროკლამაციები დაეყარათ, როგორც სხვა თეატრებში ხდებოდა, და ამით საბაბი მიეცათ პოლიციისათვის აუდიტორია დაეკეტა და სპექტაკლები აეკრძალა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე თავის მოგონებაში წერს: „სახალხო თეატრს ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. წრის წევრები არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ, აუდიტორია მათთვის კარგი ბინა იყო. ვითომდა რეპეტიციებისათვის შეკრებილნი ნამდვილად საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ და ბრძოლის გეგმებს აწყობდნენ“ (გვ. 48).

ჩვენს პატარა აუდიტორიას, რასაკვირველია, საკუთარი არც რეკვი-

ზიტი ჰქონდა და გარდერობზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თბილისში ამ დროს კერძო პირებმა მოაწყეს თეატრალური გარდერობი და ტანსაცმელს აქირავებდნენ. ჩვენი აუდიტორიის წარმოდგენების შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ გარდერობის ქირას არ ეყოფოდა. ამიტომ სცენისმოყვარეებს გვევალებოდა შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ თვითონ გვეშოვნა ტანსაცმელი. ტანსაცმელს იმ შემთხვევაში ვქირაობდით, როცა კლასიკურ ან ისტორიულ პიესებს ვდგამდით. ამ ტანისამოსის შოვნაზე მომაგონდა ერთი კურიოზი. ვდგამდით ალექსანდრე ყაზბეგის „არსენას". მე ვთამაშობდი არსენას როლს და მჭირდებოდა გლეხური ჩოხა-ახალუხი. სწორედ იმ დღეს, როცა სპექტაკლი უნდა დაგვედგა ავპალის ქუჩაზე (ახლანდელი საბჭოს ქუჩა), ჩვენი აუდიტორიის მახლობლად ჩვენებურ (ლამისყანელ) გლეხს შევხვდი. გლეხი ჩემი კარგი ნაცნობი იყო, იოსება ერქვა, მეტ სახელად ჭრიღოს ეძახდნენ. სოფელში ხომ იშვიათია, რომ მეტი სახელი არ ჰქონდეს კაცს შერქმეული. მოვიკითხეთ ერთმანეთი და ჩამოსვლის მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, დედაჩემი აქ შინამოსამსახურედ არის და იმის სანახავად ჩამოვედიო. რაკი შევიტყე, რომ იმ ღამეს თბილისში რჩებოდა, ვუთხარი:

— ამაღამ აქ, ხელით ვანიშნე ავპალის აუდიტორია, წარმოდგენა გვაქვს. მოდი წარმოდგენას განახვებ და შენი ჩოხა-ახალუხი და ქალამნები გვათხოვე-მეთქი. ხელი მოვკიდე და აუდიტორიისაკენ მინდოდა წამეყვანა. ჩემმა მეზობელმა გლეხმა უკან დაიხია და ეკვის თვალით შემომხედა. იფიქრა, უეჭველია გიორგი ჯაბაური ქურდების ჯგუფში მოხვედრილა და ჩემი გაძარცვა უნდაო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ჭრიღო ვერ დავარწმუნე ჩემს სიმართლეში. ამ ლაპარაკის დროს გამოიარა ჩვენმა გამგეობის თავმჯდომარემ მარიამ დემურიამ, მივმართე დემურიას და ვუამბე ჩემი გასაჭირი. დემურიამ ხელი მოჰკიდა გლეხს და უთხრა: ჯაბაური მართალს გეუბნება, შვილო. გლეხმა რომ დაინახა დარბაისელი ქალი, ენდო და წამოგვყვა. ჩოხა-ახალუხი და ქალამნები გავხადეთ, ჩვენი ტანსაცმელი ჩავაცვით, პირველ რიგში დავსვით და სპექტაკლი ვანახვეთ. ჭრიღოს ლამისყანაში ხმა დაერხია. ჯაბაურიანთ ბიჭს ბერიკობა დაუწყია და კარგად ადგენს ყაჩაღებსო. ჭრიღოს ამბავი როგორ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ქალაქის ბევრმა მკვიდრმა თეატრისა არაფერი იცოდა. თეატრი მაშინ ახალი ხილი იყო და ბევრი მას უნდობლად უყურებდა.

ერთხელ გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს" სპექტაკლზე ჩემი მეზობლები დავპატიჟე. პეპო ჩემი ერთ-ერთი საყვარელი როლი იყო და მინდოდა მეზობლებს ვენახე ამ პიესაში. მადლობის ნაცვლად დიდი საყვედური დავიმსახურე, გიორგიმ გაგვამასხარავა და ჩვენი ოჯახის ამბავი „თეატრში" წარმოადგინაო. საქმე შემდეგში იყო: როგორც ვიცით, პეპოს დას კეკეს სიძე თავს ანებებს ქრთამის მიუცემლობის გამო. პეპოს

ოჯახის ტრაგედია აქედან იწყება. დანიშნულზე ხელის აღება მაშინ დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თურმე ჩემს მეზობლებსაც ანალოგიური შემთხვევა დაემართა. სიძეს შეპირებული ქრთამი (მზითევს ასე უწოდებდნენ წინათ) ვერ მისცეს თურმე და თავისი მოტანილი ბელგა უკან მოითხოვა. ჩემს მეზობლებს ეგონათ, ეს ამბავი მე ვიცოდი და სცენაზე გავაბიაბრუე. ბევრი ვუმტკიცე, რომ ეს პიესა გაბრიელ სუნდუკიანცმა დაწერა და აზრადაც არა მქონია მათი ოჯახისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. დიდხანს უმძრახად იყო ეს ოჯახი ჩემთან.

სახალხო თეატრმა დიდი როლი შეასრულა მუშათა გათვითცნობიერების საქმეში. ჩვენსა და მაყურებელს შორის მჭიდრო კავშირი იყო დამყარებული. თუ სცენაზე გმირი იტანჯებოდა, მაყურებელიც მასთან ერთად ცრემლს აფრქვევდა, გმირის სიხარული მაყურებლის სიხარული იყო. მაყურებელსა და სცენას შუა ზღუდე თითქოს ქრებოდა და ყველანი ერთი აზრით იმსჭვალებოდნენ.

ერთხელ ,,რაც გინახავს, ველარ ნახავს'' ვდგამდით. მე გიჟუას როლს ვასრულებდი. როდესაც გიჟუა თავადს გაბრაზებით მიმართავს: ,,შენი დრასტიც კი დაიქცაო'', მე ხელი დარბაზში მჯდომი ბოქაულისაკენ გავიშვირე მაშინ ყველა სპექტალს ბოქაული ესწრებოდა), და ხალხმა კარგად გაიგო, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს სიტყვები. სიცილი ატყდა, მაგრამ მალე ისევ თავი შეიკავეს, რომ ბოქაული არ მიმხვდარიყო და სპექტაკლის მსელელობისათვის ხელი არ შეეშალა. რადგან მე უფრო ხშირად დადებით გმირებს ვასახიერებდი, მაყურებელი დიდი სიმპათიით მხვდებოდა და ჩემს გამოსვლას ყოველთვის ტაშით აჯილდოებდა. სცენისმოყვარეა თუ მსახიობი, სულერთია, ტაში და ,,ვაშა'' მისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

ჩემი მუშაობა მარტო ავჭალის აუდიტორიით არ განისაზღვრებოდა. ხშირად ვიღებდი მონაწილეობას ავლაბრის, ხარფუხის, საბურთალოს, ნაძალადევის და სხვა უბნების დრამატული წრეების წარმოდგენებში. ხშირად მიწვევდნენ ამა თუ იმ უბნის სცენისმოყვარეები დასახმარებლად, რჩევა-დარიგებისათვის და სხვ. ერთხელ — წელიწადი აღარ მახსოვს — სცენისმოყვარე გიორგი მჭედლიშვილმა მიმიწვია კერძო ბინაზე რეპეტიციაზე. ღრმა მოხუცს ველარ გამიხსენებია, რა პიესას ამზადებდნენ. ის კი კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ერთი ახალგაზრდა პირტიტველა ბიჭი სხაპასხუპით კითხულობდა პიესას. ეს სუფლიორი გახლდათ ჩვენი სახელოვანი პოეტი სოსო გრიშაშვილი. იოსებ გრიშაშვილი ჩაება სცენისმოყვარეთა მუშაობაში, ბოლოს ქართულ დრამატულ პროფესიულ დასში სუფლიორობდა და პატარ-პატარა როლებსაც ასრულებდა.

ჩვენ, ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარე მუშები, ქართველი ინტელიგენციისათვის ცნობილი გავხდით. გაზეთ ,,კვალის'' ერთი თანამშრო-

მელი სოფიო ციციშვილი ჩვენს სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას. მისი წყალობით გავიცანით ანასტასია წერეთლისა (გაზეთ „კვალის" რედაქტორი) და მისი მეუღლე ცნობილი მწერალი და თეატრალი გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელმა დიდი ყურადღება მოგვაქცია და ყოველმხრივ გვეხმარებოდა, რომ უკეთ წარგვემართა საქმე. სისტემატურად გვიმართავდა საუბრებს, გვაცნობდა საქართველოს ისტორიას და გვინერგავდა სამშობლოს სიყვარულს. გიორგი წერეთლის ღვაწლი ფასდაუდებელია ჩვენთვის. რამდენ მუშას აუხილა მან თვალი და შთაუნერგა ხალხის სიყვარული. იგი მუშების მეგობარი, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო.

ამას წინათ შემთხვევით ხელში ჩამივარდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის საიუბილეო კრებული. მეტად შინაარსიანმა და საინტერესო კრებულმა დამაინტერესა და გულდასმით გადავიკითხე. როგორც თეატრის ძველმა მუშაკმა ერთ გარემოებას მივაქციე ყურადღება. რა გიგანტური ნაბიჯია გადადგმული. რამდენი მუშაკი ჰყოლია თეატრს. ამ შემთხვევაში მაინტერესებს ტექნიკური პერსონალი, ადმინისტრატორი, რეკვიზიტის გამგე. ელექტროგანათების გამგე, გრიმიორი, გარდერობის გამგე. სცენის მემანქანე, კაპელდინერები და მრავალი სხვა. ავკალის აუდიტორიის მთელი პერსონალი კი ერთი კაცისაგან შედგებოდა. ეს იყო თეატრის დარაჯი. არც მოლარე გვყავდა. არც კონტროლიორი. სალაროში მორიგეობით სხდებოდნენ გამგეობის წევრები, კონტროლიორობასაც გამგეობის წევრები ეწეოდნენ და წესრიგსაც ისინი იცავდნენ. გამგეობის მორიგე წევრს უნდა აეღო სპექტაკლის ნებართვა, აფიშები დაებეჭდინებინა და უზრუნველეყო მათი გაკვრა ქალაქის ქუჩებში. მორიგესვე უნდა ეშოვნა ტანსაცმელი. ამავე მორიგეს უნდა შეეტყობინებინა სცენისმოყვარისათვის. რომ როლი მიეღო. რეპეტიციაზე მოსულიყო და სხვ.

სპექტაკლის დროს დარბაზში წესრიგს გამგეობის მორიგე წევრები იცავდნენ. წესრიგის დამცველებს ქარხნის მუშებიც ეხმარებოდნენ. ერთი შაქრო იტანოვი იყო. არც ერთ წარმოდგენას არ დააკლდებოდა, იდგა კარებში და წესრიგის დამცველს ეხმარებოდა. ხშირად მაყურებელი შეზარხოშებული შემოდიოდა დარბაზში. ზოგს ხელადა ღვინო და საუზმე შემოჰქონდა. რამდენი ტაქტი იყო საჭირო, რომ ასეთი თავზეხელაღებული მაყურებელი დაგეწყნარებინა და ჩაგეჩუმებინა.

ქართული დრამატული საზოგადოება დიდ დახმარებას გვიწევდა. ჩვენი თეატრის გამგეობის ერთი წევრი. სახელდობრ გიორგი ლასხიშვილი. ამავე დროს დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრიც იყო. ის ძალიან გვეხმარებოდა. მისი ინიციატივით ქართულმა დრამატულმა თეატრმა მოგვცა დეკორაციები და 50 მანეთი ფულად. ამ თანხით აუ-

დიტორიის წინა დერეფანი შეეკეთეთ. პროფესიული თეატრი თავისი გარდერობიდან ყოველთვის უფასოდ გვითმობდა ტანსაცმელს. ისეთი შთაბეჭდილება იყო შექმნილი, თითქოს ჩვენ მათი ფილიალის მუშაკები ვიყავით. ჩვენ, სცენისმოყვარეებს, დრამატული საზოგადოება გვაძლევდა კონტრამარკებს და ამით საშუალება გვეძლეოდა დავსწრებოდით მათს სპექტაკლებს. დიდი ოსტატების ყურება ჩვენთვის სკოლა იყო. თუ დრამატული საზოგადოება ასე გვიწყობდა ხელს, სამაგიეროდ მეფის მოხელეები და პოლიცია ყოველნაირ დაბრკოლებას გვიქმნიდნენ, რათა მუშათა გათვითცნობიერების ეს კულტურული კერა ჩაეხშოთ და დაესამარებინათ.

1898 წელს გამოსცეს ცირკულარი — იმ შემთხვევაში გვქონდა უფლება გაგვემართა წარმოდგენა, თუ იმავე ღამეს ერთ მოქმედებას რუსულად წარმოვადგენდით. ჩვენ ამან ვერ შეგვაშინა. ჩვენს გამგეობაში იყვნენ მწერალი თედო სახოკია, ინტელიგენტები ანიკო ჩაჩიბაია და ეკატერინე წულუკიძე. აი ეს პირები შეუდგნენ რუსული პიესის მომზადებას. არჩეულ იქნა ანტონ ჩეხოვის ,,დათვი''. ყოველი ქართული წარმოდგენის წინ ამ ვოდევილს ვდგამდით. თედო სახოკიას აქცენტით რუსული გამოთქმა ამ ენის მცოდნეთ ღიმილსა ჰგვრიდა. თვითონ თედო, როგორც მსახიობი, ვერაფერი შვილი იყო. თედოს უმწეო მდგომარეობა ნხიარულ გუნებაზე აყენებდა ყველას. თვითონ მოთამაშეც თავს ვერ იკავებდა და ბევრს იცინოდა. მალე ეს ცირკულარი გაუქმდა და ჩვენც განვაგრძეთ სპექტაკლების თავისუფლად დადგმა.

საყურადღებოა მოვუსმინოთ გამგეობის წევრს გ. ლასხიშვილს, რომლის ,,მოგონებანი'' გამოიცა 1933 წელს: ,,უცნაურ და მძიმე პირობებში იდგამდა ფეხს ქართული სახალხო თეატრი. ერთის მხრივ მაშინდელი მთავრობის გაზვიადებული ეჭვიანობა და თავდაუდებელი რეგლამენტაცია. მეორე მხრივ ეროვნული დამცირება და დევნა. ბოლოს საზოგადოების გულგრილობა, სრული ინდეფერენტიზმი. ყველაფერი ეს მეტისმეტად აძნელებდა ამ მცირერიცხოვანი წრის მუშაობას, რომელმაც თავს იდვა ამ დიდი საქმის დაწყება.

მართალია თვით ცხოვრების დაჟინებითი მოთხოვნა იყო სახალხო თეატრის არსებობა და ადრე იქნებოდა თუ გვიან, ეს საქმე გაძლიერდებოდა და განვითარდებოდა, მაგრამ თუ მაშინ იგი არ მოკვდა და განსაცვიფრებელი ენერგიით იბრძოდა მრავალ ფრონტზე, ეს აიხსნება იმ უზომო სიყვარულით, რომლითაც გამსჭვალული იყო სახალხო თეატრის მცირერიცხვი სცენისმოყვარეთა, როგორიც იყვნენ ნიკო გოცირიძე, გიორგი ჯაბაური და სხვები'' (გ. ლასხიშვილი. ,,მემუარები'', გვ. 27).

ყოველი სპექტაკლი, რომელსაც კი ვდგამდით ავჭალის აუდიტორია-

ში, პარალელურად მეორდებოდა რკინიგზის თეატრში. ეს თეატრი მდებარეობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოს (ახლა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა) წინ გასავალ კართან. ამ თეატრში მისასვლელი გზა სადგურიდან იყო. ტანისამოსის ბოხჩით ხელში რამდენიმე ვაგონის ქვეშ უნდა გამძვრალიყავით, რომ თეატრში მივსულიყავით. ძნელი იყო თეატრში მისვლა. როცა ავდარი ან ზამთრის ყინვები იყო. ავპალის აუდიტორიის და რკინიგზის პატარა სცენაზე იდგმებოდა სააგიტაციო პიესები, როგორიც იყო ტრიფონ რამიშვილის „მეზობლები“, პოლიო ირეთელის (კალანდაძის) „დამარცხებულნი“, დრამები და კომედიები „ორი ობოლი“, „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. გ. სუნდუკიანცის „პეპო“. ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“, ანტონ ფურცელაძის „ავაზაკები“, ავქსენტი ცაგარლის კომედიები, ივანე მაჩაბლის მიერ გადმოკეთებული „ადეოკატი მელაძე“, კოტე მესხის მიერ გადმოკეთებული „ნელანიას ოინები“, იბსენის „ექიმი შტოკმანი“, ს. იუშკევიჩის „ქალაქში“. იერემია გულისაშვილის „დრონი მეფობენ“, ვალერიან გუნიას „და-ძმა“, რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. გიორგი ერისთავის „ძუნწი“ და მრავალი სხვა. ამ ჩვენს პატარა სცენაზე რეჟისორობდნენ იოსებ იმედაშვილი, იერემია გულისაშვილი. ნიკო ავალიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ილია აგლაძე, გედეონ გედევანოვი (მირაღიანი). ვიქტორ გამყრელიძე, კოტე ყიფიანი, სვიმონ სვიმონიძე. შალვა დადიანი ალექსანდრე ბადრიძე და სხვ.

როცა რეჟისორი არა გვყავდა, ჩვენ თვითონ. წრის წევრები, მორიგეობით ვდგამდით პიესებს. რა აიძულებდათ ამ წარჩინებულ ჩვენს მოღვაწეებს რკინიგზის ვაგონებ ქვეშ გამძვრალიყვნენ და რეპეტიციებზე ან სპექტაკლებზე მოსულიყვნენ? ისინი ხომ არავითარ გასამრჯელოს არ იღებდნენ? ხალხის სიყვარული — აი პასუხი ამ კითხვაზე. სახალხო თეატრის ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს ამ თეალსაჩინო მოღვაწეებს და მუდამ მადლობით მოიხსენიებს მათს ამაგს.

ჩვენი მაყურებლები ნაკლებად იცნობდნენ ქართული თეატრის დიდ მსახიობებს. ბევრს ამ თეატრის შენობაც კი არ ენახა. აბა მუშა როგორ შეძლებდა მანეთი გადაეხადა და წარმოდგენას დასწრებოდა. ბილეთების სიძვირესთან ერთად ეს თეატრი ქალაქის ცენტრში იყო, მუშათა უბნებს ძლიერ დაშორებული.

მაგალითად, როგორ შეძლებდა მუშა ღამის 12 ან პირველ საათზე გოლოვინის პროსპექტიდან შავსოფელში, ძაღლისუბანში ან ნაძალადევში წასულიყო, როცა ტრანსპორტი თითქმის არ იყო და ქუჩებიც სიბნელით იყო მოცული. ცენტრშიც კი არ იყო ხეირიანი ქვაფენილები და ღამის წყვდიადში ლაფში სიარული ვის ეამებოდა.

ჩვენი ბუმბერაზი მსახიობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თუ მუ-

შები მოკლებული იყვნენ საშუალებას ენახათ ისინი დიდ თეატრში. ეს სახელოვანი მსახიობები სრულიად უანგაროდ სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას ჩვენს სპექტაკლებში. ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და მრავალი სხვა ჩვენი მუდმივი პარტნიორები იყვნენ. ჩვენს სპექტაკლებში მათმა მონაწილეობამ ერთი კურიოზი გამახსენა. რკინიგზის პატარა თეატრში იბსენის „ექიმი შტოკმანი" დავდგით. მთავარი როლის შესრულება ქართველი ერის საამაყო მსახიობმა ლადო მესხიშვილმა იკისრა. გულისფანცქალით მოველოდით ყველანი დიდი ლადოს გამოსვლას. ყველას გვეშინოდა ხელი არ შეგვეშალა მისთვის, დროზე გვინდოდა მიგვეწოდებინა ჩვენი რეპლიკები ამ იშვიათი ხელოვანისათვის. ეს ნეტარი დღეც დადგა. მოწინავე მუშები სცენაზე ლადო მესხიშვილის გამოჩენას მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ. სცენის ჯადოქარმა თავისი დიდი ოსტატობით მოხიბლა ყველა. ჩვენ, მისი პარტნიორები, საბრალოდ მოვჩანდით მასთან. დაეშვა ფარდა და მსახიობის გამოძახებას დასასრული არ ჰქონდა. მაგრამ დარბაზში აღმოჩნდა ორიოდე ჩემი „ბოლელშჩიკი" და საერთო შეძახილში დისონანსად გაისმოდა: „ჯაბაური, ჯაბაური". მე შემრცხვა, არ იფიქროს დიდმა ხელოვანმა, რომ ძალად მაცხონე „კლაკიორები" დავიხმარე-მეთქი. ვუხმე წესრიგის დამცველს და მოვუწოდე არამკითხე დამხმარეებს შეეწყვიტათ ჩემი გვარის დაძახება, რაც შესრულებულ იქნა. ყველა მოქმედების დამთავრების შემდეგ მუშები არ ეშვებოდნენ მსახიობს და დაუსრულებლივ იძახებდნენ. ლადო მესხიშვილი კი უჩვენოდ არ გადიოდა, წინა პლანზე ჩვენ გვაყენებდა და თვითონ გვიკრავდა ტაშს. რა ნეტარი წუთები იყო, როცა ეს ბუმბერაზი თავის ამხანაგად გვთვლიდა და ტაშს გვიკრავდა. რამდენადაც დიდი მსახიობი იყო ლადო მესხიშვილი, იმდენად უბრალო იყო, მუშების ნამდვილი მეგობარი. მე ხომ ამ თეატრის სცენის დურგალი ვიყავი, ავეჯის შემკეთებელი. ჩვენ, მუშებს, მასზე მახლობელი მეგობარი არა გვყავდა. ლადო მესხიშვილი გაურბოდა მაღალი წოდების ხალხთან მეგობრობას. რამდენადაც ვიცი, მათს წრეში არ ტრიალებდა. ჩვენთან, მუშებთან კი ხშირად იყო. რა დიდი მსახიობი იყო და უბრალო ადამიანი.

განა ასეთივე ჩვენი მეგობარი არ იყო ნატო გაბუნია. ის თითქმის სულ ჩვენთან იყო, ჩვენი დამრიგებელი, ჩვენი დედა და და. ნატო სისტემატურად იღებდა მონაწილეობას ჩვენს სპექტაკლებში. სხვა მსახიობებიც მოჰყავდა და სრულიად უანგაროდ ემსახურებოდა მუშათა გათვითცნობიერების საქმეს. ჩვენთან ხშირად იყვნენ ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, სოსო ივანიძე და მრავალი სხვა.

ავჭალის აუდიტორიას თავისი მუდმივი მაყურებელი გაუჩნდა. ჩვენს სპექტაკლებზე ცარიელ სკამს ვერ ნახავდი. პირიქით, პატარა დარბაზი

მსურველთ ვერ იტევდა და დღის წესრიგში დაისვა სხვა შენობის გამონახვის საკითხი. პრესაში იწერებოდა წერილები სახალხო სახლის აშენების საჭიროებაზე. კამათიც კი გაიმართა, სად იქნებოდა უმჯობესი აშენებულიყო მუშათა თეატრი. ამ საკითხს „კვალიც" გამოეხმაურა და მის ფურცლებზე შემდეგი წერილი დაიბეჭდა:

შინაური მიმოხილვა. „ეს ერთი ხანია რუსულ გაზეთებში კამათია იმის შესახებ, თუ სად აშენდეს სახალხო სახლიო. სახალხო სახლი განსაკუთრებით დაბალი ხალხისათვის არის დანიშნული. ამისათვის ისეთ ალაგას უნდა აშენდეს, სადაც მუშაკაცს ადვილად შეეძლება მისვლა და დროს გატარება. ასეთი ადგილი უეჭველია კუკია არის. ქალაქის ამ ნაწილს აკრავს სახელოსნოების და ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა. სახალხო სახლის ამშენებელ კომისიას კი გადაუწყვეტია სახლი ვერაზე მტკვრის პირას ააშენოს. ეს, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი ცენტრია ქალაქისათვის. არ ვიცი, საიდან ვინ უნდა მივიდეს იქ. თბილისის ყველა მცხოვრებთათვის, გარდა ვერელებისა, რასაკვირველია შორს არის ეს ადგილი, ხოლო ფაბრიკა-ქარხნები სრულებით სიახლოვეს არ არიან (ახლოს არის მხოლოდ სარაჯიშვილის ქარხანა). ამას თვითონ კომისიაც გრძნობს და თავის გასამართლებელ საბუთად ის მოჰყავს, რომ სხვაგან ალაგი ვერ ვიშოვეთო. მაგრამ ეგ სადაური საბუთია, მაშ დიღომშიც შეეძლოთ აეშენებინათ, რადგანაც იქ ძალიან ბევრი თავისუფალი ადგილია? აქ ხომ მარტო ადგილის შოვნაზე არ არის საქმე. თუ კი ხალხი ვერ მიწვდება, რანაირი სახალხო სახლი იქნება, არ მესმის. უკეთესია ცოტა დაგვიანდეს აშენება და კარგს ალაგას აშენდეს, ვინემ ჩქარა ააშენონ და ცუდ ალაგას". (გაზეთი „კვალი", 1901 წ. 11 თებერვალი. № 7).

როგორც ეტყობა, ამ შენიშვნამ გასჭრა და სახალხო სახლი ააშენეს მიზანშეწონილ ადგილას. ამჟამად ამ სახლში კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრია.

როგორც „კვალის" ამ წერილიდან დავინახავთ. სახალხო სახლის მშენებლობის საკითხი 1900 წლიდან წამოიჭრა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სახლის მშენებლობისათვის საჭირო თანხა იყო გაღებული ზუბალაშვილების მიერ, მთელი 9 წელიწადი მოგვიხდა ცდა, ვიდრე სახალხო სახლში შევიდოდით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს საყვარელ ავჭალის აუდიტორიას არ მოვშორებივართ და იქ განვაგრძობდით მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ სცენა პატარა, მოუწყობელი იყო, განათება ნავთის ლამპებით გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ დეკორაციები თითქმის არ გაგვაჩნდა, სპექტაკლები მაინც იზიდავდა ხალხს და ნამდვილი თეატრი გვქონდა. საქმის სიყვარულს, თავდადებას, უანგარო სამსახურს თავისი გაჰქონდა და ხელოვნების დიად დროშას ძირს არ ვუშვებდით. რამდენი ტკბილი მოგონებაა ამ თეატრთან დაკავშირებული. რამდენი გულ-

ფრფელი ცრემლი დაუღვრია მაყურებელს, სცენაზე გმირთა ტანჯვა თავის ტანჯვად მიუჩნევია, რამდენი სიხარული განუცდია, როცა ამ პატარა სცენაზე ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე და სხვები სასწაულთმოქმედებდნენ. რამდენი ადამიანის გულში დანთებულა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, როცა ვ. გუნიას „და-ძმაში" გაიოზ ფალავას მონოლოგებს ისმენდნენ. რამდენი მუშა დაუფიქრებია ილიკო მენაბდიშვილის მგზნებარე სიტყვებს, რამდენჯერ გულიანად გაუცინია მაყურებელს, როცა პავლე მედროგეს და არუწას სცენა მოუსმენია „მელანიას ოინებში". აქ. ამ პატარა სცენაზე ხომ დიდი ლადო მესხიშვილი უნახავს მაყურებელს, მაკოს თამაშით დამტკბარა, ტასო აბაშიძის სიცელქეს და ბავშვურ ონავრობას აღტაცებაში მოუყვანია იგი. სოსო ივანიძის ცრემლებს მაყურებელიც აუტირებია, სოსო რომანიშვილის იუმორს გაუხარებია. ვინ უწყის რამდენი ტაშის სიტკბო მეც მიგრძვნია ჩემი მოძმე მუშებისაგან.

სიამოვნებით ვიგონებ ჩემს საყვარელ მუშათა თეატრს, ჩვენს პატარა შენობას, ჩვენი სახალხო თეატრის ისტორიის ფუძეს და აკვანს.

1909 წელს გამოვეთხოვეთ ამ შენობას და სახალხო სახლში გადავბარგდით. ახალი ძალებით გაძლიერებულნი. ახალი რეჟისორით შევუდექით ჩვენს საყვარელ საქმეს.

სახალხო სახლი

სახალხო სახლის მშენებლობა 1907 წელს დამთავრდა. მშენებლობის ხარჯი მრეწველებმა ძმ. ზუბალაშვილებმა გაიღეს. ამიტომ ამ სახლს მათი სახელი ეწოდა. მართალია, მშენებლობა დამთავრდა. მაგრამ შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემა დაყოვნდა, რადგან გათბობა და ელექტროგაყვანილობა ძლიერ შეფერხდა. მთელ ორ წელიწადს გაგრძელდა განათების ამბავი და როგორც იქნა 1909 წელს ჩვენმა წრემ ფეხი შედგა საუცხოოდ მოწყობილ შენობაში. ქართული წარმოდგენების მომწყობ წრეს კვირაში ორი დღე დაგვითმეს. ამ სახლში სხვა ეროვნებათა დრამატული წრეებიც მუშაობდნენ. თეატრი 620 კაცს იტევდა. სცენა ფართო და მაშინდელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იყო მოწყობილი. რეჟისორად მოვიწვიეთ ქართული თეატრის მსახიობი კოტე შათირიშვილი. სეზონი გოგოლის უკვდავი კომედიით „რევიზორით" დავიწყეთ. ამ პიესაში როლები ასე იყო განაწილებული:

გოროდნიჩი	— ილია ზურაბიშვილი
ანა ანდრეევნა	— ელისაბედ ჩერქეზიშვილი
მარია ანტონოვნა	— თამარ გოგოლაშვილი

ხლესტაკოვი — კოტე შათირიშვილი
ოსიპი — ნიკო გოცირიძე
დობჩინსკი — ანდრო ადამიძე
ბობჩინსკი — სოსო რომანიშვილი
მიშკა — ლადო ადამიძე
ხლოპოვი — დიმიტრი ბაქრაძე
ზემლიანიკა — დიმიტრი დუმბაძე
ლიაპკინ-ტიაპკინი — ვიქტორ მატარაძე
შპეკინი — ალექსანდრე ნეიმანი
გიმნერ — ალ. ბადრიძე
ოხოვერტოვი — გიორგი ჯაბაური
სვისტუნოვი — ი. დოლიძე
პოშლიოპკინა — თამარაშვილი
აბდულინი — მ. ინაშვილი.

პიესაში მხოლოდ ორი პროფესიონალი მსახიობი იღებდა მონაწილეობას — ელისაბედ ჩერქეზიშვილი და კოტე შათირიშვილი.

პიესა მოვამზადეთ და დაიდგა 1909 წლის 4 აპრილს. ამ დღიდან შეწყდა ჩვენს მიერ ავჭალის აუდიტორიაში წარმოდგენების მართვა. პიესამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. ყველა სცენისმოყვარე ცდილობდა როლი კარგად შეესწავლა და რეჟისორის მითითებული მიზანსცენები კარგად დაეხსომებინა. კოტე შათირიშვილი ცდილობდა თავისი ხელი კარგად დაეტყო სპექტაკლისათვის. ილიკო ზურაბიშვილი საუცხოო გოროდნიჩი იყო. გარეგნობაც ხელს უწყობდა სიმართლით განესახიერებინა ეს როლი. შეუდარებელი იყო კოტე შათირიშვილი ხლესტაკოვის როლში. ამ პიესით მაყურებლის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წარმოსდგა ძველი წესწყობილების ყალბ საფუძველზე აშენებული ცხოვრება. ამ პიესის დადგმით ჩვენ სამუდამოდ გავიმარჯვეთ და ინტელიგენციის დიდი ყურადღებაც დავიმსახურეთ.

პრესამ ჩვენს პრემიერას მაღალი შეფასება მისცა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ეს წარმოდგენა იყო ნამდვილი სახალხო წარმოდგენა. იაფფასიანმა ბილეთებმა მიიზიდა მრავალი მაყურებელი. ბილეთები ყველა გაიყიდა და ბევრი დაბრუნდა უკან ნაწყენი, რომ ვერ დაესწრო წარმოდგენას. სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ სცენისმოყვარეთა კარგი თამაშით. იმათ ქებას საზღვარი არა ჰქონდა. ურიგო არ იქნება ჩვენმა ქართული თეატრის არტისტებმა აიღონ მაგალითი ამ სცენისმოყვარეთაგან როლების კარგად შესწავლაში და შესრულებაში. ძალიან კარგად თამაშობდნენ კ. შათირიშვილი, ს. რომანიშვილი. ნ. გოცირიძე და სხვები, სცენისმოყვარენი დაჯილდოებულნი იყვნენ ტაშის ყვრით“,

ასევე მაღალი შეფასება მისცა ამ სპექტაკლს გაზეთმა „ჩვენმა საქმემ“.

იგივე პიესა გამეორებულ იქნა 17 აპრილს. ამჯერადაც დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით და ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. საყურადღებოა, რომ თეატრში შეხვდებოდით ბევრ ისეთ მაყურებელს, რომელიც ქართული დიდი თეატრის მუდმივ კონტინგენტს შეადგენდა. ბილეთების ფასი მეტად ხელმისაწვდომი იყო 49 კაპ. — 4 კაპ. ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ 50-კაპიკიან ბილეთზე 5 კაპიკიანი მარკა უნდა დაგვეკრა, რაც დედოფალ მარიამ თედორეს ასულის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ ირიცხებოდა. 49-კაპიკიან ბილეთზე კი 2-კაპიკიან მარკას ვაკრავდით ასე, რომ 50 კაპიკად რომ გაგვეყიდა ბილეთი, ჩვენ გვრჩებოდა 45 კაპ. ხოლო როცა 49 კაპიკად ვყიდდით ბილეთს, გვრჩებოდა 47 კაპ. ეს „კომერციაᲐ“ როგორც მაყურებლისათვის იყო ხელსაყრელი, ისევე ჩვენთვის. შაურიან ბილეთზე დაწესებული იყო 2-კაპიკიანი მარკა და აქედან თითო ბილეთზე გვრჩებოდა 3 კაპ., ხოლო თუ ბილეთს 4 კაპიკად გავყიდდით, მარკის დაკვრა აღარ იყო საჭირო.

სახალხო სახლში გადასვლის შემდეგ სცენისმოყვარენი შემოგვემატნენ. ტექნიკურად კარგად მოწყობილი სცენა, მშვენიერი დარბაზი იზიდავდა თეატრის მოყვარულთ. და ინტელიგენციის წრიდან ჩვენი ძალები იზრდებოდა. წარმოდგენების შემოსავალი საშუალებას გვაძლევდა ხელფასი მიგვეცა რეჟისორისათვის, მოკარნახისათვის, სცენარიუსისა და დარაჯისათვის. სახალხო სახლში 11 სექცია მუშაობდა. ყოველ საღამოს თეატრი დაკავებული იყო. ამიტომ მაშინდელ მიხეილის ქუჩაზე (ამჟამად პლეხანოვის პროსპექტი) დავიქირავეთ ერთი კარგა მოზრდილი ოთახი რეპეტიციებისათვის. სარეპეტიციო ოთახში პატარა სცენა მოვაწყეთ, ასე რომ თეატრში ერთ გენერალურ რეპეტიციას მოვაწყობდით დილით. სარეპეტიციო ოთახში გვყავდა საკუთარი დარაჯი არტემ ლითანიშვილი, ძველათ თამბაქოს ქარხნის მუშა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც ამ დარაჯმა გადმომცა, იმ დროს, როცა ჩვენ სახალხო სახლში სპექტაკლები გვქონდა, თურმე ამ სარეპეტიციო ოთახში არალეგალური კრებები იმართებოდა. არალეგალური წრის წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ სპექტაკლის დროს სარეპეტიციო ოთახში არც ერთი სცენისმოყვარე არ მივიდოდა და საიმედო დარაჯის ლითანიშვილის დახმარებით კრებები უშიშრად იმართებოდა.

კოტე შათირიშვილი კარგა ხანს შერჩა სახალხო თეატრს. ხანდახან რეჟისორად ვიწვევდით შალვა დადიანს. ჩვენმა სპექტაკლებმა სახელი გაითქვა. იყო შემთხვევები, როცა ჩვენს მიერ დადგმულ პიესას რეცენზენტები პროფესიული თეატრის სპექტაკლებს ადარებდნენ და ზოგჯერ ანსამბლის მხრივ უპირატესობასაც გვაძლევდნენ. ჩვენმა სპექტაკლებმა რეჟისორ კოტე შათირიშვილსაც გაუთქვა სახელი და მას პროფესიულ თეატრშიც იწ-

ვევდნენ რეჟისორად. ამიტომ ერთხანს ურეჟისოროდაც დავრჩით და სცენისმოყვარეებს ევალებოდათ რიგრიგობით რეჟისორობა. მაგალითად, ნიკო გოცირიძემ დადგა რამდენიმე პიესა, სხვათა შორის იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლიც“. ისეთი პიესის დადგმა, სადაც მასა იყო საჭირო, ძველათ პროფესიულ თეატრებსაც უჭირდათ. ჩვენ კი აბა როგორ დავძლევდით. დიდ თეატრსაც არა ჰყავდა ეგრეთწოდებული სტატისტები და ჩვენთან უფასოდ სტატისტად ვინ დაიწყებდა მუშაობას. თუ რომელიმე ახალგაზრდა იწყებდა ჩვენთან თანამშრომლობას, ის მაშინვე როლს მოითხოვდა და უსიტყვოდ პიესაში არ გამოდიოდა. ძველათ ნაკლებადაც იყო ისეთი პიესები, სადაც მასა ყოფილიყო საჭირო. როცა ნიკო გოცირიძემ დადგა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, უსიტყვო როლებში თვითონ რეჟისორი და ჩვენ გამოვედით და ამით ცოტად თუ ბევრად პიესას ლაზათი მიეცა. კარგი რეჟისორის საკითხი მწვავედ დადგა ჩვენს წინაშე და მის ძებნას შევუდექით.

1912 წელს ჩვენი წრის გამგეობამ რეჟისორად მოიწვია ალექსანდრე წუწუნავა (აწ გარდაცვლილი რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი). ალ. წუწუნავა მოსკოვის სამხატვრო თეატრში აღიზარდა როგორც რეჟისორი და ახლად იყო ჩამოსული თბილისში. წუწუნავას ხელი მალე დაეტყო სახალხო თეატრს. მან განაახლა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და ისე კარგად დადგა, რომ სახალხო თეატრის რეპერტუარში ამ პიესამ პირველი ადგილი დაიჭირა. რამდენჯერაც უნდა დაგეედგა ეს პიესა, დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო და ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. განსაკუთრებით მოსწონდა ხალხს მასობრივი სცენები, რაც თითქმის უცხო ხილი იყო არათუ ჩვენს თეატრში, არამედ დიდ თეატრშიც. ჩვენ, რასაკვირველია, მასობრივი სცენებისათვის თანამშრომლებს ვერ დავიქირავებდით. დავტრიალდით რკინიგზის დეპოს მუშებში და ერთი თხუთმეტი კაცი ვიშოვნეთ. ისინი ყველა რეპეტიციაზე ცხადდებოდნენ და რეჟისორის დავალებას დიდი მონდომებით ასრულებდნენ. ყველანი აღტაცებული ვიყავით წუწუნავას რეჟისორობით და ყოველ მის დავალებას უყოყმანოდ ვასრულებდით. ასჯერ და ათასჯერაც რომ დაეევალებინა ერთი და იგივე ფრაზის გამეორება, ჩვენ ამას დიდის ხალისით ვასრულებდით.

ერთხელ წუწუნავამ რეპეტიციაზე განაცხადა. მე რომ თბილისში პირველად ჩამოვედი და ავჭალის აუდიტორიაში გამართულ წარმოდგენას დავესწარი. იქ სცენაზე ვნახე გიორგი ჯაბაური. ისე მომეწონა, რომ იმ დღიდან შემიყვარდა თეატრიო. წუწუნავა თავისი მაღალი ნიჭით ისე დაწინაურდა, რომ სცენისმოყვარე გიორგი ჯაბაური სიამოვნებით ასრულებდა იმ ადამიანის ყველა მითითებას, რომელსაც თურმე თეატრი შეაყვარა. წუწუნავას ყველა მიზანსცენა ჩვენთვის ახალი რამ იყო. მეტად გა-

მართლებული და დამაჯერებელი. წუწუნავამ დიდის გემოვნებით დადგა გარდა „მსხვერპლისა“ სუმბათაშვილის „ღალატი“, ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, გოგოლის „რევიზორი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, იბსენის „ექიმი შტოკმანი“, პერმანსის „იმედის დაღუპვა“, ს. იუშკევიჩის „მეფე“, პროტოპოპოვის „ცხოვრების გარეშე“, ტრიფონ რამიშვილის „მეზობლები“, „შეშლილნი“, შირვანზადეს „ნამუსისათვის“, ი. გედევანიშვილის „გამცემი“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, მოლიერის „ტარტიუფი“, ი. ეკალაძის „№ 21 ჯვრით“, დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, შალვა დადიანის „გუშინდელნი“ და მრავალი სხვა.

ჩვენი დასი გაძლიერდა, შემოსავალმაც იმატა. უკვე შეგვეძლო ზოგიერთი მსახიობი ჯამაგირითაც მოგვეწვია. სცენისმოყვარეები კვლავ უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ თავიანთ საყვარელ საქმეს. წრის გამგეობამ გადაწყვიტა დამსახურებულ სცენისმოყვარეთა პატივსაცემად ბენეფისების მოწყობა. ასეთი ბენეფისები გავუმართეთ ნიკო გოცირიძეს, კოტე ხახანაშვილს, მიხეილ თუშმალიშვილს, გრიგოლ ანაშვილს. 1913 წელს, მარტში, მეც გამიმართეს ბენეფისი. დავდგით ვალერიან გუნიას „დაძმა“. მე ვთამაშობდი ჩემს საყვარელ როლს — გაიოზ ფაღავას. სპექტაკლს რეჟისორობდა ალექსანდრე წუწუნავა. ბევრი საჩუქარი და მისასალმებელი დეპეშა მივიღე. სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ნაძალადევის მცხოვრებთა სახელით მომესალმა გრიგოლ ჩარკვიანი, რომელმაც შემდეგი სიტყვით მომმართა:

„ძმაო და მეგობარო გიორგი!

ნაძალადევში პატარა სცენა მოვაწყეთ. თქვენ უანგარო დახმარებას და თანაგრძნობას გვიწევდით. დარში თუ ავდარში, როგორც წარმოდგენის დროს, ისე რეპეტიციაზედაც თქვენის ამხანაგებით, დაუზარებლად დავიარებოდით, რომ ამ ახლად დაარსებული პატარა უბნის მცხოვრებლებისათვის მოგვეტანა სარგებლობა, და დღეს აი ამ თქვენმა შრომამ თქვენის ამხანაგებით ის სარგებლობა მოგვიტანა, რომ მშრომელებს შეაყვარა თეატრი და დღეს ნაძალადევში მუდმივი სცენა მოეწყო. ამის გამო მე ჩემის მხრივ და ჩემი თანაგრძნობი მეზობლებით გისურვებთ სიცოცხლეს, სიმხნევეს და მეტ ენერგიას“.

ამ საღამოს შემდეგ მუშა პოეტმა ვასო როინიშვილმა გამოსცა თავისი ლექსების კრებული. ამ კრებულში დაიბეჭდა ჩემდამი მოძღვნილი შემდეგი ლექსი:

ძღვნად მუშას გ. ჯაბაურს

(მისი 25 წლის მოღვაწეობის გამო)

იმ დროს, როცა ხელოვნება,
მტრის კლანჭებში სულს ღაფავდა,
მელპომენის შრომის ტაძარს,
ჯოჯოხეთის ცეცხლი სწვავდა,

იმ დროს, როცა ქურუმთ მეფე,
შხამ-ნაღველით ნავარდობდა,
ჩვენი სისხლით გამაძღარი
გასვრილ ტახტზე ამაყობდა.

იმ დროს, როცა შავი ჯარი
მუშათ უბანს სდარაჯობდა,
ჩვენი მუშა ჯაბაური
მუშების როლს თამაშობდა.

იმ დროს როცა დაფარული
კავშირები არსებობდა,
მაშინ გოგი ჯაბაური
გაბედულად მუშაობდა.

და როდესაც შრომის შვილებს
გულს უკლავდა მწარე სევდა,
მაშინ მხნე და გაბედული
სასიცოცხლო ლექსებს წერდა[1].

დღეს, როდესაც მუშამ, გლეხმა
გამარჯვების დაჰკრა ზარი,
საზეიმო დღეს უმართავს
მისი მოძმე მუშის ჯარი.

მეც მოვმართე სასიამოდ,
ავამღერე ჩემი ქნარი
და შესაფერ სალამს უძღვნის
ჩემს გოგიას ჩემი თარი.

რასაკვირველია, პოეზიით მდიდარ საქართველოს, რუსთაველის საქართველოს ხალხს ეს ლექსი პრიმიტიულად მოეჩვენება და ყოველ პოეზიას მოკლებულად ჩათვლის. მეც გეთანხმები, ჩემო მკითხველო, მაგრამ ხომ იყვნენ ბუმბერაზი მსახიობების გვერდზე ჯაბაურისთანა პატარა სცენის მუშაკები. ასევეა პოეზიაში. ყველას თავისი სადარი მეხოტბე, მემატიანე სჭირდება და ჩვენც გვყავდნენ ჩვენი დამფასებლები. ჩვენ გვიყვარდა სცენა გულწრფელად, თავდადებით ვემსახურებოდით მას და ჩვენი წრიდან გამოსულნი თავიანთი შეძლებისამებრ მადლობას გვიხდიდნენ. რითმით, რიტმით, მუსიკალობით ღარიბია ეს ლექსი, მაგრამ იგი სიყვარულით და გრძნობით არის გამთბარი და ამიტომ მომი-

[1] პოეზიით მეც ვიყავი „დაავადებული“ და ხშირად რევოლუციურ ლექსებს ვწერდი, სცენიდან ვკითხულობდი და ვაქვეყნებდი კიდეც.

ავტორი.

ტევოს მკითხველმა, თუ ალაგ-ალაგ ჩემს მოგონებაში ასეთ ლექსებს მოვიყვან.

ჩვენი სცენისმოყვარენი სრულიად უანგაროდ იღწვოდნენ და ამით მუშათა გათვითცნობიერების საქმეს ემსახურებოდნენ. მე მინდა ამ ჩემს მოგონებაში გავიხსენო ისინი ყველანი. შესაძლებელია მეხსიერებამ მიღალატოს, ბევრი მათგანი გამომრჩეს. ღრმა მოხუცს მომიტევებენ უნებლიე შეცდომას. ყველას პორტრეტის მოხაზვა არ ძალმიძს.

ნიკო გოცირიძე. მღებავი. 1896 წლიდან დაიწყო მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიწვეულ იქნა პროფესიულ დასში მსახიობად. ქართული თეატრის ისტორიაში მან საპატიო ადგილი დაიჭირა.

სოფიო რომანიშვილი-დგებუაძისა. კბილის ექიმი. 1900 წლიდან დაიწყო მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში და სიკვდილამდე სახალხო თეატრის ერთგული და თვალსაჩინო მუშაკი იყო.

სოსო რომანიშვილი. 1901 წლიდან დაიწყო მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში. უნიჭიერესი სცენისმოყვარე. დაუვიწყარი სახეები შექმნა ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯეში" — საბა, ტრიფონ რამიშვილის პიესაში „შეშლილნი" — სილვა, ბელაიას პიესაში „უმუშევარნში" — გერასიმე. ფულდის „ჩერჩეტში" — იუსტუს. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" — გაბო, ა. სუმბათაშვილის „ღალატში" — ანანია. თამაშობდა რუსულ დასებშიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პროფესიულ დასებში მუშაობდა და დიდი წარმატებითაც სარგებლობდა.

კოტე ხახანაშვილი. 1900 წლიდან სიკვდილამდე სახალხო სახლში მუშაობდა. მეტად ბეჯითი სცენისმოყვარე იყო. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" განასახიერებდა გიგო ტეტიაშვილს. ამ როლს ხახანაშვილი გვარიანად ასრულებდა — ტანადობაც ხელს უწყობდა, მაგრამ თუ მაინცდამაინც მაყურებლის მეხსიერებაში არ აღიბეჭდა ეს სახე, ამის მიზეზი იყო იმავე პერიოდში გიგო ტეტიაშვილის სახის აქტიორულ მაღალ მწვერვალებზე აყვანა მსახიობ გიორგი არადელ-იშხნელის მიერ. იშხნელის შემდეგ ბევრი მსახიობი ვეღარ ბედავდა ამ როლისათვის მოეკიდა ხელი.

ნინო დავითაშვილი. (ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი). პირველად სცენაზე გამოვიდა ავჭალის აუდიტორიაში. მალე პროფესიულ დასში შევიდა და სახელიც მოიხვეჭა როგორც ნიჭიერმა მსახიობმა.

ოლღა ლეჟავა. (ქართული თეატრის მსახიობი). პირველად მე გამოვიყვანე სცენაზე სოფელ ავჭალაში. შემდეგ ჩვენთან დაიწყო მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში.

გრიშა-ანაშვილი. ზეინკალი. 1901 წლიდან მუშაობდა ქალაქის

სხვადასხვა უბნის სცენისმოყვარეთა წრეებში. 1903 წლიდან დაიწყო მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში და სახალხო სახლს ბოლომდე შერჩა. როგორც უანგარო მუშაკი, ყველასათვის მაგალითის მიმცემი იყო. მუშაობდა ნავთლუღში კახეთის რკინიგზის სადგურზე და იქიდან ფეხით დაიარებოდა რეპეტიციებზე კუკიაში (მაშინ ტრამვაი არ იყო). დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს. ვდგამდით საქველმოქმედო მიზნით იბსენის „ექიმ შტოკმანს". „ხოლერობა" იყო და ამ საშინელი სენით გარდაეცვალა დედა, და და დისწული. სამი კუბო ესვენა მის სახლში, ის კი მოვიდა იმ ღამეს და წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა. იგი დიდი ოსტატობით განასახიერებდა კომიკურ როლებს. მეტისმეტი ბუნებრივი იყო სცენაზე. სხვათა შორის, როცა სახალხო თეატრის არსებობის 30 წლის იუბილე მოეწყო და სცენის დიდ ოსტატს კოტე მარჯანიშვილს დაევალა საიუბილეო წარმოდგენისათვის საერთო ხელმძღვანელობა გაეწია, თითქმის ძონძებში გახვეულმა სცენისმოყვარე გ. ანაშვილმა, (ცოტა ჩაჩულია იყო, კოპწიობა სრულიად არ უყვარდა) რეპეტიციებზე აღფრთოვანებაში მოიყვანა კოტე მარჯანიშვილი, და მან ხმამაღლა განაცხადა, ასეთ ბუნებრივ კომიკს მე იშვიათად შევხვედრივარო. გ. ანაშვილს შეუსრულებია საქო ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში", გიქო — გ. სუნდუკიანცის „პეპოში" — სირაჯი ა. ყაზბეგის „არსენაში". იშვიათი ბიჭი იყო მელოდრამაში „პარიზის ღარიბ-ღატაკნი".

გ ი ო რ გ ი თ ა ზ ი შ ვ ი ლ ი. 1917 წლიდან მუშაობდა სახალხო სახლში. კარგი რეზონიორი იყო. ხმა და გარეგნობაც ხელს უწყობდა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. 1909 წლიდან მუშაობდა სახალხო სახლში. მის მიერ შესრულებულია ნეზნამოვი ა. ოსტროვსკის პიესაში „უდანაშაულოდ დამნაშავენი", გლუხოვცევი ლ. ანდრეევის პიესაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" და მრავალი სხვა. ბეჯითი სცენისმოყვარე იყო და კარგი მეტყველების პატრონი. მუშათა აუდიტორიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე. მუშაობა დაიწყო 1916 წლიდან. შესრულებული როლები — ვანო „მსხვერპლში", ირაკლი — „№ 21 ჯვრით" და სხვ.

ვ ი ქ ტ ო რ ნ ი ნ ი ძ ე. (ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი). მუშაობა დაიწყო სახალხო სახლის დაარსებიდან (1909 წლიდან). მის მიერ შესრულებული როლები: ლიაპკინ-ტიაპკინი გოგოლის „რევიზორში", დათია — ირეთელის „ქრისტინეში", ლუკა სუთიძე — ტ. რამიშვილის „მეზობლებში", ასლან გირეი — ა. ყაზბეგის „ელეონორაში" და სხვ.

ნ. ჭ ა ნ კ ვ ე ტ ა ძ ე. 1909 წლიდან დაიწყო მუშაობა სახალხო სახლში. ასრულებდა ხლესტაკოვის როლს „რევიზორში", არჩილს — „გამცემში" და სხვა პასუხსაგებ როლებს.

სოფიო ანკარა. მუშაობა დაიწყო 1911 წლიდან. შესრულებული როლები: ოლ-ოლ — ლ. ანდრეევის პიესაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ლიზა — ნ. შიუკაშვილის „სულელში“. ტასო — ტრიფონ რამიშვილის „მეზობლებში“ და სხვ.

ნინონი (ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი). მუშაობა დაიწყო სახალხო სახლში 1911 წლიდან. მის მიერ შესრულებული როლები: გაიანე ღალატში“. ოლინკა „მეზობლებში“, ნუცა „სტუმარ-მასპინძლობაში“ და სხვ.

რომანოზ სალაყაია. 1902 წლიდან დაიწყო მუშაობა ავლაბრის სახალხო თეატრში. შემდეგ გადმოვიდა სახალხო სახლში. შესრულებული როლები: დათია „ქრისტინეში“, მედუქნე — „სოფლის გმირებში“, კოხტაია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. გასტონ „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“.

ანტონ ლითანიშვილი. თამაშობდა წამყვან როლებს და წარმატებითაც სარგებლობდა. შესრულებული როლები: ლეონ ბერგ „№ 21 ჯვრით“, შადიმან „უგვირგვინო მეფენი“, არიმან „სტუმარ-მასპინძლობა“ და სხვ.

ილია ზურაბიშვილი. წელი არ მახსოვს, როდის დაიწყო მუშაობა ჩვენთან. ახოვანი, მშვენიერი ხმის პატრონი. ტემპერამენტიანი. დასრულებული მსახიობის შთაბეჭდილებას ახდენდა. თამაშობდა რეზონიორებს, აგრეთვე ყარაჩოღელებს (გიჟუა, პეტუა და სხვ.). იშვიათი გოროდნიჩი იყო. ეგონებ ქართულ სცენაზე გოგოლის უკვდავი პერსონაჟი ასე ძლიერად და სიმართლით არავის წარმოუსახავს.

ვლადიმერ ადამიძე. (ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი). პროფესიულ დასში შესვლამდე მუშაობდა ჩვენთან. მის მიერ შესრულებული როლები; ფონ ლაუფენი — „სამხედრო ბანაკში“, კურტი — „ჩერჩეტში“, ლევან კრეჭიაშვილი — „ელეონორაში“, არისტიდე — „მეფის დალაქში“ და სხვ.

ი. მინდიაშვილი. მუშაობა დაიწყო 1912 წლიდან. მის მიერ შესრულებული როლები: მამასახლისი — „მსხვერპლში“, დავით „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, საღათალა „ნამუსისათვის“ და სხვ.

ე. ბარათაშვილი. მუშაობდა 1906 წლიდან. მის მიერ შესრულებული როლები: მარინე — „ქართველ დედაში“, ადელაიდა — „სულელში“, გალჩიხა „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ და სხვ.

ბ. ასათიანი. მუშაობდა 1905 — 1908 წლებში. 1922 წლიდან კვლავ დაუბრუნდა სახალხო სახლს. შესრულებული როლები: სონა — „სიმახინჯეში“, დუნია „ცხოვრების გარეშე“, ნატო — „მსხვერპლში“ და სხვ.

ელისო იანქოშვილი. 1915 — 1923 წლებში მუშაობდა სახალხო სახლში. მის მიერ განსახიერებულია: ნიცა — „კაცის სამართალში“, მის ვიგონტ — „ჩერჩეტში“. ჩიტუნია — „გუშინდელნში“.

გიორგი ჯაბაური ახალგაზრდობაში

ეკატერინე ოთხელიანი - ჯაბაურიხა სახალხო თეატრის პირველი
სცენისმოყვარე ქალი

ელ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. 1923 წლიდან დაიწყო მუშაობა სახალხო სახლში. შეასრულა შემდეგი როლები: ნინო „ცოდვა", აგრაფინა „გუშინდელნი" და სხვ.

პირველ თავში, როცა ავჭალის აუდიტორიის დაარსების ამბავს ვყვებოდი, გავიხსენე ყველა ისინი, ვინც მონაწილეობა მიიღო მის ორგანიზაციაში. ახლა მინდა ჩამოვთვალო ისინი, რომლებიც ავჭალის აუდიტორიაში და სახალხო სახლის სცენაზე იღებდნენ მონაწილეობას. ბევრი მათგანი ამჟამად გამოჩენილი ხელოვანია, ზოგი კი უჩინართა რიგებში მოხვდა და დავიწყებას მიეცა.

დასახელების დროს არ ვიცავ არც ალფაბეტს და არც მათს რანგს.

ვანო სუხიშვილი (ზეინკალი). დათა თევდორაშვილი, შაქრო თევდორაშვილი (მეთუნუქე), შაქრო მჭედლიშვილი (ზეინკალი), დათიკო სხირტლაძე, ვანო ინასარიძე. გიორგი მურმანიშვილი (მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი), ანა ჩაჩიბაია. ეკატერინე წულუკიძე, ერემია გულისაშვილი (დამსახურებული მასწავლებელი), შიო პავლიაშვილი (ზეინკალი), დათიკო კაჩაური (ზეინკალი), სანდრო ბაქრაძე. ვასო რაქვიაშვილი (თუჯის მსხმელი), ილიკო ქუთათელაძე, სვიმონ ჯუღელი, სოფიო ციციშვილი, ნინო ნაკაშიძე (მწერალი). ილიკო ნაკაშიძე (ლექტორი), დათიკო ხოსროშვილი, გიგო გელიკურაშვილი (რკინიგზის კონდუქტორი), ნ. მინდელი, ს. ყოჩიაშვილი, ვერა მარგველაშვილი, ა. ჩარკვიანი, ელო ანდრონიკაშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), მარიამ გარიყული (მწერალი), ალექსანდრა სვანიძე, ხმიადაშვილი, კოწია ჯაფარიძე, ალექსი გიორგობიანი (რკინიგზის მუშა. როცა პიესაში ზურნის დაკვრა გვჭირდებოდა, მას ვიწვევდით, როგორც კარგ დამკვრელს), იოსებ ირეთელი (დურგალი, სრულიად უსასყიდლოდ გვეხმარებოდა ავჭალის აუდიტორიაში, როგორც დეკორატორი), მიხეილ ინაშვილი, ცაცა ამირაჯიბი (საქ. რესპუბლიკის სახალხო არტისტი), ვასო ხახანაშვილი, დათიკო ქუთათელაძე, გენო ქობულაშვილი (შეძლებული მემამულე. ადმინისტრატორობას ეწეოდა და დარბაზში წესრიგს ამყარებდა), ნიკო ახმეტელაშვილი, იოსებ რევაზოვი (მღებავი), ვანო მარკოზოვი (ბუხჰალტერი), სერგო პეპანოვი (ტექნიკოსი), მაკა ქართველიშვილი, ნიკოლოზ ჩაგუნავა (მსახიობი), ოლღა შალამბერიძე, გიგო რცხილაძე (ჟურნალისტი), ნინო ჩაგუნავა, პიერეტა საგინაშვილი (მსახიობი), დიმიტრი ბაქრაძე (ტექნიკოსი), ამბროსი ივერიელი (შანშიაშვილი), სოფრომ ტარუაშვილი (დრამატურგი), გოგუცა ივერიელი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ვიქტორ მატარაძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ელენე სიბილა (რესპ. დამსახურებული არტისტი), ნიკოლოზ სარჯველაძე, მარო მდივანი (რესპ. სახალხო არტისტი), ვასო ურუშაძე (რესპ. დამსახურებული არტისტი), ანეტა ქიქოძე (რესპ. დამსახურებუ-

ლი არტისტი), ალექსანდრე ბადრიძე, ნ. კრავეიშვილი, სანდრო ყალაბეგიშვილი (მსახიობი), ბაგრატ მამაჯანოვი (ხარატი), დათიკო თვალჭრელიძე (მექუდე), ვანო დურგლიშვილი (დურგალი), ანდრო ჭიაბრიშვილი (ხარატი), დათიკო მთვრალიშვილი (რკინიგზის კონდუქტორი), გოგია ფრონისპირელი (ყიფშიძე. მსახიობი), მირიან ჭანიშვილი (მსახიობი), გიორგი იორდანიშვილი (სცენის დამსახურებული მოღვაწე), ივანე ბუთლიაშვილი, ვასო კობელი (მსახიობი), მიხეილ ჭიაურელი (სსრ კავშირის სახალხო არტისტი), თედო დოლიძე, ჭიჭიკო გელეიშვილი, არჩილ ცაბაძე (ინჟინერი), იაკობ ელიაშვილი, ელენე ციმაკურიძე (რესპ. დამსახურებული არტისტი), ლეო კანდელაკი, აკაკი ხორავა (სსრ კავშირის სახალხო არტისტი), ივანე ჩოხელი (დამსახურებული ექიმი), სოლომონ ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი (პოეტი-აკადემიკოსი), პავლე ფრანგიშვილი (რესპ. სახალხო არტისტი), იროდიონ ევდოშვილი. (პოეტი). და სხვ.

საკონცერტო განყოფილებები

ვიდრე სახალხო სახლში ელგაყვანილობა დამთავრდებოდა, დილაობით ამ შენობაში იმართებოდა ლექციები, საუბრები და ხშირად საკონცერტო განყოფილებებიც. ამ საკონცერტო განყოფილებებს ისევე როგორც ლექციებს, სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა და კვირადღეობით დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო მუშებით. საკონცერტო განყოფილებებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მომღერლები და მუსიკოსები, ისე პოეტებიც. ხშირად საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ იროდიონ ევდოშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, დავით თურდოსპირელი, გიგო ხეჩუაშვილი, შაქრო ნავთლუღელი, გიორგი შინატეხელი, ვასო როინიშვილი, ასლამაზოვი. მეც ვიღებდი ხშირად მონაწილეობას და ვკითხულობდი როგორც საკუთარ, ისე სხვა მუშა პოეტების ლექსებს.

ეს ჩვენი საკონცერტო განყოფილებები ხშირად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა. ასრულებდნენ როგორც რუსულ, უკრაინულ. ქართულ, ისე სხვა ეროვნებათა სახალხო სიმღერებს. მაგონდება ერთი საკონცერტო განყოფილება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დიდმა მგოსანმა აკაკიმ. ამ საკონცერტო დილაში მონაწილეობა მიიღო დიდმა მსახიობმა ვასო აბაშიძემაც. ვასო აბაშიძემ და ჩვენმა სცენისმოყვარემ ნიკო გოცირიძემ შეასრულეს კუპლეტები „ვაი-ვუის" ხმაზე. მაგონდება, რა დიდი ოვაცია გამოიწვია ვასოს მიერ წარმოთქმულმა შემდეგმა კუპლეტმა:

ზუბალოვის თეატრს
უნდა ორი ზუბა,
ელექტრონის პროვოლკა
და გაპლენის ტრუბა".

განზრახ დამახინჯებული ქართულით ნათქვამი ეს საჭირბოროტო კუპლეტი შიგ კაკალ გულში მოხვდათ „ქალაქის მამებს", სწორედ ელდენის

გაუყვანლობა და გათბობის მოუწყობლობა გვიშლიდა ხელს დაგვეწყო წარმოდგენების დადგმა. ამ კუპლეტის მოსმენაზე ყველაზე მეტად გაიცინა ქალაქის ხმოსანმა არღუთინსკიმ, რომელიც ლოჟაში იჯდა და ისმენდა მის მიმართ წარმოთქმულ კუპლეტს. სწორედ არღუთინსკის ჰქონდა დავალებული სახალხო სახლის მშენებლობა. რამდენად აღწევდა მიზანს ასეთი კონცერტები, ეს ცხადი გახდა იმავე დილას, როცა უკრაინელ სცენისმოყვარე ჩაროვს მთელმა დარბაზმა მქუხარე ოვაციები გაუმართა. საქმე შემდეგში იყო: გამომეღვნდა თბილისის საინტენდანტოს მოხელეების ბოროტმოქმედება. გამფლანგველები სწორედ წინადღეს დააპატიმრეს და მთელმა ქალაქმა იცოდა ეს ამბავი. ჩაროვი გამოვიდა და სხვადასხვა სახუმარო სცენები შეასრულა უკრაინულ ენაზე. ბისზე რუსულ ენაზე შეასრულა კუპლეტები, მეფის მოხელეებს ბევრი მათრახი გადაჰკრა. მაგონდება ერთი მისი კუპლეტი, რომელმაც მთელი დარბაზის მოწონება გამოიწვია:

Был дом, где под окном
И чиж и соловей висели и пели.
А вот был еще дом, где
Интендаты сидели, но не пели...

ჩაროვის გამოსვლები მეფის მოხელეებს არ მოსწონდათ, ოფიციოზი „კავკაზი“ მწარე რეცენზიებს უწერდა და თუ არა ვცდები, ბოლოს სრულიადაც ჩამოაშორეს თეატრს და თბილისიდან გადაასახლეს.

კონცერტებზე დიდი წარმატება ჰქონდათ ირიდიონ ევდოშვილს და გიორგი ქუჩიშვილს. ევდოშვილი რომ სცენას შერჩენოდა, უდავოდ კარგი მსახიობი დადგებოდა. მისი ლექსები ბრძოლის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, კარგადაც კითხულობდა. ცხადია, მუშათა აუდიტორიაზე ეს დიდ გავლენას ახდენდა. სამწუხაროდ, ციხეებში ჯდომამ, რეპრესიებმა დაავადმყოფა ჩვენი საყვარელი პოეტი და იგი ძალიან იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე სცენაზე. მაგრამ ისეთი დიდი წარმატება არც ერთ დეკლამატორს, პოეტს არა ჰქონია, როგორც გიორგი ქუჩიშვილს. ის რომ დასჭექდა ხოლმე თავის ლექსებს, მთელი დარბაზის აღფრთოვანებას იწვევდა. გამოჩნდებოდა თუ არა ტანმაღალი, მთლად ჩონჩხად ქცეული, გაყვითლებული პოეტი, მთელი დარბაზი როგორც ერთი კაცი ოვაციებით ხვდებოდა მას.

თუ ბურჟუაზიულ წრეებში იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლექსების კითხვას დიდი მოწონება ჰქონდა, მუშათა წრეებში უფრო მოსწონდათ გიორგი ქუჩიშვილი. მისი მგზნებარე, ტემპერამენტით წარმოთქმული ლექსები ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მუშათა კლასს და მალამოსავით ეცხებოდა ყველა მშრომელს.

კონცერტებში მოწონებით სარგებლობდა კოლია სარჯველაძის დამღერება გიტარის თანხლებით, საღირაშვილის თარი, იურისტი კოწია ჯაფარიძე ხშირად კითხულობდა თავისი თარგმანით დ. მერეჟკოვსკის ლექსს „ბუდას“, რაც აუდიტორიას ძლიერ მოსწონდა.

მუშების დიდ მოწონებას იწვევდა ჩემი მეუღლის, ავეალის აუდიტორიის პირველი სცენისმოყვარე ქალის ეკატერინე იოსელიანის მიერ წაკითხული შემდეგი ლექსი, რომლის ავტორის გვარი არ მაგონდება:

აგერ ტურფა დარბაზის წინ,
დიდი კაცი დასეირნობს,
ძირს მე ვბრწყინავ, მაღლა ღმერთი,
განცხრომის ძე ასე ფიქრობს.

იმის წინ კი დამშეული
ხალხი დრტვინავს, იტანჯება,
მაგრამ იგი ამისათვის
სულაც არ წუხს, არ ღონდება,

ან კი რისთვის დაღონდება,
იგი მუდამ მაძღარია,
მაძღრისთვის კი სხვის შიმშილი
გასართობი ზღაპარია.

ამ უბრალო, მაგრამ დიდის განწყობილებით წაკითხულ ლექსს მუშები ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდნენ.

თუ როგორ უყვარდათ მუშებს რევოლუციური ლექსები, ეს მტკიცდება თუნდაც ერთი პატარა ეპიზოდიდან. 1951 წელს მე შევხვდი რკინიგზის მუშას ხარიტონ ზაქარეიშვილს. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ და ჩვენი ახალგაზრდობა გავიხსენეთ, ხარიტონმა მითხრა:

შენი მეუღლე ეკატერინე იოსელიანი ერთ ლექსს ისე კითხულობდა, რომ მე დღესაც თვალწინ მესახება ის აღფრთოვანებაᲐ, რის მოწმეც ვიყავიო- თურმე ეს ლექსი ზეპირად სცოდნოდა ამ მუშას და მე მისი სიტყვით ჩავიწერე:

ზოგი კაცი ობობას ჰგავს,
მახეს აგებს საზიზღარსა,
ამით იძენს და სულს აძრობს
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა.

ზოგი კაცი ასპიდ გველს ჰგავს,
საქმეს სჩადის საზიზღარსა,
ამით ხიბლავს სუყველასა—
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა.

ცაო, ცაო, დაიპეჭე,
რისხვის მეხი დაეც თავსა.
ვინც ღალატობს განურჩევლად
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა.

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ისეთი ტაშის გრიალი და „ვაშას" ძახილი იყო, რომ წამკითხველმა მითხრა, ტაშის გრიალის ქარი ვიგრძენი, თითქოს ქარმა სცენის სიღრმეში მიმაგდოო.

ზოგიერთი მკითხველი იფიქრებს, რა დაბალი გემოვნების აუდიტორიასთან გვქონია საქმე, რომ ასეთი პრიმიტიული ლექსი გაუგონარ ოვაციებს იწვევდაო. აქ საქმე ლექსის ღირსებას არ ეხება. საქმე მის შინაარსთან გვაქვს, იგი ემთხვეოდა მშრომელთა გულის დარდებს, მათს ბოღმას და ამიტომ ხვდებოდა ხალხი მას ასეთი აღტაცებით.

უთანხმოება ჩვენს წრეში

სახალხო თეატრმა 34 წელს იარსება. ამ 34 წლის განმავლობაში მან მრავალჯერ შეიცვალა სახელწოდება. როდესაც სპექტაკლებს ეზოებში ვმართავდით უნებართვოდ, ამ სპექტაკლებს ხელოსანთა ამხანაგობის მიერ გამართული წარმოდგენები ერქვა. ეს სახელწოდება სწორიც იყო. როგორც ინიციატორები, ისე მონაწილენი, ყველანი ხელოსნები იყვნენ. როცა „ავჭალის აუდიტორიაში" დავბინავდით, ეს სახელწოდება უკვე აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან ასეთი ამხანაგობა არ იყო გუბერნატორის მიერ დამტკიცებული. იგი ხუდადოვის რჩევით, რომელიც სიფხიზლის საზოგადოების თავმჯდომარე იყო, ჩვენ ამ საზოგადოების სექციად გამოვაცხადეთ და ნებართვის აღებაც გაადვილდა, მართალია ჩვენ ამ საზოგადოების სექციად ვითვლებოდით, მაგრამ მართვა-გამგეობა დამოუკიდებელი გვქონდა და საზოგადოება არავითარ კონტროლს არ გვიწევდა. დახმარებით კი ბევრს გვეხმარებოდა სიფხიზლის საზოგადოების სახელით. ჯერ ერთი, ტერიტორიულად შორს ვიყავით ამ საზოგადოებისაგან და, რაც მთავარია, ზუბალაშვილების სახალხო სახლში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი. ყველა ეროვნების დრამატული წრე მათს გამგებლობაში იყო და ჩვენ არ შეიძლებოდა გამოვთიშოდით მათ. ამიტომ ჩვენი დრამატული წრე სახალხო უნივერსიტეტს შეუერთდა. მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტს გახსნილი ჰქონდა საღამოს სკოლები მოზრდილთათვის, აწყობდა ლექციებს მუშებისათვის და წარმოდგენების გამართვაც მის პროფილს შეეფერებოდა. ამ უნივერსიტეტის გამგეობაში ჩაბმული იყვნენ მოწინავე მუშები ვასო რაქვიაშვილი, სანდრო ფარნიევი და სხვ. ჩვენ კი ვიცოდით, რომ მუშათა საქმეს მუშები უკეთ გაუძღვებოდნენ და ესეც გვახარებდა ამ უნივერსიტეტის ფილიალი ვყოფილიყავით. ერთი გარემოება კიდევ უწყობდა ხელს იმას, რომ სახალხო უნი-

ვერსიტეტს შეეერთებოდით. საქმე იმაში იყო, რომ ამ უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე იყო ხალხოსანი ვასო რცხილაძე. ის ხომ ჩვენი მასწავლებელი იყო სახელოსნო სასწავლებელში. ბევრი ხელოსანი მისი გამოზრდილი იყო. მის ნამოწაფარებს ძლიერ გვიყვარდა ეს უმწიკვლო და თავდადებული მოღვაწე და, რასაკვირველია, გაგვიხარდა, როცა ასეთმა ადამიანმა იკისრა ჩვენი წრის მეთაურობა. და აი სახალხო სახლში პირველი დღიდანვე ჩვენს წრეს ერქვა სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული წარმოდგენების მომწყობი სექცია. ფაქტიურად ჩვენ სრულიად დამოუკიდებელი ვიყავით, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ჩვენს საქმიანობაში არ ერეოდა. კარგა ხანს ჩვენი სპექტაკლები ამ ფირმით იმართებოდა. გაიარა ხანმა. ჩვენი წრის გამგეობამ მიიღო თბილისის გუბერნატორისაგან ნებართვა გაემართა სპექტაკლები თავისი სახელით, ე. ი. სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მომწყობი წრის სახელწოდებით. ამ ნებართვის მიღებისთანავე ჩვენმა გამგეობამ განიზრახა ჩამოშორებოდა სახალხო უნივერსიტეტს და მის თავმჯდომარეს. ეს ამბავი ძლიერ ეწყინათ. გაიმართა ცხარე პოლემიკა გაზეთის ფურცლებზე. ბევრი ცხარე სიტყვა დაიხარჯა, ბევრმა ავარჯიშა თავისი კალამი ამ კონფლიქტის დროს. სცენისმოყვარეთა წრეც ორად გაიყო. პირადად მე ღალატად მიმაჩნდა ჩამოვშორებოდით სახალხო უნივერსიტეტს, რომელიც არაფერს გვიშავებდა, დახმარებით კი ბევრს გვეხმარებოდა. აღსანიშნავია რომ, როდესაც სახალხო სახლი აშენდა და მისი ექსპლოატაცია დაიწყო, ქართულ წარმოდგენებს კვირაში ორი დღე დაეთმო. მაგრამ ეს დღეები ჩვენ კი არ მოგვცეს, არამედ ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ხოლო ამ უკანასკნელმა ჩვენ დაგვითმო ეს დღეები. ასე რომ კონფლიქტის გადაწყვეტისას არანაკლები როლი შეეძლო ეთამაშნა თვით დრამატული საზოგადოების გამგეობას. წრე, როგორც აღვნიშნეთ, ორ ნაწილად იყო გაყოფილი— დამოუკიდებლობის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი. პირველ ჯგუფს მიემხრო რეჟისორი კოტე შათირიშვილი. ამ ჯგუფმა აირჩია დასადგმელად ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“ და შეუდგა მზადებას. მეორე ჯგუფმა ავირჩიეთ ავქსენტი ცაგარლის „ციმბირელი“ და ჩვენც შევუდექით მზადებას. ერთსა და იმავე დროს ორი პიესა მომზადდა და ორივეს აფიშაც დაიბეჭდა. ახლა დაისვა საკითხი, ვისი პიესა უნდა დადგმულიყო სახალხო სახლში—ჩვენი თუ მეორე ჯგუფისა. ამ საკითხის გადაწყვეტაში ჩაერია დრამატული საზოგადოება, რამდენადაც, როგორც აღვნიშნეთ, დღეები მათ დაგვითმეს, და თავისი სპეციალური სხდომა მოანდომა ამ კონფლიქტის გადაწყვეტას. დრამატულმა საზოგადოებამ დაადგინა კვირაში ორი დღე დათმობოდა იმ მხარეს, რომელსაც მსახიობი — რეჟისორი კოტე შათირიშვილი მეთაურობდა. ამ

დადგენილების შედეგად ჩვენ დავმარცხდით და დამოუკიდებელი წრის მომხრეებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ სახალხო სახლში წარმოდგენები იმართებოდა სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების დამდგმელი წრის სახელით. ჩვენ კი, რომლებიც სახალხო უნივერსიტეტის მომხრენი ვიყავით, გადავბარგდით ისევ ავჭალის აუდიტორიაში და მომზადებული პიესა „ცომბირელი" იქ გავმართეთ. უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ ჩვენი დამარცხება მაშინ მუშათა ნაწილის დამარცხებად მიგვაჩნდა და ინტელიგენციის გამარჯვებად. ჩვენ მათ ეუსაყვედურებდით რეპერტუარიდან მუშური პიესების განდევნას და შოვინისტური პიესებით მის შევსებას. ამის შესახებ გაზეთებშიც იწერებოდა წერილები. ცოტა ხანს ავჭალის აუდიტორიაში ვმოქმედებდით, მაგრამ კვლავ შეერთდით და სახალხო სახლს დავუბრუნდით. მართალია, ფარხმალი დავყარეთ, თავი დამარცხებულად ვიცანით, მაგრამ ბოლმა გულს მაინც არ შორდებოდა, რომ მუშების მიერ დაწყებულ საქმეს მუშები აღარ განაგებდნენ და ზოგჯერ გერებად იყვნენ მიჩნეული. შემდეგ თავში დაწვრილებით შეეხები ამ ამბავს.

რამ დამაწერინა სახალხო თეატრის ისტორია

გაიარა ხანმა. ჩემი ამხანაგები, რომლებიც ჩემთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას მუშათა თეატრის ჩამოყალიბებაში, თანდათან ჩამოშორდნენ ჩვენს სცენას. იოსებ იმედაშვილი ავლაბრის სახალხო წარმოდგენების წრეში ჩაება, ვასო თევდორაშვილი განჯაში გადაიყვანეს სამუშაოდ როგორც მემანქანე. ნიკოღოსოვმა სრულიად დაგვანება თავი. დათიკო მშველიძე თბილისიდან სხვაგან წავიდა სამუშაოდ. მიხეილ შველიძე გარდაიცვალა. დავრჩით მე, მიხეილ თუშმალიშვილი და ისაკა ძნელაძე. დანარჩენი სულ ახალი ხალხი იყო, მეტ ნაწილად ინტელიგენტები. წრეს თავმჯდომარეობდა მარიამ დემურია. რაც დრო გადიოდა, ჩვენ, მუშებს, აღარ გვეკითხებოდნენ, აღარც გამგეობაში გვირჩევდნენ. თუ წინად უჩემოდ პიესას ვერ დგამდნენ და სოფელში რომ ვყოფილიყავი, კაცს გამომიგზავნიდნენ ხოლმე, ახლა როლს მხოლოდ მაშინ მაძლევდნენ, როცა სხვას ვეღარ იშოვნიდნენ ხოლმე. მარიამ დემურიამ დიდი ამაგი დასდო სახალხო თეატრს. ვისაც კი შეხვდებოდა, ეპატიჟებოდა და როლს შესთავაზებდა ხოლმე. ასე მიმართავდა ხოლმე ყველას: ვასოს სულს ვფიცავ, შენ კარგად ითამაშებ სცენაზეო, და ყველას ურჩევდა ჩვენთან მოსვლას. მის ასეთ ენერგიულ და თავდადებულ მუშაობას ზოგჯერ კურიოზებიც მოსდევდა. საინტერესოა გავიხსენოთ ერთი ადგილი ნიკო გოცირიძის მოგონებიდან:

„იმ პერიოდში, როცა ავჭალის აუდიტორიაში დაიწყო ქართული წარმოდგენების გამართვა, დეპოში ვმუშაობდი და ამავე დროს ქართულ

თეატრში პატარ-პატარა როლებს ვასრულებდი. წრის წევრებს კარგად ვიცნობდი და ბევრმა მათგანმა იცოდა ჩემი გატაცება თეატრით. უნდა მოგახსენოთ, რომ ცოტა ნაწყენიც იყვნენ, რომ მუშა დიდ თეატრში ვმუშაობდი და მუშათა თეატრში კი არ ვიღებდი მონაწილეობას... რამდენჯერმე საყვედურით მომმართეს, დაეხსენ დიდ თეატრს, მუშა სახალხო თეატრში უნდა მუშაობდესო... ერთხელ მოვიდა სახლში ჩემთან დათიკო მშველიძე და მითხრა—მოდი, ნიკო, ამ ჩვენ ახლადფეხადგმულ სახალხო თეატრში იმუშავე. ეს იყო 1896 წელს. მე იმ წელიწადს პატარა „კონფლიქტის" გამო წრის მუშაობაში არ მივიღე მონაწილეობა. ავჭალის აუდიტორიის ერთ-ერთი უანგარო, სპეტაკი და თავდადებული მუშაკი იყო მარიამ დემურია (საზოგადო მოღვაწე, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის" სულისჩამდგმელი და რედაქტორი). დაუღალავი ენერგიის პატრონი იყო მარიამი. წარმოდგენა რომ არ ჩაშლილიყო, ხშირად ერთი როლის შესასრულებლად სამ-ოთხ კაცს მოუყრიდა ხოლმე თავს. ერთი თუ არ მოვიდოდა, მეორე და მესამე თადარიგში ჰყავდა. ან თუ ერთი არ ივარგებდა, მეორეს გამოსცდიდა და როლს საბოლოოდ იმას მიაკუთვნებდა, ვინც უკეთ ითამაშებდა. ამას ერთგვარი დადებითი შედეგი მოჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ არევ-დარევასაც იწვევდა. მეც სწორედ ასე დამემართა, აღარ მახსოვს, პირველად უნდა მეთამაშნა რომელიღაც პიესაში, რეპეტიციაზე მისვლისას ვნახე, ჩემი როლისათვის მარიამს სხვა პირიც მიეწვია. მე ეს ვიწყინე. გავფხუკიანდი და რეპეტიციას აღარ დავესწარი. ახალგაზრდა ვიყავი, თავმომწონე, ქართულ თეატრში ტაშის სიტკბოებაც რამდენჯერმე ვიგემე, ჩვენს სახელოვან არტისტებთან ვთამაშობდი და, უეჭველია, ეს იყო მიზეზი, რომ მარიამს გავექეცი პირველი რეპეტიციიდან. მალე გული მოვიბრუნე, 1897 წლიდან დავიწყე ამ აუდიტორიაში სისტემატურად მუშაობა" (გვ. 30—31).

რასაკვირველია, საქმის სიყვარული ამოქმედებდა ამ უანგარო და სპეტაკ ადამიანს მარიამ დემურიას, მაგრამ ზოგჯერ ჩვენ ეს გვწყინდა.

ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ პიესაში როლები განაწილებული იყო, ყველა შემსრულებელი მოსული. ეს არ სცოდნია მარიამ დემურიას, ახალი სცენისმოყვარე მოუყვანია და რეჟისორი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია. რასაკვირველია, ყოველივე ეს სიკეთით მოსდიოდა. ეს ახალი სცენისმოყვარენი როგორც მოდიოდნენ, ისევე მალე მიდიოდნენ. მუქთად მუშაობა არავის ეპიტნავებოდა. მე, რასაკვირველია, მესიამოვნებოდა, როცა ჩემზე უკეთეს სცენისმოყვარეს ვხედავდი, მაგრამ როცა ჩემზე სუსტს აძლევდნენ როლს და მე კი მარქაფში ვყავდი, ეს, ცხადია, მწყინდა. ან რატომ არ უნდა ვყოფილიყავი გამგეობის წევრი? ეს ამბავი ცოტა არ იყოს არ მესიამოვნებოდა.

ამ დროს მე კვირეულ გაზეთ „კვალის" რედაქციაში ხშირად დავია-

ალ. უაზბეგი „არხენა“
არხენა — გ. ჯაბაური

გ. ხუნდუკიანი „პეპო“
პეპო — გ. ჯაბაური

რებოდი, რადგანაც ერთი მათი თანამშრომელი სოფიო ციციშვილი, ჩვენი სცენისმოყვარე იყო. ამავე დროს კარგად ვიცნობდი მწერალ გიორგი წერეთელს, რომელიც, როგორც წინათ მოგახსენეთ, ჩვენთან საუბრებს მართავდა. ის გაზეთ „კვალის" რედაქტორის ანასტასია წერეთლის მეუღლე იყო. „კვალის" რედაქციაში სიარულის დროს მე პირადად განვაცხადე ჩვენი მდგომარეობა—სახალხო თეატრში ჩვენ, მუშები, თანდათან გაგვინაპირეს, როლებს იშვიათად გვაძლევდნენ და აღარც გამგეობაში გვირჩევდნენ-მეთქი. ამის შემდეგ სრულიად მოულოდნელად მეორე კვირას ვკითხულობ გაზეთ „კვალში" შემდეგ პატარა წერილს, რომელიც მოთავსებული იყო შინაურ მიმოხილვაში.

„თბილისის ქართველ ინტელიგენციაში ამ ბოლო დროს აღიძრა სურვილი დაბალ ხალხთან დაახლოებისა და მის სასარგებლოდ რამის გაკეთებისა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ სახალხო თეატრი. მაგრამ არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ კეთილ სურვილს თანდათან ცუდი მიმართულება ეძლევა. ყოველგან და ყოველთვის მოწინავე პირები მეცადინეობენ ხალხის საქმე თვით ხალხს გააკეთებინონ, თვით ხალხში აღძრან თვითმოქმედებისა და მოღვაწეობის ხალისი. ჩვენი ინტელიგენტები კი სწორედ წინააღმდეგ გზაზე დამდგარან. სახალხო თეატრი თვით ხალხმა, ე. ი. ხელოსნებმა, დააარსა. ის უდგას სათავეში და სცენაზედაც უმთავრესად ხელოსნები გამოდიოდნენ. შემდეგ ამისა ხელი მოჰკიდეს ინტელიგენტებმა და ისე დააყენეს საქმე, რომ ხელოსნები განშორდნენ და მარტოდმარტო ისინი დარჩნენ. სცენაზე გამოიყვანეს ქართული თეატრის არტისტები, მოიწვიეს არისტოკრატიის ქალები ამა თუ იმ როლის შესასრულებლად და სცენიდან ასე თანდათან განდევნეს ეს ხალხის წარმომადგენელნი. თეატრის დარბაზი აპრელდა მაღალი წრის მაყურებლებით, განსაკუთრებით წინა რიგები დაიპირეს მათ, ბილეთების ფასიც ასწიეს. ერთი სიტყვით, ხალხი თანდათან დააშორეს სახალხო თეატრის საქმეს. ამას ამტკიცებს ისიც, რომ გასულ კვირას მომხდარ სახალხო თეატრის კრებაზე დამსწრე ხელოსანთა რიცხვი ხუთს აღარ აღემატებოდა, თუმცა დარბაზი თითქმის სავსე იყო. ყველა ეს გვიჩვენებს იმას, რომ ხელოსნები გაუგულგრილდნენ მათ მიერ დაწყებულ საქმეს და ეს არა იმიტომ, რომ საქმეს სხვები დაეპატრონენ.

საჭიროა სახალხო თეატრის მოღვაწე ინტელიგენტებმა დაიახლოონ ხელოსნები და მათთან ერთად აკეთონ საქმე. თუ არა ერთის მოსვლით მეორე მიდიოდეს, ვერაფერი თავდებია „სახალხო საქმის" რიგიანად სამსახურისა". (გაზ. „კვალი". 1901 წ. 4 თებერვალი, № 6).

ამ წერილის შინაარსი ძალიან იწყინა ჩვენმა გამგეობამ და შეუდგათ ერთი ალიაქოთი. სახალხო თეატრის გამგეობამ ერთი მუშაკთაგანის ფსევდონიმით საპასუხო წერილი მოათავსა გაზეთ „ცნობის ფურცელში" (იხ.

„ცნობის ფურცლის“ 1901 წლის 8 თებერვლის № 1377). ეს ერთი მუშაკთაგანი ცდილობდა გაებათილებინა გაზეთ „კვალში“ მოთავსებული წერილი და დაიწყო თავისი მართლება. ბევრნაირ ხრიკებს მიმართავ, მოჰყვა ამ თეატრის აღორძინება-დაარსების ამბავი, მაგრამ რა უნდა დაეწერა, რაც არაფერი იცოდა. გამგეობის წერილით ისე გამოდიოდა, თითქოს თეატრი მათ დააარსეს. მართალია, მანამდე მუშები მართავდნენ წარმოდგენებს, მაგრამ ისე უფერულად ,რომ ამაზე ლაპარაკიც არა ღირსო. „კვალის“ თანამშრომელს ბრმა უწოდეს, რადგანაც ჩვენ საქმიანობას ვერა ხედავსო. მაგრამ თვითონ უფრო ბრმა იყო, არ იცოდა, რასა წერდა. ისე, რომ ჩვენი წარსული ამბავი ნიავს გაატანა და სახალხო თეატრის დამაარსებლად თავისი თავი გამოაცხადა — ჩვენ ასე, ჩვენ ისეო.

დაიბეჭდა ეს წერილი და სახალხო თეატრის გამგეობამაც თავისუფლად ამოისუნთქა ამ პასუხის გაცემით. ამ წერილმა ძალიან გამაკვირვა. განა ეკადრებოდა განათლებულ ადამიანს ტყუილები. მაშინ კი მოვკიდე ხელი კალამს, გადავწყვიტე ამ წერილზე პასუხის გაცემა და გავეცი კიდეც,

„სახალხო თეატრის დაარსება თბილისში“

რადგანაც ამ ბოლო დროს ლაპარაკი ატყდა იმის შესახებ, თუ როგორ დაარსდა „სახალხო თეატრი“ და გაზეთ „ცნობის ფურცლის“ თებერვლის ნომერში წერილია დაბეჭდილი სახალხო თეატრის „მუშაკთაგანისა“, რომელიც ხალხს აუწყებს იმას, რაც თითონაც არ იცის და არც დამსწრე ყოფილა, ეხლა კი ნებას ვაძლევ ჩემ თავს, რომ ამ საგანზე მეც ხმა ამოვიღო და ვაუწყო საზოგადოებას ის, რაც იყო და რის ერთი მუშაკთაგანიც მე ვიყავი.

ჯერ კიდევ 1892 წ. ხელოსანთა სცენისმოყვარენი უბნებში ვმართავდი წარმოდგენებს. წარმოდგენები იმართებოდა სცენისმოყვარეთა მიერ დაქირავებულ შენობაში უფასოდ. ამ ხანებში ჩვენი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო ის, რომ მოთამაშე ქალები არ გვყავდა. და აგრეთვე საქმეს გვიჭირვებდა შენობის, ნებართვის და სხვა ამგვარი საქმე. მაგრამ სცენისადმი სიყვარული იმდენად იყო გაღვივებული ჩვენ შორის, რომ მოვისურვეთ მუდმივ გვემართა წარმოდგენები და სამუდამო ნებართვა აგვეღო. დავნიშნეთ კრებები, შევადგინეთ წესდება. წესდებაში აღნიშნული იყო მიზანი ამხანაგობისა—გამართვა უფასო წარმოდგენებისა, დაარსება წიგნთსაცავ-სამკითხველოსი და სხვა. რადგანაც ამხანაგობას საშუალება არა ჰქონდა, ამიტომ დავადგინეთ, რომ თვითეულ წევრს შემოეტანა საწევრო ფული თვეში ათი შაური. სასტიკად აკრძალული იყო ათ წუთზე მეტი დაგვიანება რეპეტიციაზე, როლის უცოდინარობა, რეჟისორისა და ამხანაგობის წინააღმდეგობა და სხვა. ვინც ამას არ შეასრულებდა,

ის იხდიდა ჯარიმას და ეს ფული ხმარდებოდა სასცენო საჭიროებას. წესდების მიღების შემდეგ ამოვირჩიეთ თანამდებობის პირნი: 1) ვ. ჯანიაშვილი (იგივე თევდორაშვილი) კრების თავმჯდომარედ და გამგედ, 2) ი. იმედაშვილი—რეჟისორად, 3) ა. ნიკოლოსოვი—მოლარედ (საწევრო და ჯარიმების ფული ებარა). მაშინ ამხანაგობაში ირიცხებოდნენ: 1) ი. ძნელაშვილი 2) ვ. ჯანიაშვილი (თევდორაშვილი), 3) გ. ჯაბაური, 4) დ. შველიძე, 5) თ. იმედაშვილი, 6) ი. ინასარიძე, 7) ილიკო სუხიშვილი (საქ. სსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელის ი. სუხიშვილის მამა), 8) მ. თუშმალიშვილი, 9) დ. სხირტლაძე, 10) გ. მურმანიშვილი. რაკი ცოტათი ასე გაწესრიგდა საქმე, ამხანაგობამ გადაწყვიტა მუდმივი სახლი ეშოვა წარმოდგენების სამართავად. ცოტაოდენი მოსაზრების შემდეგ, ყურადღება მივაქციეთ ავჭალის ქუჩაზე ხოლერობის დროს საჩაიედ ყოფილ შენობას. ეს ადგილი ყველას მოეწონა, მაგრამ მის ხელში ჩაგდებას ვეჭვობდით. ამხანაგობამ მაინც ამოირჩია სამი პირი 1) ვ. ჯანიაშვილი (თევდორაშვილი), 2) ა. ნიკოლოსოვი, 3) გ. ჯაბაური და გაგზავნა ბ. ხუდადოვთან, რადგანაც შეტყობილი გვქონდა, რომ ამ შენობას ბ. ხუდადოვი განაგებდა. ბ. ხუდადოვმა სიამოვნებით მიგვიღო და მოეწონა კიდეც ჩვენი მიზანი, შემდეგ გვკითხა, თუ თამაში შეგიძლიათ წადით, მოემზადეთ და მაგ საქმეს მე მოგიხერხებთო. ბ. ხუდადოვის დაპირებამ ყველანი აღგვაფრთოვანა, ბეჯითად შევუდექით პიესის არჩევას და მოვამზადეთ კიდეც. ამ მომზადების შემდეგ ბ. ხუდადოვმა მოგვიწერა კნ. მ. ა. არღუთინსკისთან. იმისა და ვერა ქართველიშვილის ქალის დახმარებით შევიძინეთ ნებართვა წარმოდგენის გამართვისა და შენობაც დაგვითმეს. ამხანაგობა მაშინვე შეუდგა სცენის გაკეთებას და რადგანაც ხელოსნები ისევ ჩვენ ვიყავით, ამიტომ მარტო მასალაღა იყო საჭირო, რაც 17 მან. დაგვიჯდა. მუშაობით კი ჩვენ ვმუშაობდით. ამნაირად თეატრი მოვამზადეთ და პირველი წარმოდგენა გაიმართა სახალხო თეატრში 1893 წ. დაიდგა „რაც გინახავს, ველარ ნახავ" უფასოდ. კატინას როლის მოთამაშედ მოვიწვიეთ ერთი ძოსარეცხე დედაკაცი გვარად იმედოვი, რომელსაც სამი მანეთი მივეცით[1]. ამ წარმოდგენას ხალხი დიდი ძალი დაესწრო და აღტაცება გამოიწვია მათ შორის. ჩვენც, რასაკვირველია, სიმხნე მოგვემატა და საქმეს უფრო ენერგიულად შევუდექით. მეორე წარმოდგენა იყო „და-ძმა". ძლიერ დაგვეხმარა ეკა ასათიანი, რომელმაც გაბედვინა ერთ თავის მოწაფე ქალს (ეკ. იოსელიანი-ჯაბაური) ჩვენთან ეთამაშნა მარინე. მესამე წარმოდგენა იყო „არსენა". აქაც როლში ეკ. ასათიანის შემწეობით მონაწილეობა მიიღო ეკ. წულუკიძემ) სი-

[1] მე პირველ თავში მოხსენებული მაკკს 70 კაპ. გვთხოვა დღეში დედაკაცმაო. ჩვენ ამის კვალობაზე გავესწორდით. რეპეტიციები ვიანგარიშეთ და სამი მანეთი მოუწია. გ. ჯ.

დონიას როლში). მაშინ ამხანაგობაში იყვნენ ისევ ის ზემოთ მოხსენებული ხელოსნები. ეხლა კი მთლად გაიჩარხა ჩვენი საქმე. რადგანაც ორი მოთამაშე ქალი შევიძინეთ (ეკ. იოსელიანი—ჯაბაური, ეკ. წულუკიძე). მეოთხე წარმოდგენა იყო „ადვოკატი". ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ან. ჩაჩიბაიამ და მ. ხმიადაშვილმა. მეხუთე წარმოდგენა იყო „პეპო". ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო კნ. ე. ს. ციციშვილმა. როგორც ხედავთ, ქალთა ინტელიგენცია ნელნელა დავიახლოვეთ და გვეხმარებოდნენ თამაშობაში, ხოლო სათავეში ხელოსნები ედგნენ და საქმეც კარგად მიდიოდა.

დღეს კი გამოდის „მუშაკთაგანი" და გვარწმუნებს, რომ სახალხო თეატრში პირველად ითამაშეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „პეპო" და რამდენიმე ვოდევილით, და თანაც დასძენს, რეპერტუარი სუსტი ჰქონდათო და სხვა. თუ რამდენად ღარიბი იყო მაშინ რეპერტუარი, ანდა პირველად რა ვითამაშეთ, ეს ზემოთ ჩამოთვლილი პიესებიდანა ჩანს. ძალიან გვაკვირვებს, ვინ ატანდა ძალას „მუშაკთაგანს" ტყუილები ეწერა. ყოველ წარმოდგენას ხალხი დიდძალი ესწრებოდა. ყურადღება დაიმსახურა ჩვენს მიერ დაწყებულმა საქმემ და გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი რამდენიმე რეცენზია. მაშინ კი ყურები აცქვიტა ჩვენმა „ინტელიგენციამ" და მოინდომა ჩარეულიყო ამ საქმეში. ამისათვის შეიყარა 30-მდე „ინტელიგენტი", დანიშნეს კრებები, მიგვიწვიეს ჩვენ და გვკითხეს საქმის ვითარება. დავიწყეთ ლაპარაკი. ვლაპარაკობდით და მხოლოდ ვლაპარაკობდით. ამ ლაპარაკს მოანდომეს რამდენიმე კრება და ბოლოს ქ. მ. ა. არღუთინსკიმ და ქ. ვ. ქართველიშვილმა თავი დაგვანებეს (რომელნიც ნებართვას იღებდნენ), რადგანაც გაიგეს, რომ „ინტელიგენცია" უკვე ჩაერია ჩვენ საქმეში და დარწმუნებული იყვნენ, რომ ნებართვას ისინი აიღებდნენ. ბოლოს ერთი ორი კრებაც ამ ცარიელ ლაპარაკს მოანდომეს და სწორედ ამ დროს აგვიკრძალეს სახალხო თეატრში წარმოდგენების მართვა. წარმოდგენები შეჩერდა.

ბ. „მუშაკთაგანი" კი თავის წერილში ხალხს არწმუნებს, რომ საქმე ისე სუსტად იყო დაყენებული, რომ მალე სრულიადაც ჩაქრა, და თუ ჩვენ არა, ხელოსნები ვერ შექმნიდნენ საქმეს ისე, როგორც დღეს არისო. ამაზე მეტი ტყუილი შეიძლება? ჩაქრობის მიზეზი განა ჩვენ ვიყავით? ან ნეტა რით ამტკიცებს, რომ ხელოსნებს აღარ შეეძლოთ თავიანთ მიერ დაწყებული საქმის წინ წაყვანა!?

მის შემდეგ გაიარა ერთმა წელიწადმა, რაც აგვიკრძალეს თამაშობა და 1897 წ. ისევ დავიწყეთ წარმოდგენის მართვა (ნებართვა მგონი ეუთაოელაძემ აიღო). შედგა ისევ კომისია, გაინაწილეს შრომა და გადაწყვეტეს პიესების თარგმნა და რამდენიმემ წაიღო კიდეც რუსული პიესები გადასათარგმნად. ჩვენც იმედი მოგვეცა ახალი პიესების შეძენისა, მაგრამ იმედმა ტყუილად ჩაგვიარა. არამცთუ პიესის გადათარგმნა, არა-

მედ მთარგმნელებიც კი დაგვეკარგნენ. ხელოსნების რჩევას და აზრს ამა თუ იმ პიესაზე გასავალი აღარა ჰქონდა. თუმცა ყველაზე მეტს კი ჩვენ ვბაუშაობდით. ვხედავდით, რომ „სექციის“ წევრებად იმნაირ პირებს ირჩევდნენ, რომლებმაც არც კი იცოდნენ, სად იმართებოდა წარმოდგენა (სახელებს აქ აღარ მოვიყვან). აი, მაგალითად, კვირას, 28 იანვარს, წარმოდგენა იყო გამართული, ხოლო კვირასვე „ცნობის ფურცელში“ აცხადებენ. რომ შაბათს, 27 იანვარს, წარმოდგენა იყო გამართული, ითამაშეს ესა და ეს პიესაო და სხვა.

ზოგი ხელოსანთაგანი კიდეც გააგდეს, მაგალითად, ი. ძნელაშვილი და მ. თუშმალიშვილი. პირველმა რეპეტიციაზე ავადმყოფობის გამო რამდენჯერმე დაიგვიანა, მეორემ კი შენიშვნა მისცა პიესის ამორჩევაზე. ყველა ამის შემდეგ საკვირველი აღარ არის, რომ ამ სახალხო საქმეს ჩამოვშორებოდით.

ერთი ხელოსანთაგანი გიორგი ჯაბაური. („გაზეთი კვალი“, 1901 წ. 18 თებერვალი, № 8).

ამ ჩემი გამოსვლით დავარღვიე „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული წერილის ყველა დებულება და მკითხველს გავაცანი საქმის ნამდვილი ვითარება. ეს იყო ჩემი პირველი სტატია სახალხო თეატრის შესახებ. ამ წერილის შემდეგ ხმა არავის ამოუღია.

ეხლა მოგახსენოთ, რომ მე ძალიან გულუბრყვილო, მიამიტი და მიმნდობი კაცი ვიყავი. ნასწავლ კაცს მუდამ პატივსა ვცემდი და ვერ წარმოვიდგინა, ტყუილი როგორ უნდა თქმულიყო. „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული წერილი კი იყო გამგეობის საერთო აზრი. ეფიქრობდი, ჯერ აქა ვარ, ციცხვივით შიგ ვტრიალებ, ცოცხალი მოწმე ვარ და ჩემთან ტყუილს ამბობენ და როცა მოვკვდები, ვინ იცის, რა არ დასწერონ და ვინ არ გახადონ სახალხო თეატრის ორგანიზატორი. ამ გარეხმოებამ ამაღებინა ხელში კალამი და შეეუდექი ჩემებურად, მუშურად სახალხო თეატრის ისტორიის დაწერას. ჩემს ბედზე „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი იყო ჩვენივე სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რეჟისორი. ცხადია, როცა რედაქტორი ამის უშუალო მოწმე იყო, ის სიმართლე დაიწერებოდა. ამრიგად, იოსებ იმედაშვილის დახმარებით და მხურვალე მონაწილეობით 1913—14 წლებში დაიწყო ამ ჟურნალში ჩემი წერილების ბეჭდვა. სამწუხაროდ, ეს ბეჭდვა ვერ დამთავრდა და ცალკე წიგნადაც არ გამოცემულა. ამჟამად ეს ისტორია ინახება სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის არქივში და ქართული თეატრის ისტორიის მკვლევართ მასალად მაინც გამოადგებათ.

სპექტაკლები სოფლად

1898 წელს ავლაბრის აუდიტორიაში აგვიკრძალეს წარმოდგენების მართვა. კარგა ხანს ნებას არ გვაძლევდნენ გაგვეახლებინა მუშაობა.

უმოქმედობას დაჩვეული არ ვიყავი და ამიტომ წინადადება შევიტანე მცხეთაში დაგვეწყო წარმოდგენების მართვა. ჯერ ერთი, მცხეთა ახლოს არის თბილისთან, რკინიგზა სოფელს უდგება, შეგვეძლო წარმოდგენის შემდეგ დავბრუნებულიყავით ქალაქში და სამუშაო არ გაგვეცდინა. ავჭალის აუდიტორიის გამგეობამ ჩემი წინადადება მოიწონა და შევუდექით მზადებას. ჩვენმა სცენისმოყვარე მასწავლებელმა ქალებმა ანიკო ჩაჩიბაიამ და ეკატერინე წულუკიძემ გვითხრეს, რომ მათ მცხეთაში ჰყავთ ამხანაგი ქალები, რომლებიც მასწავლებლობენ ქალების მონასტერში და ისინი ხელს შეგვიწყობენო. ჩაჩიბაიამ და წულუკიძემ მომცეს წერილი და ერთ მშვენიერ დღეს მე და ისაკ ძნელაშვილი მცხეთაში გავემგზავრეთ. მივედით მასწავლებლებთან — კვალიაშვილთან და მახათაძესთან და ჩვენი სცენისმოყვარე ქალების წერილი გადავეცით. მასპინძლები აღტაცებით შეეგებნენ ჩვენს წამოწყებას. ჩვენის მხრივ განუცხადეთ, რომ სპექტაკლის მთელ შემოსავალს გადავცემდით ადგილობრივ სამკითხველოს. მართლაც შეპირებულ დღეს გავემგზავრეთ მცხეთაში. სადგურზე მასპინძლები ყვავილებით დაგვხვდნენ. დავდგით „პეპო". როლები ასე იყო განაწილებული: პეპო — გ. ჯაბაური, ზიმზიმოვი — იოსებ იმედაშვილი, გიქო — ისაკ ძნელაშვილი, ეფემია — ნინო ნაკაშიძე (მწერალი), შუშანა — სოფიო ციციშვილი, კეკე — ეკატერინე წულუკიძე, კაკულა — დათიკო შველიძე, სამსონა — ილია ნაკაშიძე (ლექტორი), გიგოლა — გრ. თხილაძე. მოკარნახედ იყო მიხეილ თუშმალიშვილი. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. შემოსავალი იყო 42 მანეთი, რაც მთლიანად დანიშნულებისამებრ სამკითხველოს გამგეს გადავეცით. სპექტაკლის შემდეგ გაგვიმართეს ვახშამი. ჩვენი ქალები თავიანთმა მეგობრებმა ქალებმა წაიყვანეს, ჩვენ კი სამკითხველოში დავრჩით. იოსებ იმედაშვილმა იქაურ სამკითხველოს რამდენიმე წიგნი შესწირა (მაშინ იმედაშვილს წიგნის მაღაზია ჰქონდა). მეორე დღეს დიდის ამბით, მადლობის გადახდით და ყვავილებით გამოგვაცილეს მცხეთის სადგურამდე.

ეს წარმოდგენა იყო ჩემს მიერ პირველი გამართული სპექტაკლი სოფლად და ვგონებ მცხეთისათვის პირველი წარმოდგენა იყო.

1909 წელს ჩემივე მეთაურობით მცხეთის კანცელარიაში დავდგით მეორე სპექტაკლი. წარმოდგენილ იქნა ვალერიან გუნიას „და-ძმა". ამ სპექტაკლის მოწყობა მით უფრო ადვილი გახდა, რომ ჩემთან ერთად მაშინ რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მუშაობდნენ მცხეთელი მუშები პეტრე მარტოლეკიშვილი, ალექსანდრე კაპანაძე და იმერლიშვილები. როლები ასე გავანაწილეთ: გაიოზ ფაღავა — გიორგი ჯაბაური, ოტია ჯოლია — ი. ძნელაშვილი, ფარად ფაშა — გიგო გელიკურაშვილი, მარინე ეკატერინე ჯაბაური, გიორგი — მიხეილ თუშმალიშვილი (თუშმალიშვილი ერთ მოქმედებაში გამოდიოდა, დანარჩენ მოქმედებებში მოკარნა-

ხეობას ეწეოდა), გადია—თეკლე თუშმალიშვილი, ყარა-ოღლი—პეტრე მარტოლეკიშვილი (მცხეთელი), ჯანვერდი—შიო პავლიაშვილი.

იმ საღამოს წარმოდგენის დროს სიმღერას ასრულებდა თავისი გუნდით გიორგი კაპანაძე (მცხეთელი). წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხი ნასიამოვნები დარჩა. ის იყო საავხშმოდ ვემზადებოდით, რომ ადგილობრივ ვეტექიმის მეუღლეს გამოეგზავნა 5 თონის პური, ბლომად ყველი, დიდი დოქით ღვინო და დაებარებინა, გაიოზ ფალავას როლის შემსრულებელს გიორგი ჯაბაურს მიართვითო.

იმ ღამეს სცენაზე გავათენეთ. დილა ადრიან არაგვის ნაპირს მივაშურეთ. შუბლი მოჩუხჩუხე წყლით გავიგრილეთ და დიდად ნასიამოვნები დავბრუნდით თბილისში.

1902 წლიდან დროებით მცხეთაში დასახლდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშა ნიკო შახვალადოვი. ნიკოს მე კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდი კიდეც. მეტად განვითარებული მუშა იყო, უყვარდა ხელოვნება და სურვილი ჰქონდა გლეხობის გათვითცნობიერების საქმისათვის ხელი შეეწყო. მან მცხეთაში დააარსა სცენისმოყვარეთა წრე. ამ წრეში შედიოდნენ ქალებიდან—ნუცა გედევანიშვილი, ნინო იორდანოვი, პელო იორდანოვი და სხვები. შამაკაცები: ნიკო შახვალდოვი, ნ. თათარაშვილი, ლობჟანიძე, ალექსანდრე კაკაბაძე, პეტრე მარტოლეკიშვილი. სცენისათვის ფარდაც დახატა ადგილობრივმა მცხოვრებმა გამოჩენილმა მხატვარმა ალექსანდრე მრევლიშვილმა. ფარდაზე დახატული იყო ამომავალი მზე, რომლის ბრწყინვალე სხივებიც შუქსა ჰფენდა მცხეთის არემარეს.

აი ამ ნიკო შახვალადოვმა გვთხოვა მე და ნიკო გოცირიძეს მიგველო მონაწილეობა მცხეთაში გამართულ წარმოდგენაში. დგამდნენ ტრიფონ რამიშვილის „მეზობლებს“. შახვალადოვმა მთხოვა რამდენიმე რეპეტიციას დავსწრებოდი. მეც ეს თხოვნა შევუსრულე და რეპეტიციებზე თბილისიდან დავდიოდი. სცენა მოაწყეს სვეტიცხოვლის ეზოში. ბილეთები წინასწარვე გაეყიდათ. სპექტაკლს აუარებელი ხალხი დაესწრო. როგორც გავიგეთ, იმ საღამოს შემოსავალი გადაეცათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფონდის გასაძლიერებლად.

ჩვენთან რკინიგზის მთავარ სახელოსნოს სამღებრო საამქროში მუშაობდა კოლა მაჭარაძე. მოწინავე მუშა იყო და მუშებში დიდი გავლენით სარგებლობდა. მან მთხოვა ერთი წარმოდგენა მის სოფელ ეწერში გავემართა. ოფიციალურად წარმოდგენის შემოსავალი თითქოს ადგილობრივ სამკითხველოს უნდა მოხმარებოდა, სინამდვილეში კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფონდის გასაძლიერებლად იყო განკუთვნილი. მაჭარაძეს თანხმობა განვუცხადე და პიესის მზადებას შევუდექით. ავირჩიეთ გ. სუნდუკიანცის „პეპო“. როლები ასე განაწილდა: „პეპო — გიორგი ჯაბაური, ზიმზიმოვი—ა. ნიკოღოსოვი, გიქო — ი. ძნელაშვილი, შუშა-

ნა — თეკლე თუშმალიშვილი, ეფემია—თიკო ნიკოლოსოვი, კეკე—ეკატერინე ჯაბაური, კაკულა — მიხეილ თუშმალიშვილი, სამსონა – გიორგი ჩიქოვანი. გიგოლა—ჰაიკა შარმაზანოვი.

გიორგი ჩიქოვანი წინასწარ გავგზავნეთ სცენის მოსაწყობად და ჩვენ დანიშნულ დროზე გავემგზავრეთ. სცენა იქაურ სკოლაში მოეწყოთ. იქვე შეგვხვდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ყოფილი მუშა ილიკო კოპალეიშვილი, რომელმაც იმ ღამეს დიდი დახმარება გაგვიწია. ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი პატივი გვცა და გვთხოვეს კვლავაც ვწვეოდით.

ჩვენ, სცენისმოყვარენი, სოფლად წარმოდგენების გასამართავად მივდიოდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვთხოვდნენ და ამასთან თუ შემოსავალი არალეგალური ორგანიზაციის ფონდის გასაძლიერებლად იყო დანიშნული ან რაიმე საქველმოქმედო მიზნისათვის. მაგალითად, გორში წარმოდგენის გასამართავად მიგვიწვია მაშო კაპანაძემ და შემოსავალიც არალეგალურ ორგანიზაციას გადაეცა. ამავე მიზნით გავმართეთ წარმოდგენები ცხინვალში, მეჯვრისხევში, ახალქალაქში და სხვ.

მახსოვს გრაკალში წარმოდგენა გვქონდა. იმ საღამოს მეეტლე გავაფრთხილე, რომ ორშაბათს დილით პირველი მატარებლისათვის მოსულიყო დანიშნულ ადგილას და დავეძახნე. მინდოდა ორშაბათს სამუშაოზე გამოვცხადებულიყავი. მაშინ რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ვმუშაობდი და წარმოდგენების გამო ბევრი გაცდენა მქონდა. მეორე დილას მეფაიტონე მართლაც მოვიდა პირობისამებრ და დამიძახა. ჩვენ მაშინ ვახშამზე ვისხედით ბაღში ალუბლის ხის ქვეშ და დროს ვატარებდით. ჩემთან იყვნენ სცენისმოყვარენი გიგო გელიკურაშვილი, ალექსანდრე ბაჯიაშვილი, რომანოზ სალაყაია, ნიკო მირველოვი, ქალები; თამარ აფხაზიშვილი, დარო რჩეულიშვილი და სხვები. ამხანაგები არ მიშვებდნენ და მთხოვდნენ დავრჩენილიყავი მათთან. მე გავჯიუტდი და ეტლით სადგურ გრაკალში ჩამოვედი. მოვიდა მატარებელი, შევედი ვაგონში, გამოვშალე საწოლი და დავწექი.

მოდის კონდუქტორი, მაღვიძებს. ძილში მესმის „ვაშ ბილეტ". მე ნახევრად მძინარემ ვუპასუხე, სეზონი-მეთქი (მაშინ როგორც რკინიგზელს სეზონის ბილეთი მქონდა გორამდე). „კაკოი სეზონი, კუდა ედეშ"? მე ვუპასუხე—ტიფლის. კაკოი ტიფლის—ვ ბაკუ ედემ (თურმე ბათუმ-ბაქოს მატარებელში პირდაპირ ჩავმჯდარვარ). ამ სიტყვის გაგონებაზე გიჟივით წამოვარდი. გავიხედე, არე-მარე მოტიტვლებულია. პირველ გაჩერებაზევე მატარებლიდან ჩამოვხტი. ეს იყო სადგური ყარატაფა. შუადღეა, არსად ჩრდილი, არსად ხე. თვით ყარატაფა პატარა უმნიშვნელო სადგური იყო. რამდენიმე საათი ვიხეტიალე ამ მზეში. ჩამოდგა თბილისში მიმავალი მატარებელი. ნაშუადღევის 3 საათზე თბილისში ვიყა-

ვი. ამ დროს გადიოდა ბორჯომის მატარებელი. სირცხვილით შინ აღარ წავედი, ჩავჯექ ბორჯომის მატარებელში და წავედი ამხანაგების შესახვედრად. მათ სადგურ გრაკალში შევხვდი. შეზარხოშებულებს ხელში ალუბლის ტოტები ეჭირათ და მხიარულობდნენ. მე კი მშიერი ვიყავი, მზისაგან დათენთილი. ჩემი ამბავი რომ შეიტყეს, ბევრი იცინეს. დავბრუნდი შინ და სამშაბათს გამოვცხადდი სამუშაოზე. განაცდურ დღეებს კიდევ ერთი მიემატა.

ქართული თეატრის მსახიობთა დახმარება

ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობები სრულიად უანგაროდ გვეხმარებოდნენ და ჩვენს სპექტაკლებში მონაწილეობას იღებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იყო შექმნილი, თითქოს ჩვენ მათი თეატრის ფილიალი ვიყავით. რეჟისორობდნენ ჩვენს სპექტაკლებს, მატერიალურად გვეხმარებოდნენ და თავიანთი მონაწილეობით ჩვენს წარმოდგენებს ლაზათს აძლევდნენ. ქალებს შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიო ნატო გაბუნია. ასეთი ერთგული მუშაკი სახალხო სახლს არა ჰყოლია. ნატო გაბუნია არა მარტო მუშათა უბნებში თამაშობდა, სოფელ-სოფელ დადიოდა და ღარიბ მოსახლეობას ატკბობდა თავისი უებრო ნიჭით. რომელიმე სტუდენტს გაუჭირდებოდა სწავლის ფულის შეტანა — ვინ დაეხმარებოდა წარმოდგენის გამართვაში? ჩვენი ნატო, გენიალური მსახიობი, უანგარო, ხალხის ნამდვილი შვილი. განა დაიბადება კიდევ იმისთანა ხანუმა? ავქსენტი ცაგარელმა ეს პიესა თავის მეუღლე ნატოს უძღვნა. მართალია განსვენებული ლიზა ჩერქეზიშვილი ბაძავდა ნატოს და მისი გარდაცვალების შემდეგ ხშირად გამოდიოდა ხანუმას როლში, მაგრამ სად ნატო და სად ლიზა! არა, ბევრი მსახიობი მინახავს, მაგრამ ნატო გაბუნიას რა დამავიწყებს. მოიგონოთ „ორ ობოლში" მისი ფროშარი. უნდა გენახათ, ეს როკაპი დედაკაცი რა ბუნებრივად შეეჭცეოდა დამპალ ძეხვს და ზედ არაყს აყოლებდა. როგორ ხითხითებდა. ახლაც კი თითქოს ყურებში მესმის ეს მისი რაღაც არაჩვეულებრივი ხითხითი. ან მელანო კოტე მესხის მიერ გადმოკეთებულ კომედიაში „მელანიას ოინები"? მელანომ ღამით თავის მეზობელ გრიქურაოს ერთი საჟენი შეშა მოპარა. ხოლო ყასაბ არუწას დუქნიდან ახლად დაკლული ხბო აწაპნა და ტომრით თავის სახლში მოაძუნძულა. მელანოს ფეხდაფეხ მოჰყვება არუწა, რომელიც მელანოს შესჩივის თავის გასაჭირს.

— გესმის, დედიჯან, ხუთი მანეთი მიმიცია, დამიკლავს, გამიტყავებია, ჩამომიკიდნია და, ერთიც ვნახოთ, აღარ არის ხბო. გგონიათ ხბოს ხსენებაზე მელანოს გული გადმოუბრუნდება, კრიჭა შეეკრება? სრულიადაც არა. ის სრულიად დამშვიდებით გაიძახოდა:

— უი, უი, ქა, ხბოსაც იპარავენ! არა, არა, ჩვენ აქედან უნდა გადავ-

სახლდეთ, ჩვენ აქ აღარ დაგვედგომება. გენაცვალეთ, ხბოსაც იპარავენ. უი, უი, საწყალი არუწა! ამ ფრაზას ისე ბუნებრივად, ისე დამაჯერებლად ამბობდა, რომ გეგონათ ტომარით ხბო სულ სხვა დედაკაცმა შემოიტანა სცენაზე და არა მელანომ. მაგონდება ნატო გაბუნიას დამღერება, დაირის დაკვრა. რა კარგი, რა მშვენიერი იყო! ნატო არა მარტო გვეხმარებოდა და უფასოდ იღებდა მონაწილეობას ჩვენს სპექტაკლებში, ხშირად რეპეტიციებსაც თავის სახლში მართავდა და კარგადაც გვიმასპინძლდებოდა. მისმა უდროოდ სიკვდილმა ყველას თავზარი დაგვცა.

თავის დღეში არ დამავიწყდება მარიამ საფაროვი „ხათაბალაში“. იმის ნატალია ამ პიესაში წარმოუდგენელი მშვენება იყო, მისი სიმღერა თარზე ხომ გადასარევი. „თუ რომ, სულოჯან, არ გებრალები, რათ მომიკიდე ცეცხლის ალები“,— მოთქვამდა ნატალია და ჩვენც, მის მსმენელთ, გვედებოდა მართლაც ცეცხლის ალი. რა მომხიბლავი იყო მარიამ საფაროვი „ორ ობოლში“ ლუიზას როლში. მისი ოფელია „ჰამლეტში“ ხომ დაუვიწყარია. მერე „ბიძიასთან გამოხუმრება“... რომელი ერთი ვთქვა, მუშის კალამი განა შეძლებს აწეროს ნატოს და მაკოს ბუმბერაზობა.

არ ვიცი რომელი პიესიდან დავიწყო ლადო მესხიშვილის ქება. ჰამლეტი გავიხსენო, ედმუნდ კინი, ურიელ აკოსტა, ფრანცი თუ ჰარლეიგი, ან ისტორიული პიესებიდან სოლეიმან ხანი, ლევან ხიმშიაშვილი თუ გაიოზ ფალავა. ლადოს სცენაზე გამოჩენა თეატრის ზეიმი, სიხარული იყო. არც ერთ მსახიობს იმდენი ტაში არ ღირსებია, რამდენიც ლადო მესხიშვილს. წარმოდგენის გათავებისას ხალხი ქუჩაში ელოდებოდა საყვარელ მსახიობს და ხელით აყვანილი მიჰყავდათ სახლამდე. მესხიშვილი ხშირად ტოვებდა საქართველოს და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დადიოდა სათამაშოდ. ამაზე ვალერიან გუნიამ თავის კალენდარში მოათავსა ლექსი, რომელიც, ვგონებ, ასეა:

ვინც სანახავად დაგვხედა
ყველამ აქ მოიკალათა
შენ რაღა მიგარბენინებს
უცხო მხარეში ძალათა.
გვითხარ, სამშობლო სცენაზე
ნეტა რადა ხარ მწყრალადა?

ლადო მესხიშვილი, როგორც ადამიანი, ძალიან კარგი და სათნოიანი იყო, ამპარტავნობა არ უყვარდა და ამხანაგების კარგი გამტანი იყო. თუ სთხოვდნენ საქველმოქმედო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას, სიამოვნებით თანხმდებოდა.

ახლაც თვალწინ მიდგას აბაშიძის ზიმზიმოვი „პეპოში“ და მაზუთიანი „ციმბირელში“, გასტონი პიესაში „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, შაჰი

„სამშობლოში", ისაია „ხათაბალაში" და სხვ. ვასო ძალიან თავმდაბალი და ამხანაგების გამტანი იყო. ერთხელ სცენაზე ვასო აბაშიძემ პაპიროსი მომთხოვა. ბატონო ვასო, სამკაპეიკიანი არის და როგორ გაკადროთ-მეთქი. მოიტა, მოიტა, ქაჯან. სულერთია! მეც დიდის სიამოვნებით მივაწოდე უბრალო პაპიროსი ამ დიდ ადამიანს და იშვიათ მსახიობს. ვასო აბაშიძე ყოველთვის სიამოვნებით და სრულიად უფასოდ იღებდა მონაწილეობას ავჭალის აუდიტორიის სპექტაკლებში.

კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი ჩემი მასწავლებელი იყო. იმან მომამზადა „პეპოში" და მისმა ნაჩვენებმა მიზანსცენებმა გამამარჯვებინეს. რა უბრალო ადამიანი იყო ეს დიდი არისტოკრატი და დიდი ადამიანის დიმიტრი ყიფიანის შვილი. კოტე ყიფიანი ავჭალის აუდიტორიის მუდმივი წევრი იყო. ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენს საქმიანობაში. მისი სათნოება, უანგარობა პირდაპირ წარმოუდგენელი იყო. როგორ ვაძვრენდით ვაგონების ქვეშ ამ მოხუცს, როცა რკინიგზის პატარა სცენაზე მიგვყავდა სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად. განა ოდესმე დაივიწყებს ადამიანი მის სიმონ ლიონიძეს „სამშობლოში". — მოვრჩი ტანჯვას, მოვრჩი კი არა. ახლა იწყება ჩემი ტანჯვაო, — ისე ამბობდა ამ სიტყვებს, რომ მაყურებელს ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ან როგორი ღაღადით ამბობდა: აღთქმა არ დაგავიწყდეს, ლევან!

განა ვისაც ვალერიან გუნია უნახავს „ღალატში" ოთარ-ბეგის როლში, ის როდისმე დაივიწყებს ამ მსახიობს. უბრალო პატარა ეპიზოდურ როლებსაც ისე განასახიერებდა, რომ არასოდეს დაივიწყებდი. მაგალითად, „გადაკრილ მუხაში" სულ ორ სიტყვას ამბობდა, და ახლა 40 წლის შემდეგაც მახსოვრობიდან არ ამოშლილა ეს.

ბაბო ავალიშვილი მხოლოდ ორჯერ ვნახე — ქეთევანი „სამშობლოში" და მარინე „და-ძმაში". ეს იყო ჩემი პირველი სპექტაკლები დიდ თეატრში და წარუშლელი შთაბეჭდილებაც დატოვა. დიდი თეატრის ეს დიდი მსახიობები იყვნენ ჩემი მასწავლებლები. გზის მაჩვენებლები. მათ ამიხილეს თვალი და შემაყვარეს სცენა. დიდად ეხმარებოდნენ სახალხო სახლს ქართული თეატრის სხვა წარჩინებული მსახიობებიც: ვიქტორ გამყრელიძე, გედევან გედევანოვი (მირაღიანი), სოსო ივანიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ალექსანდრე იმედაშვილი და სხვები. სახალხო სახლის ისტორიაში მათი სახელი სამუდამოდ აღიბეჭდება. ერთხელ მე ჩემს სიტყვაში ვთქვი: ჩვენ რომ ბოხჩააკიდებულნი ვაგონების ქვეშ ვძვრებოდით და მივისწრაფოდით რკინიგზის დეპოს პატარა თეატრში, ეს მე მესმის, ჩვენ მუშები ვიყავით და ჩვენს საქმეს ვაკეთებდით. რა აწუხებდათ დიდ არისტოკრატთა შვილებს შალვა დადიანებს და სხვებს, როცა ჩვენთან ერთად მიისწრაფოდნენ ამ პატარა სცენაზე? მათ ამოქმედებდათ ხალხის სიყვარული, ხალხისათვის თავდადება. მე, სცენის ერთ პატარა

მუშაკს, არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენიო ეს უანგარო მოღვაწეები და ცოცხლებს დღეგრძელობა არ ვუსურვო. ნუ დამემდურებიან მსახიობნი, თუ ისინი ყველანი ცალცალკე არ ვახსენე. მე ხომ ისტორიას არ ვაქვეყნებ. მე მხოლოდ ჩემი პატარა მოგონებებით უნდა წარვსდგე მკითხველის წინაშე და მოგონებათა ავტორს ეპატიება ყოველი ის, რაც არ მიეტევება მემატიანეს და ისტორიის დამწერს.

სოფელ ქვემოპალის ერობა

სოფელ ლამისყანიდან 1918 წელს ჩემთან ჩამოვიდნენ ჩვენებური გლეხები ლექსო ქოთლაშვილი (ძველი რევოლუციონერი) და ვანო მაყიშვილი. მათ გადმომცეს, რომ ქვემოპალაში ერობა უნდა დააარსონ და გვითხრეს, გამგეობის წევრად თქვენი სოფლიდან აირჩიეთ ვინმეო. ჩვენმა სოფელმა შენ დაგასახელა და უნდა წამოხვიდეო. მე ცოტა შეეყოყმანდი. არ მინდოდა ჩემი საყვარელი სახალხო სახლისათვის თავი დამენებებინა. მაგრამ ჩემს სოფელს ჩემთვის არაფერი ეთხოვნა და მიმძიმდა ეს მისი სურვილი არ შემესრულებინა. ეს ამბავი ვამცნე რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ადმინისტრაციას და ვთხოვე სამუშაოდან დროებით განთავისუფლება. სამსახურიდან გამანთავისუფლეს და წავედი ქვემოპალაში. ერობის გამგეობაში თავმჯდომარედ იყო ნიკო ყველაშვილი (პროფესიით მიწისმზომელი), გამგეობის წევრებად კი მე და სოფელ კოდისწყაროს გლეხი შაქრო ოქროპირიძე. მე ჩამაბარეს განათლების განყოფილება — სკოლები და წარმოდგენების მოწყობა. შაქრო ოქროპირიძეს მინდვრის საქმიანობა.

მე მაშინვე გამოვნახე სცენისმოყვარენი და შევუდექით წარმოდგენების მართვას. ქვემოპალაში და მის მახლობელ სოფლებში დავდგით ვალერიან გუნიას „და-ძმა“, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ტრიფონ რამიშვილის „მეზობლები“ და სხვ. დასში ირიცხებოდნენ ადგილობრივი გლეხები — ნიკა თავშავაძე, სანდრო ფრუიძე, ვანო სოზიაშვილი, ჯავიოშვილი, ქენქაძე და ვასო. ამ უკანასკნელის გვარი არ მახსოვს, სომხების როლებს თამაშობდა. ქალების გვარები არ მაგონდება. წარმოდგენების გარდა ხშირად ვმართავდით საუბრებს სწავლის მნიშვნელობის შესახებ, ვუკითხავდით ლექსებს და სხვ. იმ პერიოდში ბევრს იარაღი ჰქონდა ასხმული, ყოყლოჩინობდა და თავი ამირანად მიაჩნდა. მე კი სწავლის სიტკბოებაზე ველაპარაკებოდი, ჩვენებური დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ლექსებს ვუკითხავდი სწავლის შესახებ და, ცოდვა გამოტეხილი ჯობია, ზედ ჩემს ლექსებსაც ვაყოლებდი. 1908 წელს გამოცემული ქონდა ლექსების პატარა კრებული და აქედან ხშირად აი ამ ლექსს ვუკითხავდი:

შეუგნებლობას შეგნება დაძლევს,
უსამართლობა მით მოისპობა.
როცა რომ ხალხი კარგად გაიგებს,
სად რა იწყება, სად რა თავდება.

ვერას გვიშველის თოფ-ზარბაზანი,
კაცჰამიობა, სისხლისა ღვარი,
თოფის მაგიერ კალამი იბრძვის,
ყველას ის ეტყვის, ვინც კი რა არი.

ხალხის კულტურული წინსვლის, მეცნიერებისა და ათასნაირი გამომგონებლობის ძირითადი დასაყრდენი არის სკოლა, და ამისათვის ვიბრძოდი მე ერობის გამგეობაში ყოფნისას. რამდენი ნიჭიერი გლეხი მინახავს, რამდენ ტალანტს წავწყდომივარ, კარგი ხმის პატრონს და მიფიქრია, მას რომ სწავლა ჰქონოდა, ვინ იცის, როგორი სახელოვანი ადამიანი შეიქნებოდა თავისი ქვეყნისათვის.

როგორც მოგახსენეთ, სკოლების საქმეს მე განვაგებდი. ერთხელ სოფლის სკოლის მასწავლებელმა ქალმა მომმართა, რვეულები და წიგნები ვერსად შეგვინახავს, თუ კარადას არ გვაღირსებთ, ერთი ყუთი მაინც მოგვიხერხეთო. მეც დურგალს შევუკვეთე ყუთის გაკეთება. ჩვენმა თავმჯდომარემ ნიკო ყველაშვილმა იწყინა ჩემი ასეთი განკარგულება და საყვედურით მომმართა:

— შენ აქ ქალებს მზითევს ხომ არ უმზადებო.

მეწყინა ასეთი საყვედურის მოსმენა. საზოგადოდ დიდი თავნება კაცი იყო და კულტურულ საქმეზე ფულის გაღება ძლიერ ეზარებოდა. ის კოლეგიალურ მუშაობას გაურბოდა, მარტო უნდოდა მბრძანებლობა და წევრებს არაფრად გვაგდებდა. გამგეობის კრებაზე ვერც ერთი წინადადება ვერ გავიყვანე, რადგან ყოველთვის უმცირესობაში ვრჩებოდი. გამგეობის მეორე წევრი შაქრო ოქროპირიძე მართალია შეგნებული გლეხი იყო, მაგრამ თავმჯდომარის მონამორჩილი გახდა და მის საწინააღმდეგოდ კრინტს ვერ სძრავდა. ყველაშვილს როგორც უნდოდა ისე აწარმოებდა ერობის საქმეს. არც შემოსავალ-გასავლის საქმე იყო სათანადოდ დაყენებული. არც გლეხობასთან მიდგომა უვარგოდა. გადავწყვიტე, თავი დამენებებინა ერობის გამგეობისათვის. შევატყე, რომ ეს ჩემი საქმე არ არის და არც ისე ვიყავი აღზრდილი, რომ სხვისი მონა-მორჩილი ვყოფილიყავი, ჩემი საქმე ისე არ მეკეთებინა, როგორც მესმოდა. შევიტანე განცხადება ჩემი განთავისუფლების შესახებ. განცხადებაში დაწვრილებით აღვნიშნე ჩემი წასვლის მიზეზი და დავძინე—ან მე უნდა ვიყო ან ყველაშვილი, მე მასთან მუშაობა არ შემიძლია-მეთქი. თუ არ გინდივართ, მე ისევ იქ წავალ, ჩემს ქარხანაში, საიდანაც მოვედი-მეთქი. მოიწვიეს საზოგადო კრება, რომელმაც იოათბირა და დაადგინა: გიორ-

გი ჯაბაურს ჩვენ არ ვითხოვთ. თუ სურს, თავისი ნებით წავიდესო. ეს დადგენილება გამოიტანა ალბათ იმ ხალხმა, რომელიც რაიმე სარფას გამოელოდა ყველაშვილისაგან. ასეთ წინადადებას მხოლოდ თურმე ერთმა ქვემოჟალელმა გლეხმა ნიკა თავშავაძემ მისცა წინააღმდეგ ხმა. ნიკა თავშავაძე ძველი რევოლუციონერი გლეხის შვილი იყო, თვითონაც კარგად ერკვეოდა და ნათლად ხედავდა თავმჯდომარის „საქმიანობას". აი მხოლოდ ეს ერთი ადამიანი აღმოჩნდა ჩემი მომხრე. ავიკარ გუდა-ნაბადი და გამოვწიე თბილისისაკენ. წამოსვლისას ვახშამი გამიმართა მარტო ნიკა თავშავაძემ. ჩვენი უთანხმოების ამბავი შეიტყო გორის ერობის თავმჯდომარემ. დამიბარა და ჩამაბარა ქალაქ გორის კულტურულ-საგამანათლებლო საქმიანობა. მევალებოდა გაზეთების გავრცელება, ლექცია-წარმოდგენების მოწყობა. მეც შევუდექი მუშაობას. თავი მოვუყარე სცენისმოყვარეებს, ვიშოვნე მთავარ ქუჩაზე ერთი დაბალჭერიანი შენობა და დავიწყეთ წარმოდგენების მართვა. დავდგით ვ. გუნიას „და-ძმა", ა. ყაზბეგის „არსენა", ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და სხვა. ლექციებს ვაკითხებდით პედაგოგს ალექსანდრე გარსევანიშვილს. გორში დიდხანს არ მიმუშავნია. მალე დავუბრუნდი ჩემს ქარხანას, რკინიგზის მთავარ სახელოსნოს და მივაშურე ჩემს საყვარელ სახალხო სახლს.

სახალხო თეატრის 30 წლისთავი

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველა თეატრის კარი მშრომელთათვის ფართოდ გაიღო. მეფის შავბნელი რეაქციის დროს დიდი თეატრების კარი მუშებისათვის დახშული იყო. რომელი მუშა შეძლებდა ორი-სამი მანეთი გადაეხადა ბილეთში და დიდ თეატრის სპექტაკლს დასწრებოდა. თეატრისადმი სიყვარული კი მუშებში დიდი იყო და ამ მხრივ ავჭალის აუდიტორიამ და შემდეგ სახალხო სახლმა მუშათა კულტურული აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. შაურიანი ბილეთით მუშა ხედავდა თავის თეატრში კარგად შესრულებულ წარმოდგენებს. ამასთან ამ თეატრში იდგმებოდა ისეთი პიესები, რომლებიც სიამოვნებასთან ერთად სულიერ საზრდოსაც აწვდიდა მუშებს. ძალიან დიდი იყო სახალხო თეატრის დამსახურება. 1923 წელს სახალხო თეატრის არსებობის 30 წელი შეუსრულდა. დაისვა საკითხი მისი იუბილის მოწყობის შესახებ. გამგეობამ გადაწყვიტა ამ იუბილეს გამართვა. შეიქნა მზადება. ისარგებლეს ჩემ მიერ დაწერილი წერილებით, რომლებიც ქვეყნდებოდა „თეატრსა და ცხოვრებაში" და ამის მიხედვით შეადგინეს საიუბილეო კრებული.

იმ ხანებში იუბილეს გამართვა გახშირებული იყო. ვისაც კი რაიმე

საზოგადოებრივი ღვაწლი მიუძღოდა, ყველას უმართავდნენ იუბილეს. მე ვფიქრობდი, მე რაღა დავაშავე, თუ სახალხო სახლს შეუსრულდა 30 წლის იუბილე, მე ხომ იმისი ერთი დამაარსებელი ვიყავი, მისი მემატიანე, უშუალო მონაწილე და მშენებელი. ამ თეატრის გულისათვის რამდენი მირბენია, რამდენი ღამე გამიტეხია. ნუთუ ეს საზოგადო მოღვაწეობა არ არის? მაშ ეს არ უნდა დაფასდეს? ამით ხომ არავის არაფერი არ დააკლდებოდა. მე ვიყავი გაჩუმებული, მაგრამ გამგეობაც და ჩემი ამხანაგი სცენისმოყვარენიც დუმდნენ, ხმას არ იღებდნენ. მეც ავდექი და გავმართე ერთი საღამო. დავდგი ია ეკალაძის „№ 21 ჯვრით". ამ საღამოს არავითარი მილოცვები არ ყოფილა. ამ სპექტაკლს გამოეხმაურა ავლაბრის სახალხო თეატრის ერთ-ერთი მოღვაწე დავით მელაშვილი და გაზეთში შემდეგი წერილი დაბეჭდა:

გიორგი ჯაბაურის საღამო

დარწმუნებული ვარ ბევრი მუშა იქნება დაინტერესებული გაიგოს, თუ ვინ არის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს დურგალი მუშა გიორგი ჯაბაური, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საძირკველი თბილისის ფარგლებში იმ სახალხო აუდიტორიას, რომლის 30 წლის იუბილე განზრახულია სახალხო სახლში 10 ივნისს.

სახალხო თეატრის აღორძინებას თბილისში გიორგი ჯაბაურის გარეშე ჰყავს სხვა მუშებიც იოსებ იმედაშვილის, მიხეილ თუშმალიშვილის, თევდორაშვილის, მარიამ დემურიას და სხვათა სახით, მაგრამ გიორგი ჯაბაური პირველია ამ საქმეში.

გინდათ სახალხო თეატრის ისტორია დასწეროთ, უეჭველად უნდა აამეტყველოთ გიორგი ჯაბაურის ბაგენი, მუშური კალამი. ხანგრძლივი, დაუღალავი და უსასყიდლო შრომა, საარაკო, განსაკუთრებულ პირობებში — აი გიორგი ჯაბაურის წარსული.

ჩვენს კურთხეულ ქვეყანას ბევრი, ძალიან ბევრი სახალხო მუშაკები ჰყავს. საკმარისია დაუძახოთ და ბევრი „მუშაკი" წარმოგიდგენთ „ხანგრძლივი მოღვაწეობის სტაჟს", მაგრამ მუშა მოღვაწე, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხალხის გათვითცნობიერებისათვის ეწეოდა იდეურ და კულტურულ მძიმე ჭაპანს და ისიც უსასყიდლოდ, ბევრს ვერ გვიჩვენებთ ასეთს.

და რადგანაც ასეა, ამიტომ ვამბობთ: მუშებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ამხანაგებს, მუშა მოღვაწეებს, იმ მუშებს, რომელთა საქმიანობა არასოდეს კარიერისტობით არ ხასიათდება. მუშა თავისი საქმეში ყოველთვის გულწრფელი იყო და არის დღესაც. ასეთ შემთხვევაში კი მუშა მუდამ მორცხვია, მორიდებული...

მუშა მოღვაწე პირველ რიგში ჩვენ, ქარხანა-ფაბრიკის მუშა ამხანაგებმა, უნდა დავაფასოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისე კარგად ახლოს არავინ არ იცნობს ჩვენს ამხანაგებს, ქარხნის წიაღიდან გამოსულ მუშა მოღვაწეებს, როგორც ჩვენ.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია დღევანდლამდე, რომ რკინიგზის მუშა გიორგი ჯაბაური, რომელიც ირიცხება მუშათა თეატრის პიონერად და რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში სასტიკ დარაჯად უდგას მუშათა კულტურულ საქმეს, სახალხო აუდიტორიაში დარჩება მუშათა ყურადღების გარეშე. ჩვენ გვმართებს და გვმართებს მისი იუბილე, მაგრამ რატომღაც ეს ასე არ მოხდა და ამიტომ პარასკევს, 18 მაისს, მშრომელი ხალხის მოამაგე მუშა გიორგი ჯაბაური სახალხო სახლში მართავს საღამოს, რომლის დროსაც წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „№ 21 ჯვრით" ია ეკალაძისა. იმედია მუშები არ დაივიწყებენ თავიანთ ძველ ამხანაგს მუშას გიორგი ჯაბაურს, იმ ჯაბაურს, რომელიც მუშათა აუდიტორიას უმასპინძლდებოდა რევოლუციონური პიესით.

ასოთამწყობი დათიკო მელაშვილი.

(გაზეთი „ტრიბუნა", 1923 წ. 16 მაისი, № 471).

ამ წერილს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს არც ჩვენმა გამგეობამ და არც ჩემმა ამხანაგმა სცენისმოყვარეებმა.

დავუბრუნდეთ ისევ სახალხო სახლის იუბილეს. 1923 წლის 9 დეკემბერს ამ იუბილეს აღსანიშნავად გამოვიდა წიგნი, რომელშიც ჩემი წერილიც იყო დაბეჭდილი. დაიბეჭდა აგრეთვე ერთდღიური დიდი ფორმატის საიუბილეო გაზეთი „სახალხო თეატრი". ამ იუბილეში საქართველოს ყველა რაიონის კულტურულმა დაწესებულებებმა მიიღეს მონაწილეობა. ვუცქეროდი ამ იუბილეს და გული სიხარულით ივსებოდა. მაგონდებოდა ჩვენი წარსული, პირველი წარმოდგენები ამ 30 წლის მანძილზე. ტყის დეკორაციების ნაცვლად ხის ფოთლებით მოწყობილი სცენა, ჩაის ასადუღებელი კუბის დანგრევა, პირველი სცენის გაკეთება, ყოველი დაბრკოლება, გაჭირვება და ვინ იცის კიდევ რა. და დღეს ამ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი ვესწრები ამ დიად დღესასწაულს და ვფიქრობ: საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, დღესასწაულს ხომ ვერ მოვესწრებოდი. მე, რომელმაც მივიღე მონაწილეობა ამ 30 წლის წინათ ამ თეატრის სპექტაკლში, იუბილეს დღესაც ვიღებ მონაწილეობას. საიუბილეო ღამეს სახალხო სახლის სცენაზე დაიდგა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლის" პირველი მოქმედება. ამ პიესას რეჟისორობდა ნიკო გოცირიძე. ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელმა, სცენის დიდმა

ოსტატმა კოტე მარჯანიშვილმა სახალხო თეატრის რეპერტუარიდან 17 ნაწყვეტი დადგა: ავქ. ცაგარლის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ციმბირელი“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, ჰაერმესის — „იმედის დაღუპვა“, ა. ყაზბეგის — „არსენა“, ნ. აზიანის — „გაცრუებული იმედები“, ტრიფონ რამიშვილის — „მეზობლები“, გიორგი ერისთავის — „დავა“, მოლიერის — „ტარტიუფი“, ია ეკალაძის — „№ 21 ჯვრით“, დავით კლდიაშვილის — „ირინეს ბედნიერება“, პ. ირეთელის — „ქრისტინე“, შალვა დადიანის — „გუშინდელნი“, გაბრიელ სუნდუკიანცის — „პეპო“, ნიკო შიუკაშვილის — „სულელი“, ა. სუმბათაშვილის — „ღალატი“.

მარჯანიშვილს ეხმარებოდნენ შალვა დადიანი, კოწო ანდრონიკაშვილი და ნიკო გოცირიძე. რეჟისორის თანაშემწეებად იყვნენ ა. ბადრიძე, ლ. კანდელაკი, ჭიჭიკო გელეიშვილი და არჩილ ცაბაძე.

მარჯანიშვილმა მთელი სცენა სიგანეზე სამ ნაწილად დაჰყო. ყველა ნაწილს თავისი საკუთარი ფარდა ჰქონდა და განათდებოდა ხოლმე ის ნაწილი, რომელშიც მიდიოდა პიესის ნაწყვეტი, დანარჩენი სცენის ნაწილი ჩაბნელებული იყო. ეს ნაწყვეტები მიდიოდა უანტრაქტოდ. დიდმა ოსტატმა ერთ საღამოს შეძლო სახალხო სახლის ისტორიის და განვლილი გზის ნათელ ფერებში გადმოცემა. მეც ვთამაშობდი ამ საღამოს.

იუბილეზე წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მუშებმა დააარსეს სახალხო სახლიო, მაგრამ არც ერთს არავისი გვარი არ დაუსახელებია. ვინც არ გვიცნობდა, ალბათ ინიციატორები დახოცილი ეგონა. ერთმა დელეგატმა, სომხური თეატრის წარმომადგენელმა გაიზეორა, რომ ეს თეატრი მუშებმ ə დააარსესო, და თან დასძინა: „К сожалению, их сейчас нет в живых“.

იუბილემ საკმაო თანხა მისცა გამგეობას და ამ უკანასკნელმაც გადაწყვიტა მსახიობების დაქირავება. გაიგეს ხელფასს აძლევენო და ბევრს გაეხსნა მუშაობის მადა. შეადგინეს დასი. მე მარქაფში მომაქციეს და ფაქტიურად განმდევნეს. დგამენ წარმოდგენებს, როლს არ მაძლევენ. შევეკითხე რეჟისორს, რატომ არ მაძლევთ როლს-მეთქი. მიპასუხა, კადრში არა ხართ, როლს იმას ვაძლევთ, ვინც დასში ირიცხებაო. გული ჩამეფუფქა, მეწყინა ეს ამბავი. როცა ფული არ იყო, მე ვიყავი, ახლა კი აღარა ვარ საჭირო, დასში არ მიმიღეს, აღარც როლს მაძლევენ. გული მაინც აღარ გავიტეხე და სულ მათთან ვიკაკი. აბა როგორ მოეშორდებოდი ჩემს საყვარელ კერას. ფული შემოაკლდა გამგეობას, მსახიობები შემოეფანტნენ და ისევე ჩვენ, სცენისმოყვარენი დაკრჩით და განვაგრძეთ მუშაობა.

სახალხო თეატრის წითელ თეატრთან შეერთება

1924 წელს სახალხო სახლში მოქმედება დაიწყო წითელმა თეატრმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დავით კობახიძე. ამრიგად, ერთ შენობაში ორი ქართული დასი მუშაობდა. ასეთი პარალელიზმი საქმეს ვნებდა, ძალების დაქსაქსვას, მაყურებლების გაორებას იწვევდა.

სათეატრო მუზეუმის დირექტორმა გ. ბუხნიკაშვილმა გვირჩია შეერთებულიყავით წითელ თეატრთან და ერთად გვემოქმედნა. ამ რჩევას ჩვენც დავეთანხმეთ. ამისათვის მოვიწვიეთ წრის წევრთა კრება. დაიწერა წითელ თეატრთან შეერთების ოქმი. ამ ოქმს ხელი მოვაწერეთ მე როგორც სახალხო თეატრის პირველმა ინიციატორმა, ვასო თევდორაშვილმა როგორც სახალხო თეატრის დაარსების დროს მისი გამგეობის პირველმა თავმჯდომარემ, მიხეილ თუშმალიშვილმა როგორც სახალხო თეატრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და პირველმა მოკარნახემ. ამასთანავე ხელი მოაწერეს სცენისმოყვარე გრიშა ანაშვილმა და სხვებმაც. ჩვენ ყველ.ნი ჩვენი ინვენტარით გადავედით წითელი თეატრის განკარგულებაში. ამით შეწყდა ჩვენი წრის სახელით სახალხო წარმოდგენების მართვა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე, როგორც თავშივე აღვნიშნე, თეატრის კარი ფართოდ გაიღო მშრომელთათვის. სპექტაკლებს სისტემატური ხასიათი მიეცა, რათა მუშათა ფართო მასების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები ვეღარ აკმაყოფილებდა გემოვნებაგანვითარებულ ჩვენს მაყურებელს, საჭირო იყო თეატრს პროფესიონალიზმის ხასიათი მისცემოდა. საჭირო იყო სცენაზე მოთამაშე დაუფლებოდა თავის პროფესიას და ყოველივე სხვა საქმიანობისათვის თავი დაენებებინა. ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხი: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“. შეუძლებელი იყო ადამიანს დღე ქარხანაში ემუშავნა, საღამოს კი სპექტაკლში მიეღო მონაწილეობა. კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ თუ ეს შესაძლებელი იყო, ყოველ საღამოს როგორ მოხერხდებოდა. ცხადია, სცენისმოყვარეობამ თავისი დიდი მისია შეასრულა და პროფესიონალ მსახიობს დაუთმო გზა. ჩვენ, ძველი სცენისმოყვარეები, დავბერდით. ძნელი იყო ჩვენთვის პროფესიულ დასში მუშაობა და თანდათანობით ამ საქმეს ჩამოვშორდით.

ზოგიერთი ჩვენი სცენისმოყვარე პროფესიულ- დასში დარჩა. მაგალითად, ნიკო გოცირიძე, სოსო რომანიშვილი, ანკარა, ვიქტორ ნინიძე. ბევრი კი თავის დაზგას მიუბრუნდა, მაგრამ თვითმოქმედ წრეებში მუშაობას განაგრძობდა და თავის გამოცდილებას ახალგაზრდობას უზიარებდა. მეც ჩემს ქარხანას მივაშურე, მაგრამ სცენის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო ჩემში, რომ ამ დარგში მუშაობასაც განვაგ რძობდი.

სამთავისის კომუნა (კასპის რაიონი)

1924 წელს სოფელ სამთავისის გლეხობამ კომუნა დააარსა. ამ სოფლის გლეხობის მეტმა ნაწილმა შეაერთა თავიანთ მინდორ-ვენახები; დააქციეს თავიანთი კერძო სახლები და ააშენეს საერთო საცხოვრებელი, ააშენეს კარგა მოზრდილი კლუბიც. ამ კომუნამ დიდად გაითქვა სახელი. ყველანი გაოცებული იყვნენ ამ კომუნის დაარსებით. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოდიოდნენ მათ სანახავად. მეც დამაინტერესა ამ კომუნის დაარსებამ. მე თავიდანვე მოტრფიალე ვიყავი კოლექტიური მუშაობისა, მწამდა, რომ ერთად მუშაობა დიდ სარგებლობას მოუტანდა გლეხობას. გადავწყვიტე დაახლოებით გავცნობოდი ამ კომუნას. მით უფრო, რომ ეს ჩვენი მხარეა. მე თვით ლამისყანელი ვარ. ჩემი სოფელი 5 კილომეტრით არის დაშორებული სამთავისს.

მალე გავეცანი ამ კომუნის დაარსების ამბავსაც. მოვუწონე ერთად შეერთება და მუშაობა. შევპირდი, რომ მათ პატივსაცემად გავმართავდი საღამო-წარმოდგენას. მათი შეერთებით აღტაცებული დავბრუნდი კომუნიდან და ვფიქრობდი, როგორი საღამო მომეწყო, რომ ყველასათვის თვალსაჩინო ყოფილიყო. გადავწყვიტე დამეწერა მათ ყოფაცხოვრებაზე აშენებული პიესა.

იმ ზაფხულს წაღვერში დასასვენებელ სახლში ვისვენებდი. ვისარგებლე ამ თავისუფალი დროით, ჩავჯდებოდი ნაძვის ხეებში, ხან კლდიდან მჩქეფარე წყლის პირდაპირ და ერთ თვეში დავწერე ორმოქმედებიანი პიესა ლექსად „სამთავისის კომუნა". პიესაში აღნიშნული იყო კომუნის დაარსების ამბავი და ყოფაცხოვრება. მომქმედ პირებად თვით გამგეობის წევრები გამოვიყვანე. გამოვძებნე სცენისმოყვარენი ზოგი სამთავისიდან, ზოგი მახლობელ სოფელ ქვემოჭალიდან. ქვემოჭალის სცენისმოყვარეებს კარგად ვიცნობდი, რადგან იქაც ვმართავდი წარმოდგენებს. დავიწყე რეპეტიციები და მოვამზადე პიესა.

ამავე დროს ვიყავი გაზეთ „კომუნისტის" მუშა კორესპონდენტი. მუშათა ცხოვრების განყოფილებას განაგებდა გაბო მალაშხია. ჩვენ ხშირად ვმართავდით ექსკურსიებს სხვადასხვა ადგილებში. ვმართავდით რედაქციაში კრებებს, ვარჩევდით მუშათა წერილებს. ერთ ამ კრებაზე შევიტანე წინადადება ექსკურსია მოგვეწყო სამთავისის კომუნაში და მონაწილეობა მიეღოთ ჩემს მიერ მოწყობილ საღამოში, რომელიც მიძღვნილი იყო სამთავისის კომუნისადმი, კრებამ ერთხმად მიიღო ჩემი წინადადება.

დაინიშნა საღამოს მოწყობის დღე. სამთავისის კომუნაც მზადებას შეუდგა. დანიშნულ დღეს სამთავისის კომუნამ კასპის სადგურზე „ლინეიკები" დაგვახვედრა. მალე სამთავისის კომუნა მუშა მწერლებით და პოეტებით აივსო.

იქ იყვნენ გიგო ხეჩუაშვილი, გიორგი შინატეხელი, შაქრო ნავთლუღელი, სიო ხიდისთაველი, ნიკო იტრიევი, ვანო ხებრელაშვილი, ვასო როინიშვილი, ნ. ასლამაზაშვილი და სხვ. ამ საღამოსთვის ქალაქიდან საგანგებოდ წავიყვანე გრიმების გამკეთებელი, რადგან მოქმედ პირებად გამგეობის წევრები მყვანდნენ გამოყვანილნი და მინდოდა, რომ გრიმებიც ზედმიწევნით გაეკეთებინა და ნამდვილი მიმსგავსება ყოფილიყო. მოქმედ პირებსაც მათი ტანისამოსები ჩავაცვი.

კომუნის გამგეობის თავმჯდომარე იყო გიორგი უზნაძე, გამგეობის წევრები საშა ცხვედაძე, ილიკო ცხვედაძე, რუსიტაშვილი, თექო თუმანიძე და სხვ. ამ საღამოზე მოწვეულები იყო მახლობელი სოფლების გლეხობაც. ჩვენ სოფელ ლამისყანიდან რამდენიმე გლეხი დროშით მოვიდა. გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის შემდეგ მუშა მწერლები და პოეტები გამოვიდნენ სიტყვებით და კომუნისადმი მიძღვნილი ლექსებით. საღამომ ძალიან მხიარულად ჩაიარა. შემდეგ გაიმართა ვახშამი. ვახშამზე პოეტები თითო სადღეგრძელოზე თითო ლექსს იძახდნენ. მეორე დღეს დავათვალიერეთ კომუნის ბაღ-ბოსტანი და გამოვეთხოვეთ კომუნის წევრებს. მე ჩემი სოფლის ლამისყანის გლეხობა, რომელიც იმ საღამოს დაესწრო, გავაცილე კარგა გზა და ვერჩიე მათაც მიებაძნათ სამთავისის კომუნისთვის და ასეთი კომუნა ლამისყანაშიც დაეარსებინათ.

მართლაც ერთი წლის შემდეგ მათაც შეძლეს კომუნის დაარსება.

მიხა დევაძესთან მოგზაურობა

დეპოში მემანქანედ მუშაობდა მიხა დევაძე, მას თბილისის სახელოსნო სასწავლებლიდან ვიცნობდი. ის მუშა მწერალი იყო. ეხერხებოდა ლექსების წერა. ამავე დროს დიდი მცოდნე და მოტრფიალე იყო მუსიკისა, ზედმიწევნით კარგად უკრავდა თარსა და სალამურს. მასთან გავმართე მოლაპარაკება სოფლად მოგზაურობის შესახებ და დავითანხმე. შევადგინეთ აფიშაც, ავიღეთ ნებართვა და შევუდექით მოგზაურობას.

გიორგი ქუჩიშვილთან და მიხეილ კავსაძესთან მოგზაურობა

1927 წელს პოეტ გიორგი ქუჩიშვილთან და სახალხო მომღერალ მიხეილ კავსაძესთან გავმართე მოლაპარაკება, სოფლებში მოგზაურობის შესახებ. ორივენი დავითანხმე. შევადგინეთ და დავბეჭდეთ აფიშა. ამ აფიშით შემოვიარეთ 1927—28 წლებში მთელი ქართლ-კახეთი. ჩვენი მოგზაურობის დროს სოფლად და ქალაქებში გიორგი ქუჩიშვილს და მიხეილ კავსაძეს ხვდებოდნენ მათი პატივისმცემლები.

იმათ შორის იყვნენ მოწაფეებიც, რომლებიც ყვავილებით აჯილდოებდნენ, ზოგნი სადილ-ვახშამზეც ჰპატიჟობდნენ. ჩვენს სალამოს მუდამ მხიარული ელფერი ჰქონდა.

პოეტ გიგო ხეჩუაშვილთან და სცენისმოყვარე ვასო თევდორაშვილთან მოგზაურობა

1934 წ. განვაახლე მოგზაურობა, მოველაპარაკე მიხეილ კავსაძეს, პოეტ გიგო ხეჩუაშვილს და სცენისმოყვარე ვასო თევდორაშვილს. კარგა ხანს ვიმოგზაურე ამ პირებთან.

ვოდევილების ანსამბლი

„საქართველოს სახ. ესტრადასთან ჩამოყალიბდა ვოდევილების ანსამბლი საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტ ვიქტორ მატარაძის ხელმძღვანელობით. ანსამბლის შემადგენლობაში შედიოდნენ მსახიობები: ალ. ივერიელი, ალ. დევიძე, ზ. დუმბაძე, ვიქტორ მატარაძე, გ. ჯაბაური და დ. ზალდასტანიშვილი. ანსამბლის რეპერტუარი — „სიმართლე", „ცოლქმრობის წინააღმდეგ", „სასამართლო" და „შეყვარებულნი".

(გაზეთი „კომუნისტი", 1939 წ. 8 თებერვალი).

აი ამ რეპერტუარით 1939 წ. 8 თებერვლიდან შემოვიარეთ ქართლ-კახეთი, ქიზიყი.

შემდეგ კარგა ხანს ვმოგზაურობდით ვიქტორ მატარაძის ხელმძღვანელობით. მხოლოდ მსახიობთა შემადგენლობა და პიესები იცვლებოდა. მეორე შემადგენლობაში იყო პიესა „ცოლქმრობის წინააღმდეგ", „ძველი სასამართლო", „არც აქეთ, არც იქით", „დედისერთა" ვ. გუნიასი. მსახიობთა შემადგენლობაში სხვადასხვა დროს იყვნენ: ალ. ივერიელი, ნუნუ მაჭავარიანი, ვიქტორ მატარაძე, ჩელთისპირელი, საყვარელიძე.

ვმართავდით წარმოდგენებს თბილისის კლუბებში და სხვადასხვა რაიონებში.

მაგალითად, თბილისში, ძეხვეულობის ქარხანაში, სარემონტო ქარხნის მუშების საერთო საცხოვრებელში, საგარეჯოს კულტურის სახლში, 26 კომუნარის სახელობის არტელში, ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, მახარაძის კოლმეურნეობა „გიგანტში", სოფელ შეადიჯვრის კოლმეურნეობაში, ფასანაურში, დუშეთში, სტუდენტთა ქალაქის კლუბში და სხვ.

წელიწადი აღარ მახსოვს, ერთხანს შედგა ახალი ამხანაგობა, აფიშაზე გვეწერა — „თბილისის ქართული დრამის გასტროლები". რეპერტუარში გვქონდა „არსენა" ა. ყაზბეგისა. ამხანაგობაში იყვნენ ვიქტორ მატარაძე, ლავრენტი სვანელი, გიორგი ჯაბაური, ილინი, ალ. ივერი-

ელი, ზინა დუმბაძე, ხებრელაშვილის ქალი და სხვ. პირველი წარმოდგენა საგარეჯოდან დავიწყეთ. მერე გავემგზავრეთ გურჯაანში, წინანდალში, ველისციხეში, თელავში, ყვარელში, სიღნაღში, წნორისწყალზე, შემდეგ კი ქართლისკენ და ჩაის პლანტაციებში. ზოგ ალაგას ჩაის პლანტაციებში რუსი მუშებიც ერიენენ და საცა ასეთი ადგილები იყო, რეპერტუარის გარეშე ერთმოქმედებიან პიესა „ძველ სასამართლოს" ვუმატებდით. ეს პიესა ნახევრად რუსულ ლაპარაკს შეიცავს.

1940 წელს მე განვიზრახე მემოგზაურა მარტო სოფლად, ადგილობრივ გამომენახა სცენისმოყვარე ქალები და ვაჟები და აღარ წამეყვანა მსახიობები თბილისიდან, რადგან ეს ბევრ ხარჯს თხოულობდა. ამ მიზნით მივედი ქალაქის გარეუბნის რაიონის კულტურულ-საგამანათლებლო საქმეთა განყოფილების გამგესთან. ამ განყოფილებაში მსახურობდა ძველი სცენისმოყვარე ალექსანდრე კუპრაძე, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა ჩემი მოღვაწეობა და განყოფილების გამგეს აუხსნა ჩემი ვინაობა. ვუჩვენე ჩემი მოღვაწეობის საბუთები. განყოფილების გამგეს მოუწონა ჩემი აზრი, თანაგრძნობა გამომიცხადა და მომცა ნებართვა.

ამ მიზნის განსახორციელებლად პირველად დიღომში წავედი. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. კლუბის გამგე სუსტი აღმოჩნდა. ავარჩიე პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ", დავნიშნე რეპეტიცია. რეპეტიციაზე თბილისიდან დავდიოდი. სცენისმოყვარენი ხან მოდიოდნენ რეპეტიციაზე, ხან არა. ბევრი რეპეტიცია გამიცდა და ტყუილუბრალოდ სიარულს და გზის ხარჯს ვეწეოდი. ხან სკოლის მასწავლებლებს ვთხოვდი მონაწილეობა მიეღოთ, ზოგი მთანხმდებოდა, მაგრამ რეპეტიციაზე აღარ მოდიოდა. არც კოლმეურნეობისგან და არც საბჭოსაგან დახმარება არა მქონდა. რომ გავბეზრდი და დავიღალე ბევრი სიარულით, რომელიც უქმად მიდიოდა, თავი დავანებე და ჩემი მიზანი ვერ გავახორციელე.

1947 წელს ხელახლა მოველაპარაკე მიხეილ კავსაძეს და პოეტ გიგო ხეჩუაშვილს, რომ გვემოგზაურა სოფლად საღამო-კონცერტების გასამართავად. როდესაც ისინიც დავითანხმე, შევიტანე განცხადება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, რომ იმათის ნებართვით მემოგზაურა საღამო-კონცერტების გასამართავად. ,ფილარმონიამ გახინჯა, მოიწონა ჩვენი პროგრამა და ნება დაგვრთო, ბრიგადის ხელმძღვანელად მე ამირჩიეს.

1949 წელს კვლავ განვიზრახე მოგზაურობა სოფლად. ამ მიზნის განსახორციელებლად მივედი თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგამანათლებლო განყოფილების გამგესთან, ვუჩვენე თეატრალურ დარგში ჩემი მოღვაწეობის საბუთები.

განყოფილების გამგემ მოიწონა ჩემი საბუთები და დაუყოვნებლივ

მომცა ნებაროვა. შემოვიარე მთელი ზემოხსენებული სოფლები. ეს იყო უკანასკნელი ამბავი ჩემი სოფლად მოგზაურობისა.

ამით ვამთავრებ ჩემს მოკლე მოგონებას, კიდევ ბევრი რამის მოგონება შეიძლებოდა, მაგრამ ეხლა სადღა მახსოვს. ბოდიშს ვიხდი, თუ რომელიმე გამგეობის წევრის ან სცენისმოყვარის გვარი გამომრჩა სახალხო თეატრის გარშემო, თუ ვინმე იქნება დაინტერესებული გაიგოს მისი ისტორიული ჭარსული, ამაზე ვრცლად გადაათვალიეროს ჩემს მიერ დაწერილი ქართული სახალხო თეატრის ისტორია, რომელიც ინახება სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში. ბევრი ტანჯვა გამივლია ამ თეატრის გამო, მაგრამ ამ ტანჯვას პატარა სიამოვნება გააქარწყლებდა ხოლმე. ბევრი რამ განმიცდია ცხოვრებაში, ბევრი რამ მინახავს, მოვსწრებივარ იმ დროს, როცა ძველი რეჟიმის მეოხებით ჩემი საყვარელი თეატრი სასტიკ დევნას განიცდიდა. დღეს მოვესწარი იმ ნეტარ დროსაც, როცა ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით დაიწყო ჩვენი თეატრის აყვავება და აღორძინება, მის სცენას ამშვენებენ ათობით და ასობით ოსტატები. ბედნიერი ეპოქის მუშაკებს, სცენის ოსტატებს სულით და გულით ვუძღვნი ამ მოგონებებს.

———

ს ა რ ჩ ე ვ ი

		83
1.	გიორგი ჯაბაური	3

შესავალი წერილი ალ. ბურთოკაშვილის

2.	შესავალი	6
3.	სამზადისი	7
4.	პირველი სპექტაკლი	9
5.	პირველი საუბნო წარმოდგენა . . .	10
6.	„სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის წესდება“ მიზანი, სამოქმედო წესები და მოვალეობა .	14
7.	ავჭალის აუდიტორია	15
8.	სახალხო სახლი	28
9.	საკონცერტო განყოფილებები	38
10.	უთანხმოება ჩვენს წრეში .	41
11.	რამ დამაწერინა სახალხო თეატრის ისტორია	43
12.	სპექტაკლები სოფლად . .	49
13.	ქართული თეატრის მსახიობთა დახმარება	53
14.	სოფელ ქვემოჭალის ერობა .	54
15.	სახალხო თეატრის 30 წლისთავი	58
16.	გიორგი ჯაბაურის საღამო . .	59
17.	სახალხო თეატრის წითელ თეატრთან შეერთება	62
18.	სამთავისის კომუნა (კასპის რაიონში)	63
19.	მიხა დევაძესთან მოგზაურობა	64
20.	გიორგი ქუჩიშვილთან და მიხეილ კავსაძესთან მოგზაურობა	64
21.	პოეტ გიგო ხეჩუაშვილთან და სცენისმოყვარე თევდორაშვილთან მოგზაურობა	65
22.	ვოდევილების ანსამბლი . .	65

რედაქტორი ალ. ადამია
მხატვარი ვ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი თ. ფიფფორია
კორექტორი ლ. ლომთათიძე
კონტროლიორ-კორექტორი ნ. ხელაძე

გადაეცა წარმოებას 7/X 55 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29 II 56 წ. ანაწყობის ზომა 61 2 × 10, ქაღალდის ზომა 60X84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,75 უე 00217 ტირაჟი 2000. შეკვეთა 1913

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3